პრეზიდენტი

ფრანგი ჟურნალისტები საქართველოს ეცნობიან

საქართველოში იმყოფებიან საფრანგეთის „დიდი რეგიონული გაზეთების ჯგუფის“ წარმომადგენლები. მათი მიზანია ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობის, მისი წარსულისა და განვითარების პერსპექტივების გაცნობა. ჯგუფის შემადგენლობაში არიან საფრანგეთის გავლენიანი გაზეთების რედაქტორები და გამომცემლები. „დიდი რეგიონული გაზეთების ჯგუფი“, იგივე ასოციაცია 1960 წელს შეიქმნა და აერთიანებს 14 ყველაზე დიდ ყოველდღიურ გაზეთს.

ჯგუფის წევრებს დაგეგმილი აქვთ გაცნობითი ხასიათის მოგზაურობა საქართველოს ყველა კუთხეში. ისინი უკვე იყვნენ კახეთის რამდენიმე რაიონში და შეხვდნენ მოსახლეობას; გადაწყვეტილი აქვთ, ახლო მომავალში სპეციალურად მოავლინონ ჟურნალისტები საქართველოს შესახებ პუბლიკაციების მოსამზადებლად.

23 აპრილს ფრანგი ჟურნალისტები მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა და ფრანგმა სტუმრებმა ისაუბრეს ორი ქვეყნის ისტორიული და დღეს არსებული ურთიერთობის შესახებ. სტუმრები ასევე დაინტერესდნენ ედუარდ შევარდნაძის მოსაზრებებით ისეთ პრობლემებთან დაკავშირებით, როგორებიც არის დღემდე არსებული კონფლიქტები სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

საქინფორმი.

სახელმწიფო მინისტრი

ევროპის ენერგეტიკული ქარტია ენერგორესურსების ტრანზიტის უსაფრთხოებისათვის

— საქართველოში ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროს — ენერგეტიკის სექტორის დამოუკიდებლობა და მისი სიძლიერე უშუალოდ უკავშირდება ეკონომიკისა და მრეწველობის სექტორების მდგრად განვითარებას. ამიტომაც საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ევროპის ენერგეტიკული ქარტიის დებულებასა და მისი სამდივნოს მიერ განხორციელებულ სამუშაოებს, — განაცხადა 23 აპრილს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა ევროპის ენერგეტიკული ქარტიის გენერალურ მდივანთან რია კემპერთან გამართულ შეხვედრაზე.

როგორც სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, რეგიონში მიმდინარე გლობალური ენერგოპროექტების პერსპექტივების გათვალისწინებით, ჩვენი ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის ენერგეტიკულ ქარტიასთან შეერთებას.

იხ. მე-2 გვ.

როსიო კასტრო — საქართველოში მსოფლიო ბანკის ახალი ეკონომიკური ექსპერტი

მსოფლიო ბანკის საქართველოს ეკონომიკური პროგრამების ახალი ხელმძღვანელი როსიო კასტრო ჩვენს ქვეყანაში მუშაობას ივნისიდან შეუდგება. მანამდე კი მსოფლიო ბანკის მაკროეკონომიკური სექტორის მენეჯერი სამუელ ოტო და როსიო კასტრო ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გაცნობის მიზნით საქართველოს ეწვივნენ და ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდნენ. მათი ვიზიტის მთავარი მიზანი კი სტრუქტურული გარდაქმნების კრედიტის — საკ-3-ის მეორე და მესამე ტრანშის მისაღებად საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების პროცესის შეფასებაა.

23 აპრილს მსოფლიო ბანკის ექსპერტები სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა მიიღო. როგორც მათ აღნიშნეს, საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების პირველი შთაბეჭდილება საკმაოდ პოზიტიურია, განსაკუთრებით კი პრივატიზების სფერო გამოკვეთეს.

იხ. მე-2 გვ.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/sakartvelos-respublika

გასულ კვირაში ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 12719 მკითხველი. მათ შორის, 73% აშშ-დან, 21% — საქართველოდან.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი დაარსებულია 1919 წელს, აღდგენილია 1990 წელს. №96 (3837) სამშაბათი, 24 აპრილი, 2001 წელი. ფასი 50 თეთრი.

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

„მინისტრთა კაბინეტის შემოღება წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი სახელმწიფოს შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების გზაზე“

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 23 აპრილის რადიოინტერვიუ

— განვლილი პერიოდის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო მოქალაქეთა კავშირის მთავარი საბჭოს სხდომაზე თქვენს მიერ განსახილველად გამოტანილი წინადადება მინისტრთა კაბინეტის შექმნის შესახებ. რამ განაპირობა ეს წინადადება? და, კიდევ ერთი: მასმედიაში გამოითქვა აზრი, თითქოს მოქალაქეთა კავშირმა მიაღწია იმას, რაც მას ამდენი ხნის განმავლობაში სურდა, — ჟურნალისტის **ნატო ონიანის** ამ შეკითხვის პასუხად საქართველოს პრეზიდენტმა **ედუარდ შევარდნაძემ** თავის ტრადიციულ ორშაბათის რადიოინტერვიუში განაცხადა:

იხ. მე-2 გვ.

მმართველი პარტია

ჩვენ ვალდებული ვართ, გავამართლოთ ის ნდობა, რომელიც ხალხმა გამოგვიცხადა პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნების დროს

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მთავარი საბჭოს განცხადება

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მთავარი საბჭო, რომელიც სრულად აცნობიერებს მმართველი პარტიის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე, თავს უფლებამოსილად მიიჩნევს განაცხადოს:

ქვეყანაში შექმნილი სიძნელეები, სოციალური და ეკონომიკური ვითარება უსწრაფესი და გადამწყვეტი ზომების მიღებას მოითხოვს. მართალია, პარლამენტისა და პრეზიდენტის ბოლო არჩევნების შემდეგ გარკვეული ძვრები შეიმჩნევა, — მხედველობაში გვაქვს, უპირველეს ყოვლისა, საბიუჯეტო წესრიგის დამყარების ნიშნები, — მაგრამ ისიც კარგად გვესმის, რომ პრობლემები გაცილებით მეტია. ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვიქნებით კმაყოფილი არსებული სიტუაციით და მიგვაჩნია, რომ ბევრად უფრო გაბედული, უფრო რადიკალური ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს.

იხ. მე-2 გვ.

კორუფციის წინააღმდეგ

სრული განუკითხაობა და ხელოვნურად შექმნილი ქაოსი კორუფციულ გარემოს ქმნის

საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის მოხსენება საქართველოს მთავრობის 21 აპრილის სხდომაზე აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის აღრიცხვის, შემწეობის თანხების გაცემისა და ჰუმანიტარული ტვირთების განაწილების შესახებ

საქართველოს პრეზიდენტმა ქვეყნის სხვადასხვა უწყებას დაავალა დევნილთა პრობლემატიკაში სრულყოფილად გარკვევა და სათანადო წესრიგის დამყარება. აღნიშნული მიმართულებით საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ბოლო პერიოდში ჩატარებულმა შემოწმებებმა ცხადყო აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის აღრიცხვის, მათზე ფულადი დახმარებების გაცემისა და ჰუმანიტარული ტვირთების განაწილების საქმეში არსებული სრული განუკითხაობა, ხელოვნურად შექმნილი ქაოსი, რაც ქმნის ერთგვარ დანაშაულებრივ და კორუფციულ გარემოს.

სს „საქართველოს საფოსტო ბანკში“ მიმდინარე თემატური შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ 1998 წლის 25 თებერვალს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამართულ ტენდერზე „საფოსტო ბანკმა“ ორი წლით — 2000 წლის 1 აპრილამდე მოიპოვა უფლება მოემსახუროს პენსიების, ლტოლვილთა და ხიზანთა შემწეობების ნაღდ ანგარიშებს, რისთვისაც სატენდერო კომისიის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით მიენიჭა აგენტი ბანკის სტატუსი 2 წლით.

იხ. მე-3 გვ.

გიხაროდენ!

პატარა ანას სოხუმში მშვიდობით დაბრუნება უსურვეს

ეკა ბასილაძეს და გიზო კვესელავას ამ დღეებში გოგონა შეეძინათ, რომელსაც ანა დაარქვეს. ისინი აფხაზეთიდან, ქალაქ სოხუმიდან არიან დევნილები და ამჟამად დროებით წყალტუბოში ცხოვრობენ.

ანა ჯანმრთელი დაიბადა; ამბობენ, დედას ჰგავსო, ქერა თმებითა და ცისფერი თვალებით.

ეკასა და გიზოს ახალგაზრდა ოჯახს მეგობრებმა და ახლობლებმა გოგონას შეძენა მიულოცეს, კვლავაც გამრავლება და მალე მშვიდობით დაბრუნება უსურვეს.

ჩვენც ვულოცავთ!

კესო კირთაძე.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

გვეხმაურებიან

დევნილებს პურის ფქვილი დაურიგდებათ

22 აპრილს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა საქინფორმის ინფორმაცია სათაურით „დაპირება არ სრულდება“, რომელშიც ნათქვამია, რომ თითქოს ზუგდიდში განსახლებული დევნილები გამოთქვამენ უკმაყოფილებას იმის თაობაზე, რომ მიმდინარე წლის 10 მარტისათვის უნდა დამთავრებულიყო თითოეული დევნილისათვის განკუთვნილი 15 კგ. პურის ფქვილის გაცემის მე-2 ეტაპი და დევნილები საპროტესტო აქციებით იმუქრებიან, რაც არ შეეფერება სინამდვილეს.

საქმე ისაა, რომ დევნილთათვის გამოყოფილი პურის ფქვილის დარიგების პირველი ეტაპი დაპირებისამებრ დაიწყო 16 თებერვალს და დასრულდა 15 მარტს. ეს ის პერიოდია, რომელიც აუცილებლად სჭირდებოდა წისქვილკომბინატებს ხორბლის გადასამუშავებლად და დევნილთათვის მის შემდგომ მისაწოდებლად. ამდენად, ვერავინ ვერავის დაჰპირდებოდა დევნილთათვის პურის ფქვილის დარიგების მეორე ეტაპის 10 მარტისათვის დასრულებას.

ამ დღეებში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო დააფინანსებს მეორე ეტაპისათვის განკუთვნილი სასურსათო ხორბლის გადამუშავებისა და პურის ფქვილის მიწოდებისათვის საჭირო ხარჯებს, რის შემდგომ დაიწყება მისი დარიგება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრესცენტრი.

კანონმდებლები

გამოკვეთეს მომავალი საქმიანობის პრიორიტეტები

პარლამენტის პლენარული სხდომები ამ სასესიო კვირას მხოლოდ სამშაბათს და პარასკევს გაიმართება. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო პარლამენტის ბიურომ 23 აპრილის სხდომაზე.

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო საარჩევნო კოდექსისა და თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით იწყებს საგანგებო მუშაობას. საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე პარლამენტის საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტი იქნება კანონპროექტი საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ. პარლამენტი აპირებს მთელი ძალების კონცენტრაციას ქვეყნის პრეზიდენტის ინიციატივასთან დაკავშირებით მინისტრთა კაბინეტის შემოღების თაობაზე.

იხ. მე-3 გვ.

დევნილთა უკიდურესად მძიმე სოციალური მდგომარეობის ფონზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ და მინისტრთა საბჭომ სხვადასხვა რანგის თანამდებობის პირებისათვის 30 ავტომანქანა 425,7 ათას ლარად შეიძინეს.

იხ. მე-3 გვ.

ბიუჯეტი

20 მილიონი ლარით ნაკლები...

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემებით, საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტიდან სახელმწიფო ბიუჯეტში გასულ წელს 261,6 მილიონი ლარი შევიდა. დამატებითი ღირებულების გადასახადი გეგმით გათვალისწინებული 118 მილიონი ლარის ნაცვლად აკრეფილია 124,5 მილიონი ლარის ოდენობით; აქციზი — გეგმით გათვალისწინებული 94,1 მილიონი ლარის ნაცვლად, მობილიზებულია 79,7 მილიონი ლარის ოდენობით, ანუ 14,4 მილიონი ლარით ნაკლები, რაც მთლიანად თამბაქოს ნაწარმის იმპორტზე აქციზური მარკების რეალიზაციით მისაღები შემოსავლების გეგმის შესრულებაში დაშვებული დიდი გარღვევით (15,1 მილიონი ლარი) იყო განპირობებული; საბაჟო გადასახადი — გეგმით გათვალისწინებული 41,9 მილიონი ლარის ნაცვლად მობილიზებულია 53 მილიონი ლარის ოდენობით; საგზაო ფონდში კი, საავტომობილო ბენზინის აქციზის სახით, გეგმით გათვალისწინებული 4,5 მილიონი ლარის ნაცვლად, ჩარიცხულია 4,3 მილიონი ლარი.

2000 წლის გეგმური მაჩვენებლის გადაჭარბებით შესრულების მიუხედავად, ფაქტობრივად მობილიზებული შემოსავლების მოცულობა (261,6 მილიონი ლარი) 1999 წელს მიღებულ შემოსავალზე 20 მილიონი ლარით ნაკლებია.

საქინფორმი.

კადრი



თეძამსაც ძალა მოუკრებია.

თეძმის ხეობა (კასპის რაიონი).
ამირან ადამიშვილის ფოტო.

ინფორმაცია

პარტიზანების გათავისუფლების მოთხოვნით

სასტუმრო „ივერიის“ მოედანზე გაიმართა ხალხმრავალი აქცია აფხაზი სეპარატისტების მიერ დატყვევებული ქართველი პარტიზანების თავისუფლების მოთხოვნით.

აქციაში მონაწილეობდნენ დევნილი მოსახლეობის წარმომადგენლები, უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგები და სტუდენტები.

„ტყის ძმების“ ერთი წევრი მოკლეს

23 აპრილს, ღამით გალის რაიონის სოფელ ჩეგალში მოკლეს შეიარაღებული ჯგუფის „ტყის ძმების“ ერთი წევრი.

კონფლიქტის ზონიდან მიღებული წინასწარი ინფორმაციით, „ტყის ძმების“ წევრი მოკლა აფხაზური მილიციის ოფიცერმა იქ მომხდარი ორმხრივი სროლის დროს.

ორი რუსი მესაზღვრე დაიჭრა

ორი რუსი მესაზღვრე დაიჭრა საქართველოსთან საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე განლაგებული საგუშაგო „გულის“ მიმართულებით მოთარეშეთა მიერ გახსნილი ცეცხლის შედეგად.

როგორც პრაიმ-ნიუსს სტავროპოლში დისლოცირებული რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონული სამმართველოს პრესსამსახურში აცნობეს, საგუშაგოს ერთ-ერთი ახლომდებარე მთიდან სავარაუდოდ სნაიპერებმა გაუხსნეს ცეცხლი.

ერთ-ერთი დაჭრილი ჯარისკაცი ვერტმფრენით გადაიყვანეს ვლადიკავკაზის ჰოსპიტალში, მეორეს კი აუცილებელი სამედიცინო დახმარება ადგილზე აღმოუჩინეს.

ლევან მამალაძის ახალი ინიციატივა

გუშინ ქვემო ქართლის გუბერნატორი ლევან მამალაძე გამოვიდა ინიციატივით — ჩრდილოვანი ეკონომიკის წინააღმდეგ ბრძოლის სამხარეო კომისიის პარალელურად შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი.

ჯგუფი დაკომპლექტდება ჟურნალისტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან, და შეისწავლის კორუფციის კონკრეტულ შემთხვევებს. ჟურნალისტები აწარმოებენ ჟურნალისტურ გამოძიებას, მოპოვებულ ინფორმაციას კი გააცნობენ კომისიას და საზოგადოებას.

40 პენსიონერს — ყოველთვიური დახმარება

რუსთავის საკრებულომ და შპს „ყაზბეგმა“ გააფორმეს ხელშეკრულება 40 პენსიონერისათვის ყოველთვიური დახმარების სახით 25 ლარის გამოყოფის თაობაზე.

დახმარებას მიიღებენ მარტოხელა პენსიონერები, ინვალიდი ბავშვები და უკიდურესად გაჭირვებული პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები.

დეკლარაციები ჯერჯერობით 1312-მა თანამდებობის პირმა შეავსო

საფინანსო და ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები 3400-დან ჯერჯერობით 1312-მა თანამდებობის პირმა შეავსო.

წლეულს სადეკლარაციო პერიოდი 1 აპრილს დაიწყო და 30 აპრილს დასრულდება.

დეკლარაცია უკვე შეავსეს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა, ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა ივანე ჩხარტიშვილმა, პარლამენტარმა გიორგი ბარამიძემ, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ ვლადიმერ კახაძემ. თანამდებობის პირი ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის დეკლარაციების წარუდგენლობისა და დეკლარაციებში შეგნებულად არასწორი მონაცემების შეტანისათვის პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსების შესაბამისად.

ფესტივალის ფინალში „აუდიენციის“ ფილმი გავიდა

მოსკოვში მიმდინარე მესამე სახელმწიფოთაშორისი ტელე-კინო ფესტივალის „საზოგადოება და წესრიგის“ ერთ-ერთი ძირითადი ნომინაციის — „პროგრამა/ფილმი ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ ფინალში გავიდა სტუდია „აუდიენციის“ მიერ მომზადებული ფილმი „გააღეთ, თქვენთვის ინფორმაცია მაქვს!“.

როგორც პრაიმ-ნიუსს სტუდია „აუდიენციაში“ აცნობეს, ფესტივალში, რომელიც მოსკოვში სასტუმრო „კოსმოსში“ ორშაბათს გაიხსნა და 6 დღეს გასტანს, მონაწილეობს რამდენიმე სახელმწიფოს 200-ზე მეტი ტელეკომპანია და სტუდია.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა და იპრინდამ.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში
დაბლობში: ღამით +11+16;
დღისით +16+21.
მთაში: ღამით +7+12;
დღისით +12+17.
აღმოსავლეთ საქართველოში
ბარში: ღამით +5+10;
დღისით +18+23.
მთაში: ღამით +2+7;
დღისით +12+17.
თბილისში
ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა ელჭექით.
ღამით +8+10;
დღისით +21+23.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ლარის კურსი

24 აპრილიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

ინგლისური გირვ.	1	2.9736	ლარი
გერმანული მარკა	1	0.9532	ლარი
აშშ დოლარი	1	2.0600	ლარი
ევრო	1	1.8643	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0713	ლარი

დღის ანეკდოტი

— რით გვანან პოლიტიკოსები მეძავებს?
— ერთნიც და მეორენიც ფულის გულისთვის მზად არიან ყველაფრისთვის.
— რით განსხვავდებიან პოლიტიკოსები მეძავებისაგან?
— მეძავების პროფესიული დაავადებანი (ათაშანგი და ა. შ.) განკურნებადია, ხოლო პოლიტიკოსების პროფესიული დაავადებანი (ჭკუათხელობა, პარანოია, განდიდების მანია) — განკურნებას არ ექვემდებარება.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

— ვარ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, 90 წელს გადაცილებული, სამამულო ომში მარჩენალდაკარგული ქვრივი, პირველი ჯგუფის ინვალიდი, რომელიც სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, სხვა პირთაგან მუდმივ მოვლას საჭიროებს.

გთხოვთ, განმიმარტოთ, ვრცელდება თუ არა ჩემზე კანონი ორი პენსიის დანიშვნის შესახებ?

ნინა სულაქველიძე.

— მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ორი სახეობის პენსია ენიშნებათ იმ პირებს, რომელთაც გააჩნიათ სამხედრო წოდება, პენსია ძალოვანი სტრუქტურებიდან დანიშნული აქვთ ინვალიდობის (არა წელთა ნამსახურობის) გამო და იპოვებენ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებიდან პენსიის მიღების უფლებას.

შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, თქვენ ორი სახის პენსიის დანიშვნის უფლებას ვერ იპოვებთ.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.

უკანასკნელ საათს



__ისრაელში__ და პალესტინის ტერიტორიებზე გრძელდება ძალადობის აქტები. ქალაქ ორ-იეჰუდში დანაღმული ავტომანქანის აფეთქების შედეგად დაიჭრა 4 ადამიანი. ბომბი ააფეთქეს ებრაულ დასახლებაში მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე.

ავტობუსის გაჩერებაზე მომხდარ აფეთქებაზე, რომლის შედეგად დაიღუპა ერთი და დაიჭრა 40 ისრაელი, პასუხისმგებლობა აიღო რადიკალურმა დაჯგუფება „ჰამასმა“.

ისრაელმა ჯარისკაცებმა ღაზის სექტორში მოკლეს ერთი და დაჭრეს 14 პალესტინელი.

ახლო აღმოსავლეთში ძალადობის აღკვეთის მიზნით ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი შიმონ პერესი აშშ-ში გაემგზავრა სახელმწიფო მდივანთან კოლინ პაუელთან შესახვედრად.

ინტერპანორამა

__სერბიის__ უმაღლესმა სასამართლომ გადაწყვიტა გაიმართოს იმ 153 კოსოველი ალბანელის საქმის განმეორებითი მოსმენა, რომლებიც შარშან დამნაშავედ ცნეს ტერორიზმში და ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

__აშშ__ და რუსეთი ჯერჯერობით ვერ თანხმდებიან იმაზე, დართონ თუ არა ნება ამერიკელ მილიონერს დენის ტიტოს, გაფრინდეს კოსმოსში და გახდეს პირველი კოსმოსური ტურისტი.

__იაპონიაში__ რეფორმების გამოჩენილმა მომხრემ ძიუნიტირო კოიძუმიმ დამაჯერებლად გაიმარჯვა მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის არჩევნებში.

„საქართველოს რესპუბლიკა“ — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

„მინისტრთა კაბინეტის შემოღება წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი სახელმწიფოს შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების გზაზე“

(პირველი გვერდიდან)

– მინისტრთა კაბინეტის შექმნას საქართველოში ღრმა სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური წანამძღვრები აქვს.

ეს არ არის სპონტანური, მით უმეტეს, ემოციური გადაწყვეტილება. მას საფუძვლად უდევს ქართული სახელმწიფოს მშენებლობისას წარმოშობილ პრობლემათა და ამოცანათა ღრმა ანალიზი.

ანუ, უპირველესი პრიორიტეტია ქვეყნის, ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფოს ინტერესები, მისი შემდგომი განვითარება და განმტკიცება.

ამთავითვე უნდა აღვნიშნო: წინადადება მინისტრთა კაბინეტის ინსტიტუტის შემოღების შესახებ სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია რაიმე თვალსაზრისით მანკიერია. არამც და არამც! პირიქით, ამჟამინდელმა კონსტიტუციამ ურთულეს ისტორიულ პერიოდში ჭეშმარიტად უნიკალური ფუნქცია შეასრულა. სწორედ მან მოგვცა საშუალება, საერთო ძალისხმევით შეგვექმნა, აგვეშენებინა ქართული სახელმწიფო!

კონსტიტუციის საფუძველზე ჩამოყალიბდა ახალი სახელმწიფოს არქიტექტურა, ძირითადი საყრდენი ინსტიტუტები, მაგრამ ახალ პირობებს, ახალ ისტორიულ ეტაპს, შესაბამისად, ნოვატორული მიდგომა სჭირდება.

– როგორც მახსოვს, 1995 წელს კონსტიტუციის მიღებისას ოპოზიციის ერთმა ნაწილმა თქვენ საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელი შემოგთავაზათ, თუმცა მაშინ ამაზე უარი ითქვა...

–ამ პრობლემას მაშინაც განვიხილავდით, მაგრამ მაშინ უმრავლესობამ ჩავთვალეთ, რომ იმ ეტაპზე უმჯობესი იყო ძალაუფლება პრეზიდენტის ხელში ყოფილიყო კონცენტრირებული.

მინისტრთა კაბინეტის იდეა მხოლოდ მოქალაქეთა კავშირში არ წარმოშობილა. მას იზიარებდნენ და იზიარებენ ოპოზიციური მოღვაწეები, სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა ლიდერები. ისინი დიდი ხანია მოითხოვენ ამ ნაწილში კონსტიტუციის სრულყოფას.

შეიძლება ეს საკითხი ერთი-ორი წლით გადაგვედო, მაგრამ ხანგრძლივი განსჯის შემდეგ მივიჩნიე, რომ სახელმწიფო და საზოგადოება უკვე მზად არიან ამგვარი ცვლილებისათვის.

კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ: მინისტრთა კაბინეტის შემოღება წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი სახელმწიფოს შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების გზაზე. საბოლოო სიტყვას პარლამენტი იტყვის.

ეს კონცეფცია გულისხმობს როგორც აღმასრულებელი, ასევე, საკანონმდებლო ხელისუფლების კიდევ უფრო გაძლიერებას. ურთიერთკონტროლის, ურთიერთგაწონასწორების კონსტიტუციურ მექანიზმთა სრულყოფას.

მე არ ვიტყოდი, რომ ეს არის ფრანგული ან რუსული მოდელი. საერთოდ, ამგვარი განსაზღვრება მეტისმეტად სქემატურია, წმინდა თეორიულად სამართლიანიც რომ იყოს.

პარლამენტთან ერთად ჩვენ შევქმნით ხელისუფლებათა გამიჯვნისა და ურთიერთმიმართების ქართულ მოდელს.

ანუ, ჩემი თვალთახედვით, ეს იქნება ძლიერი პრეზიდენტი, უფრო ძლიერი, ვიდრე დღეს, ძლიერი პარლამენტი, ისიც დღევანდელზე უფრო ძლიერი და არა მარტო პასუხისმგებლობით, არამედ მნიშვნელოვანი უფლებამოსილებით აღჭურვილი მთავრობა – მინისტრთა კაბინეტი.

ეს მოდელი მთავრობას საშუალებას მისცემს, მიიღოს კარდინალური გადაწყვეტილებანი, გახდეს კოლეგიური ორგანო, ხოლო პარლამენტის უფლებები მთავრობისადმი კონტროლის თვალსაზრისით განუზომლად იზრდება, ისევე, როგორც პრეზიდენტი ინარჩუნებს მთავრობაზე ზეგავლენის ყველა იმ ბერკეტს, რომელიც მას აქვს.

საკმარისია ითქვას, რომ საკანონმდებლო ორგანოს ენიჭება მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების უფლება. ეს ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი სიახლეა.

შესაბამისად, სახელმწიფოს მეთაურიც – პრეზიდენტი აღიჭურვება უფლებით, კრიზისულ ვითარებაში, განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც აღარ რჩება ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის დაძლევის სხვა საშუალება, დაშალოს პარლამენტი და განსაზღვრულ ვადებში დანიშნოს პარლამენტის ახალი არჩევნები. მესმის, რომ პრეზიდენტის ასეთი უფლება, მტკივნეულად აღიქმება, მაგრამ ამის გარეშე შეუძლებელია მინისტრთა კაბინეტის არსებობის პირობებში შესაბამისი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური საპირწონეების შექმნა.

– ყოველ შემთხვევაში, მოქალაქეთა კავშირი საკმაოდ დიდი ენთუზიაზმით შეხვდა თქვენს წინადადებას და პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვის იდეას...

–დიახ, პრეზიდენტის წინადადებას საკმაოდ დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ, შეიძლება ითქვას, ასეთ გამოხმაურებას მე არც მოველოდი. კიდევ უფრო სასიამოვნოა ის, რომ როგორც პირველ არხზე, ისე „რუსთავი-2“-ზე მოვისმინე ოპოზიციის წარმომადგენელთა გამოსვლები და ძალზე სასიამოვნოა, რომ მათი აზრითაც ეს წინადადება მისაღებია. პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურია და იგი ვალდებულია განახორციელოს გადამწყვეტი ღონისძიებანი ქვეყანაში პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობის შესანარჩუნებლად, ვიმეორებ, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, კონსტიტუციით მკაცრად განსაზღვრული პირობების დაცვით.

ეს ნორმა მრავალ ქვეყანაში მოქმედებს და მან უკვე დაამტკიცა, რომ არათუ ეწინააღმდეგება დემოკრატიის პრინციპებს, არამედ დემოკრატიული წყობის დაცვის გარანტიაა.

პრეზიდენტი ხდება ერთგვარი შუამავალი პარლამენტსა და მთავრობას შორის, უმაღლესი არბიტრი, რომელიც იმავდროულად, რა თქმა უნდა, ინარჩუნებს სერიოზულ ბერკეტებს სტრატეგიულ პროცესებზე ზემოქმედებისათვის. მათ შორისაა მთავარსარდლის ფუნქციები, ამავე დროს პრეზიდენტი ხელმძღვანელობს ყველა მნიშვნელოვან კომისიას, კერძოდ, კორუფციასთან ბრძოლის საბჭოს, გარდა ამისა, აუცილებლობის შემთხვევაში იგი უხელმძღვანელებს მთავრობის სხდომასაც.

რაც შეეხება მინისტრთა კაბინეტს, მე იმის მომხრე ვარ, იგი დაკომპლექტდეს პოლიტიკური ნიშნით. ანუ პარტია, თუ იგი მოიპოვებს უმრავლესობას პარლამენტში, ქმნის აღმასრულებელ გუნდს და, ბუნებრივია, დიდწილად პასუხისმგებლობასაც კისრულობს ეკონომიკური რეფორმის წარმატებისათვის.

ვფიქრობ, ეს მოდელი შესანიშნავ ასპარეზს უქმნის პოლიტიკურ ძალთა თანამშრომლობას. საპარლამენტო ოპოზიცია აქტიურად მოითხოვდა მინისტრთა კაბინეტის დაფუძნებას. იგი მიესალმა ჩემს ინიციატივას და მთლიანობაში, როგორც ჩანს, სავსებით კონსტრუქციულად არის განწყობილი. ეს კი საზოგადოების კონსოლიდაციის, შეკავშირებისა და შეთანხმების ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა.

მაშინ როცა, პრეზიდენტი უშუალოდ მართავს მთავრობას, მას ძალიან ცოტა დრო რჩება პერსპექტიულ საკითხებზე ფიქრისათვის, არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთაც. რასაც დღეს პრეზიდენტი აკეთებს, ეს ხანდახან ერთი ადამიანის ძალას აღემატება. ჩვენ რომ ვიყოთ განვითარებული ქვეყანა, ეს, შესაძლოა, ნორმალურიც იყოს, მაგრამ ჩვენს პირობებში პრეზიდენტის მიერ ქვეყნის უკეთ მართვისათვის დამატებითი ძალებია საჭირო.

– დღეს უკვე ძალიან ბევრს ლაპარაკობენ პრემიერ-მინისტრის პოსტზე შესაძლო კანდიდატურების შესახებ. თქვენი კომენტარი...

–რა თქმა უნდა, ვფიქრობ, მაგრამ ჯერჯერობით რაიმე გადაწყვეტილება არ მიმიღია. დღეს ბატონი გიორგი არსენიშვილია სახელმწიფო მინისტრი გაფართოებული უფლებებით. რა თქმა უნდა, არის სხვა კანდიდატურებიც. საზოგადოებამაც უნდა იფიქროს, ასევე პარლამენტმაც. ეს არ არის იოლად მისაღები გადაწყვეტილება. უნდა მოიძებნოს ისეთი კანდიდატურა, კიდევ უფრო რომ შეაკავშირებს იმ გუნდს, რომელიც პასუხისმგებელია სახელმწიფოს მართვისათვის. არ გამოვრიცხავ ოპოზიციის მონაწილეობას ამ პროცესში.

– მთავრობა უმრავლესობიდან დაკომპლექტდება თუ იქნება შერეული შემადგენლობა?

– ჩემი აზრით, მთავარია არა მთელი მთავრობის განახლება, ეს ახლახან გავაკეთეთ, მთავარია, შეიქმნას თვით მინისტრთა კაბინეტი, დაინიშნოს პრემიერი, ერთი ან რამდენიმე ვიცე-პრემიერი, ასევე ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო მინისტრი იმის გათვალისწინებით, რომ სასურველია მინისტრთა კაბინეტში წარმოდგენილი იყოს ცალკეული რეგიონები, ვთქვათ, აჭარიდან, მომავალში – აფხაზეთიდან, ვთქვათ, სახელმწიფო მინისტრის რანგში, მათ ექნებათ ძალზე დიდი ფუნქციები. ამავე დროს, თუ ჩემს აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება, მინისტრთა დღევანდელ კორპუსს არ დავანგრევდი. არსებულ კორპუსში არის ნდობის ფაქტორი, ცვლილებათა შეტანა კი ყოველთვის შეიძლება.

– როგორც თავად აღნიშნეთ მოქალაქეთა კავშირის მთავარი საბჭოს სხდომაზე, ეს ინიციატივა სრულებითაც არ ნიშნავს კონკრეტული საქმიანობის შესუსტებას. ამდენად, ტრადიციული კითხვა: რას გამოჰყოფდით გასული კვირის ეკონომიკური მოვლენებიდან?

–დავიწყებ იმით, რომ თბილისის საავიაციო ქარხანამ (ეს საწარმო საქართველოს უდიდესი სიმდიდრეა) კიდევ ერთი შესანიშნავი პროექტი განახორციელა.

პირადად დავესწარი ახალი საბრძოლო თვითმფრინავის საჩვენებელ ფრენას.

ამ ღონისძიებას ესწრებოდნენ ისრაელის თავდაცვის სამინისტროს და ისრაელის კომპანია „ელბიტ სისტემზის“ წარმომადგენლები.

ქართველ კოლეგებთან ერთად კომპანიამ სულ რამდენიმე თვეში შეძლო სუ-25-ის ტიპის თვითმფრინავის მოდერნიზება.

ეს ქართული საინჟინრო სკოლის დიდი გამარჯვებაც არის.

მაგრამ საავიაციო ქარხანას, ამას გარდა, შესწევს უნარი სხვა სახეობის მაღალტექნოლოგიური პროდუქციაც გამოუშვას. მაგალითად, მცირე ჰიდროელექტროსადგურები, მზისა და გაზის გამათბობლები და ასე შემდეგ. ამრიგად, თბილავიამშენს უდავოდ შესანიშნავი პერსპექტივა აქვს, ეს კი საქართველოში ათასობით ახალი სამუშაო ადგილის შექმნას, დიდძალი ინვესტიციის მოზიდვასა და სამეცნიერო-ტექნიკური პროექტების დაფინანსებას ნიშნავს.

კიდევ ორი პროექტის შესახებ: 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია სამი მილიონი ლარის გამოყოფა ქართული ჩაის ექსპორტის ხელშეწყობის პროგრამის განსახორციელებლად.

ახლახან, თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს მთავრობის დელეგაციის ვიზიტის დროს განიხილეს ქართული ჩაისათვის შეღავათიანი კვოტის დაწესების საკითხი – ხუთი ათას ტონამდე, პირველადი გაანგარიშებით.

ამასთანავე, მსოფლიო ბაზარზე შესამჩნევად იმატა ჩაიზე მოთხოვნამ.

6 აპრილს ხელი მოვაწერე ბრძანებულებას „ჩაის ექსპორტის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფის შესახებ“, რის საფუძველზეც გაიმართება ღია ტენდერი პროგრამული დაფინანსებით – რესურსის გასანაწილებლად.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის და ფინანსთა სამინისტროებმა უკვე გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება ტენდერის შესახებ.

გაიმართა სატენდერო კომისიის ორი სხდომა.

დარწმუნებული ვარ, ტენდერი წარიმართება ღიად, გამჭვირვალედ და უპირატესობა მიენიჭება ნამდვილად ღირსეულს. ჩაი კვლავაც სტრატეგიულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციად რჩება ჩვენი ქვეყნისათვის.

აქვე არ შემიძლია არ ვთქვა ორიოდე სიტყვა გვალვით დაზარალებული მოსახლეობის დახმარების შესახებ. ჩვენ უმძიმესი, შეიძლება ითქვას, კატასტროფული გვალვა გადავიტანეთ და განურჩევლად ხელისუფლებათა გამიჯვნის მოდელებისა, ქართველი გლეხობის, ფერმერების დახმარება პრეზიდენტისათვის არის და კვლავაც იქნება უპირველესი ამოცანა.

ჩემი თხოვნით, მართლაც უდიდესი დახმარება გაგვიწიეს მეგობრებმა მთელი მსოფლიოდან – ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, გერმანიამ, ევროკავშირის სხვა ქვეყნებმა, თურქეთმა, უკრაინამ, აზერბაიჯანმა...

ფაოს პროგრამით, შესაბამის ტენდერში გამარჯვებულმა ფირმებმა სიმინდის თესლი სამეგრელოში შეისყიდეს. ეს, შეიძლება ითქვას, ორმაგი დახმარებაა, ვინაიდან გვალვით დაზარალებული რაიონების ფერმერთა დახმარების გარდა, საკმაოდ სოლიდურ თანხას – 245 ათასი დოლარის ეკვივალენტს ლარებით სამეგრელოს რეგიონი 30 საბანკო დღის განმავლობაში მიიღებს.

545 ტონა სიმინდის თესლის უსასყიდლოდ დარიგება უკვე დაიწყო იმერეთისა და კახეთის რეგიონებში. ყველაფრის ჩამოთვლა ძნელია, დავასახელებ მხოლოდ ჰოლანდიიდან და გერმანიიდან მიღებულ კარტოფილის სარგავ მასალას, რომელიც სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, ქვემო ქართლის, რაჭა-ლეჩხუმის და აჭარის ფერმერებს გადაეცემათ. ამრიგად, ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ სოფელი არათუ გადარჩეს, არამედ წელშიც გაიმართოს და ეკონომიკის შემდგომ აღმავლობას შეუწყოს ხელი მიმდინარე და მომავალ წელს.

–გასულ კვირას საქართველოს ეწვია რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი ვლადიმერ რუშაილო. თქვენი აზრით, როგორ განვითარდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა უახლოეს თვეებში?

– არც მოსკოვში და არც თბილისში არა ვართ და არც შეიძლება ვიყოთ კმაყოფილი ურთიერთობათა ამჟამინდელი დონით.

ამდენად, სავსებით ბუნებრივად და დროულად მიმაჩნია პრეზიდენტ პუტინის წინადადება, საქართველოში ჩამოსულიყო რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი ბატონი ვლადიმერ რუშაილო.

იგი რამდენიმე წელია ძალზე აქტიურად და ნაყოფიერად მუშაობს ქართველ კოლეგებთან.

ნიშანდობლივია, რომ მან კეთილგანწყობითა და კონსტრუქციული მიდგომით მრავალი მწვავე საკითხის გადაწყვეტა შეძლო გასულ წლებში.

მასთან საუბარი საკმაოდ საინტერესო გახლდათ.

იგი ცარიელი პორტფელით (ასე ვთქვათ) არ ჩამოსულა.

კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ ჩვენ მზად ვართ ყველა მიმართულებით განვავითაროთ ურთიერთობა მეზობელ, ისტორიულად მეგობარ რუსეთთან თანასწორუფლებიანობისა და ინტერესთა თანხვედრის საფუძველზე.

გუშინ მე მოქალაქეთა კავშირის მთავარი საბჭოს სხდომაზე ვილაპარაკე იმის შესახებ, რომ პოლიტიკური ხელოვნება ის კი არ არის, რომ მეზობელი გადაიკიდო და ურთიერთობა გაართულო, თუმცა ხანდახან ესეც გარდაუვალი ხდება. ჩვენსა და რუსეთს შორის ახლა სულაც არ არის იდეალური ურთიერთობა. ამიტომ მთელი ჩვენი ხელოვნება, ჭკუა და გონება უნდა მოხმარდეს სხვა ქვეყნებთან, განსაკუთრებით, მეზობლებთან კარგ ურთიერთობათა დამყარებას.

– გასულ კვირას თქვენ ხელი მოაწერეთ ბრძანებულებას ანტიკორუფციული საკოორდინაციო საბჭოს შექმნის თაობაზე. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ დგება გადამწყვეტ ღონისძიებათა ჟამი?

– ლოგიკურ დასასრულს უახლოვდება საქართველოში ანტიკორუფციული სისტემის ჩამოყალიბების პროცესი.

ამ კვირაში, ალბათ, საზოგადოებას უკვე ეცოდინება საკოორდინაციო საბჭოს 12-ივე წევრის ვინაობა.

ანტიკორუფციული საბჭო იქმნება იმ ძალზე მძლავრი, ღრმა და კვალიფიციური დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც ცნობილმა „შვიდკაცამ“, სპეციალურმა კომისიამ მოამზადა ბატონ ლადო ჭანტურიას ხელმძღვანელობით.

ამჟამად ყველა პირობა არსებობს საიმისოდ, რომ ანტიკორუფციული სისტემა მთელი ძალით ამოქმედდეს.

უპირველესად, ეს იქნება ინფორმაციის მოპოვება, მისი ანალიზი და შესაბამის რეკომენდაციათა შემუშავება და, რა თქმა უნდა, ამ კომისიას ძალას მატებს ისიც, რომ იგი პრეზიდენტთან არსებულია და პრეზიდენტის ძალა და უფლება გამოყენებული იქნება კომისიის მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად. ჩვენ აქაც გაბედული ნაბიჯი გადავდგით – სრულიად ახალგაზრდა კაცს მირიან გოგიაშვილს (მან განათლება საზღვარგარეთ მიიღო, შემდეგ ერთი წლის განმავლობაში ჩემს თანაშემწედ იმუშავა) მივანდეთ ამ დიდი საქმის ხელმძღვანელობა. ძალიან პრინციპული ახალგაზრდაა და კარგად ერკვევა ფინანსებში.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში რეალურად დაიწყო.

საზოგადოებისათვის ცნობილია ქვეყნის, სახელმწიფოს, მოსახლეობის, მათ შორის, უბედური ლტოლვილების უმოწყალოდ ძარცვის რამდენიმე შემაძრწუნებელი მაგალითი. მთავრობის ბოლო სხდომაზე ჩვენ განვიხილეთ ეს საკითხი და, სიმართლე გითხრათ, დიდი შეშფოთების გარეშე ვერ მოისმენთ ინფორმაციას ამის თაობაზე. მაშინ როცა ადამიანებს ასე უჭირთ, ლაპარაკია მილიონების მითვისებაზე. **(საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის მოხსენებას დღევანდელი ნომრის პირველ-მესამე გვერდებზე გთავაზობთ. – რედ.).**

პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების სამინისტროს, კონტროლის პალატას, კორუფციასთან მებრძოლ ახალ ჯგუფს კიდევ მრავალი საქმე აქვს პორტფელში და ისინი ლოგიკურ დასასრულამდე, ანუ სამართლიანობის აღდგენამდე იქნება მიყვანილი.

–გასულ კვირას კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა აფხაზეთის თემა, იქ არსებული კრიმინოგენური ვითარების გამო...

–რომელი მხარეა დამნაშავე, მე ამ თემაზე, ალბათ, არ უნდა ვილაპარაკო, ჯერ ერთმა დაიწყო, მერე მეორემ უარესი გააკეთა. მთავარი ის არის, რაც ჩვენს პასუხისმგებლობაზე მეტყველებს, მოქმედებს მცირერიცხოვანი შეიარაღებული ფორმირებანი, რომელთაც არავინ არ აკონტროლებს. ჯერჯერობით მათი კონტროლს დაქვემდებარების მცდელობაც კი არ არსებობს. დღეს მთავრდება ღონისძიებათა შემუშავება წესრიგის დასამყარებლად; დაიწყება მოლაპარაკება აფხაზებთან. ვაფრთხილებ ყველას, ეგრეთ წოდებულ პარტიზანებს თუ მოხალისეებს, ერთი მხარის წარმომადგენლები არიან თუ მეორის, თავი დაანებონ ცეცხლთან თამაშს. ეს არავის არ შერჩება, მათ შორის, ადამიანთა მოტაცება, მკვლელობა. არც ერთი მხარე არ არის მართალი, წესრიგი უნდა დამყარდეს ყოველმიზეზგარეშე, თუ არ გვინდა განმეორდეს 1998 წელს დატრიალებული ტრაგედია. გახსოვთ, რამდენი სისხლი დაიღვარა მაშინ, რამხელა მატერიალური ზარალი მივიღეთ და, საერთოდ, რა ძვირი დაუჯდა ეს სახელმწიფოს.

**საქართველოს სახელმწიფო
საინფორმაციო
სამსახური-საქინფორმი.**

თანამშრომლობას დიდი მნიშვნელობა აქვს

საქართველოში ვიზიტად მყოფი ევროპის ენერგეტიკული ქარტიის გენერალური მდივანი რია კემპერი 23 აპრილს შეხვდა საგარეო საქმეთა მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს.

ევროპის ენერგეტიკულ ქარტიასთან თანამშრომლობა ჩვენს ქვეყანას დიდ სტრატეგიულ პერსპექტივებს უსახავს. ეს პერსპექტივები განიხილება ფართო პოლიტიკური ასპექტით და მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ჩვენი ქვეყნისათვის, ასევე სამხრეთ კავკასიისათვის და ევროპისათვის მთლიანად.

ქალბატონმა კემპერმა ქართულ მხარეს წარუდგინა ინფორმაცია ენერგომატარებლების ტრანზიტის შესახებ ოქმზე სამდივნოსა და მონაწილე ქვეყნების მუშაობის მიმდინარეობის, მისი დასრულებისა და ოფიციალური ხელმოწერის პერსპექტივების შესახებ.

წაიქცა ელექტროგადამცემი „500-იმერეთის“ ელექტროანძა

21 აპრილს დაახლოებით 23 საათზე ელექტროანძის წაქცევის გამო წალენჯიხის რაიონის ტერიტორიაზე დაზიანდა სააქციო საზოგადოება „საქროსენერგოს“ კუთვნილი და ზესტაფონთან ენგურჰესის დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზი „500-იმერეთი“. წინასწარი მონაცემებით, ამას დივერსიული ხასიათი აქვს. ამის შედეგად აღმოსავლეთ საქართველოსა და მათ შორის თბილისს, შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება ქვეყნის ძირითადი წყაროდან – ენგურჰესიდან. ამჟამად, მაგალითად, თბილისი, აღმოსავლეთ საქართველოს ელექტროსადგურების მეოხებით (ძირითადად ჟინვალჰესი, ზაჰესი, ორთაჭალჰესი) მარაგდება სულ 150 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიით. მიმდინარეობს დაზიანებული მონაკვეთის აღდგენითი სამუშაოები. ფაქტის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

სამართალდამცავთა უფლებებზეც იმსჯელებენ

შვედეთის რაულ ვალენბერგის ინსტიტუტისა და გაეროს განვითარების პროგრამის ორგანიზებით თბილისში გუშინ დაწყებულ ხუთდღიან სემინარზე, რომელშიც მონაწილეობენ როგორც ძალოვანი სტრუქტურები, ასევე სასწავლო დაწესებულებები, სამართალდამცავთა უფლებებზე იმსჯელებენ ძალის გამოყენების, წინასწარი დაკავებისა და დაპატიმრების შემთხვევებში.

სემინარში მონაწილეობენ თავდაცვის სამინისტროს, უშიშროების, პოლიციის აკადემიის, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის კოლეჯის, ქუთაისის და ფოთის ლიცეუმების, აგრეთვე, საქართველოსა და აფხაზეთის სახალხო დამცველის აპარატებისა და აფხაზეთის პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წარმომადგენლები.

უკეთ რომ ვიცხოვროთ...

დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის მონაცემებით, მარტში რეგისტრირებულია 124.452 სამუშაოს მაძიებელი, აქედან 1251 მოსწავლე-ახალგაზრდაა, 1324 – პენსიონერი და 5972 – იძულებით გადაადგილებული პირი. შემწეობის მიმღებ უმუშევართა საერთო რიცხვია 3136, მათ შორის 1938 ქალია, ხოლო შემწეობაზე გაცემული თანხის საერთო რაოდენობა დაახლოებით 37 ათასი ლარია. სახელმწიფო არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა მოქალაქის ინტერესებს იცავს.

– სიღატაკის შემცირების საუკეთესო საშუალებაა ადამიანების უზრუნველყოფა დასაქმებითა და ანაზღაურებადი შრომის პირობებით, რაც მათ საკუთარი თავისა და ოჯახის სარჩენად აუცილებელი სახსრების გამომუშავების საშუალებას მისცემს, შესაბამისად შრომის მხარდაჭერისათვის შემუშავებული პოლიტიკისა და პროგრამების მიზანი უნდა იყოს ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, – აღნიშნულია ერთიანი სახელმწიფო ფონდის სიღატაკესთან ბრძოლის პროგრამაში.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.

მმართველი პარტია

ჩვენ ვალდებული ვართ, გავამართლოთ ის ნდობა, რომელიც ხალხმა გამოგვიცხადა პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნების დროს

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მთავარი საბჭოს განცხადება

(პირველი გვერდიდან)

სწორედ ამიტომ მოქალაქეთა კავშირის მთავარი საბჭო მხარს უჭერს პრეზიდენტის ინიციატივას, რომ დაიხვეწოს საქართველოს ხელისუფლების კონსტიტუციური მოდელი – შეიქმნას მინისტრთა კაბინეტი საპრეზიდენტო რესპუბლიკის პირობებში.

ჩვენი ღრმა რწმენით, მინისტრთა კაბინეტის შექმნა ხელს შეუწყობს მთავრობაში წარმოქმნილ იმ უთანხმოებათა აღმოფხვრას, რომელთა გამო ფერხდება ეფექტიანი მმართველობა, და დაამკვიდრებს გუნდური პოლიტიკის ფუძემდებლურ პრინციპს – მთავრობის ერთიან პასუხისმგებლობას. ასევე, კაბინეტური სისტემის პირობებში უფრო მკაფიოდ გამოიკვეთება კონკრეტულ პირთა პასუხისმგებლობაც, განსაკუთრებით ეკონომიკის რეფორმირების პროცესში, ხელისუფლების მიერ ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების დროს.

მინისტრთა კაბინეტი უნდა შეიქმნას საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილ პოლიტიკურ ძალთა ბალანსის გათვალისწინებით. იმავდროულად, კაბინეტური სისტემის შემოღებამ არ უნდა დაასუსტოს საპრეზიდენტო ინსტიტუტი. დღევანდელი პრობლემების გათვალისწინებით ქვეყნის უშიშროებისა და პოლიტიკური სტაბილურობის გარანტი მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ძლიერი პრეზიდენტი შეიძლება იყოს.

სწორედ ამ სპეციფიკური ვითარებიდან გამომდინარე, ჩვენ უნდა შეგვექმნათ ხელისუფლებო მმართველობის ორიგინალური, ქართული მოდელი, რომელიც გაითვალისწინებს მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოთა გამოცდილებას და რომელიც ყველაზე უკეთ მიესადაგება ჩვენს რეალობას. მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს მართვის ეფექტიანობის გაზრდას, უფრო ქმედითი და ენერგიული პოლიტიკის განხორციელებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირი ითვალისწინებს, რომ მინისტრთა კაბინეტის შექმნის იდეა უკვე კარგა ხანია განიხილება საზოგადოებაში. მთავრობის ფორმირების კაბინეტური სისტემის აქტიური მხარდაჭერა არაერთხელ გამოხატეს გავლენიანმა ოპოზიციურმა ჯგუფებმაც. ვიმედოვნებთ, რომ მოქალაქეთა კავშირის მიერ ამ საკითხის დასმა განაპირობებს კონსტრუქციულ თანამშრომლობას საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობას, მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის. გვჯერა, რომ, როგორც 1995 წლის კონსტიტუცია იყო პოლიტიკურ ძალთა კონსენსუსისა და განსხვავებულ მოსაზრებათა შეჯერების ნაყოფი, ასევე საკონსტიტუციო მოდელში წარმოდგენილ ცვლილებათა შეტანა ურთიერთშეთანხმებისა და ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდება.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მთავარი საბჭო სრული პასუხისმგებლობით აცხადებს: ჩვენ ვალდებული ვართ, გავამართლოთ ის ნდობა, რომელიც ხალხმა გამოგვიცხადა პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნების დროს და საპრეზიდენტო რესპუბლიკის ფარგლებში მინისტრთა კაბინეტის შექმნა სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

1995 წლის კონსტიტუციით განსაზღვრულმა მოდელმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების საქმეში. კონსტიტუცია გახდა ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის საკანონმდებლო ბაზა, საკონსტიტუციო დებულებათა საფუძველზე დაიწყო საქართველოში ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დამკვიდრება, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა და სხვა მნიშვნელოვანი პროცესები, მაგრამ კონსტიტუცია არ არის გაყინული ნორმა. ნებისმიერი საკანონმდებლო აქტი, მით უმეტეს, ქვეყნის უმაღლესი კანონი, ადეკვატურად უნდა ასახავდეს საზოგადოების ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. მსოფლიოს ყველა წარმატებულ ქვეყანაში დროის მოთხოვნის შესაბამისად ხდებოდა კონსტიტუციის კორექტირება და დღეს საქართველოში სწორედ ასეთი დროა.

საქინფორმი.

პარლამენტის თავმჯდომარე

ხევების ჭრის ვანდალური ფაქტები რომ აღიკვეთოს

პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ შეშფოთება გამოთქვა თბილისის მიმდებარე ტერიტორიებზე შექმნილი ვითარების გამო. როგორც მან თქვა, რაც ხდება მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით ბაგებში, სტუდქალაქის ტერიტორიაზე, იმის დადასტურებაა, რომ ქვეყანაში არ არის არც გარემოს დაცვის სამინისტრო და არც გარემოს დაცვის საპარლამენტო კომიტეტი.

ზურაბ ჟვანიას განცხადებით, აქ განადგურებულია ის, რასაც თბილისელები წლების განმავლობაში რუდუნებით რგავდნენ და უვლიდნენ.

ზურაბ ჟვანიამ შესაბამისი უწყებებისა და სტრუქტურების მხრიდან სპეციალური დადგენილების მომზადება მოითხოვა, რათა ერთხელ და სამუდამოდ აღიკვეთოს ხეების ჭრის ვანდალური ფაქტები.

საქინფორმი.

სახელმწიფო მინისტრი

ევროპის ენერგეტიკული ქარტია ენერგორესურსების ტრანზიტის უსაფრთხოებისათვის

(პირველი გვერდიდან)

რია კემპერის თქმით, ენერგორესურსების სატრანზიტო ტრანსპორტირებისას მნიშვნელოვანია ევროპისა და აზიის ენერგობაზრებს შორის ურთიერთობის გაღრმავება, პროექტების მონაწილე მხარეთა კონსტრუქციული თანამშრომლობა. აღსანიშნავია, რომ უკვე 2000 წლის იანვარში დაიწყო ენერგოსატრანზიტო დერეფნის პროექტის ფარგლებში მოლაპარაკება და სამოდელო ხელშეკრულებაზე მუშაობა. ხელშეკრულებას, რომელსაც 51 ქვეყნის წარმომადგენელი მოაწერს ხელს, საფუძვლად უდევს ევროპის ენერგეტიკული ქარტიის დებულება, ასევე იგი სატრანზიტო დერეფნის პროექტის მონაწილე მხარეთა ორმხრივ ინტერესებს ითვალისწინებს.

შეხვედრაზე გამოიკვეთა ჩვენი ქვეყნის დაინტერესება, რომ აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით ენერგოსატრანზიტო დერეფნის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებში სრულად იყოს გათვალისწინებული საქართველოს, როგორც საკვანძო სატრანზიტო ქვეყნის ინტერესები, ანუ პრიორიტეტულ საწყისზე ისარგებლოს იგივე შეღავათებისა და პრივილეგიების ფართო სპექტრით (იგულისხმება სატარიფო პოლიტიკა), როგორც ეს პარტნიორთა მიერ იყო წარმოდგენილი ბაქო-სუფსისა და ბაქო-ჯეიჰანის პროექტების შემთხვევაში. ევროპის ენერგეტიკული ქარტიის კონცეფციისა და ხელშეკრულების უმთავრესი მიზანია ნავთობსადენისა და გაზსადენის პროექტების განხორციელებისათვის ენერგორესურსების სატრანზიტო დერეფნისა და მონაწილე მხარეებისათვის ურთიერთმისაღები პირობებისა და უსაფრთხოების გარანტიების შექმნა, ასევე ცალკეული კომერციული პროექტების განხორციელებისას პრობლემების თავიდან აცილება.

საქინფორმი.

როსიო კასტრო – საქართველოში მსოფლიო ბანკის ახალი ეკონომიკური ექსპერტი

(პირველი გვერდიდან)

დევნილთა შემწეობის, ხელფასებისა და პენსიების დავალიანების დაფარვა, საავადმყოფოების რეკონსტრუქცია, ლიცენზირებისა და სახელმწიფო შესყიდვათა შესახებ კანონების სრულყოფა და მათი რეალიზაცია, მსოფლიო ბანკის ექსპერტთა თქმით, სწორედ ამ ვალდებულებათა შესრულებაა მსოფლიო ბანკის საკ-3-ის მეორე ტრანშის – 20 მილიონი დოლარის გამოყოფის უმთავრესი წინაპირობა. მსოფლიო ბანკის ეკონომიკის სექტორის სპეციალისტები საქართველოში ფისკალურ ნაწილს – შემოსავალ-გასავლის მდგომარეობას, ასევე საგარეო ვალის რესტრუქტურიზაციის საკითხებსაც შეისწავლიან.

როგორც სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, ამ ეტაპისათვის ტრანშის მისაღებად დასახელებულ წინაპირობათა უმეტესი ნაწილი უკვე შესრულებულია. რაც შეეხება დავალიანებათა დაფარვას, ეს მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ტელეკომის პრივატიზების პროცესზე, რომლის გაყიდვის შედეგად შემოსული თანხის უმეტესი ნაწილი სწორედ სოციალური დავალიანების გასტუმრებას მოხმარდება.

აღსანიშნავია, რომ ახლო მომავალში იგეგმება საქართველოში მსოფლიო ბანკის კავკასიის პროგრამების დირექტორის ჯუდი ოკონორისა და მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტის იოჰანეს ლინის ვიზიტი. საქართველოს ხელისუფლება კი ძალისხმევას არ იშურებს, რათა მათი ჩამოსვლისათვის ყველა ვალდებულება შესრულებული იყოს.

საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 96. სამშაბათი, 24 აპრილი, 2001 წელი.

კორუფციის წინააღმდეგ

სრული განუკითხაობა და ხელოვნურად შექმნილი ქაოსი კორუფციულ გარემოს ქმნის

საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის მოხსენება საქართველოს მთავრობის 21 აპრილის სხდომაზე აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის აღრიცხვის, შემწეობის თანხების გაცემისა და ჰუმანიტარული ტვირთების განაწილების შესახებ

(პირველი გვერდიდან)

თუ რატომ ემსახურება „საფოსტო ბანკი“ აღნიშნული თანხების გაცემას 2000 წლის 1 აპრილიდან დღემდე, ბანკში არანაირი ნორმატიული დოკუმენტი არ არსებობს გარდა იმისა, რომ ბანკს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან მომსახურების შესახებ, რომლის გაფორმების საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროში 1998 წლის 25 თებერვლის ჩატარებული ტენდერის შედეგები. მიუხედავად წერილობითი მოთხოვნისა, ტენდერის ჩატარების მასალების გადმოგზავნა ფინანსთა სამინისტრომ დღემდე ვერ უზრუნველყო.

„საფოსტო ბანკში“ არსებული აგენტი ბანკების შერჩევის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომის ოქმში დაფიქსირებულია, რომ სატენდერო კომისია თვეში ერთხელ, სისტემატურად ახდენს აგენტი ბანკების მუშაობის შემოწმებას მათი მომსახურების ხარისხისა და კვალიფიკაციის თვალსაზრისით, რაც საფოსტო ბანკში რეალურად არ განხორციელებულა. სატენდერო კომისიის წევრები იყვნენ: გ. ჯილაური – ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი, მ. მურჯიკნელი – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, გ. ჭუმბურიძე – სახელმწიფო კანცელარიის საფინანსო-საბიუჯეტო და საკრედიტო პოლიტიკის განყოფილების უფროსი, ო. მაზმიშვილი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დეპარტამენტის დირექტორი, ლ. აბესაძე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, ე. ჯგერენაია – საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, თ. დვალი – საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილე.

შემოწმების მასალებით ირკვევა, რომ სააქციო საზოგადოება „საქართველოს საფოსტო ბანკის“ N2 ფილიალში სატენდერო კომისიის მხრიდან უკონტროლობის პირობებში განსაკუთრებით დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების დატაცებისა და კანონდარღვევის სხვა ფაქტები გამოვლინდა.

კერძოდ:

ფილიალში მთლიანად მოშლილია საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგება, არ წარმოებს დოკუმენტაციის არათუ ანალიზური და სინთეზური ასახვა, არამედ მათი პირველადი დამუშავებაც კი.

ბანკში დასაქმებული 105 მოლარე-კონტროლიორიდან, აბსოლუტურ უმრავლესობას, 92 პირს, არ აღმოაჩნდა 1 239,2 ათასი ლარის დევნილებზე ფულადი დახმარების გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ამ მხრივ აღსანიშნავია ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონში განთავსებულ დევნილ მოსახლეობაზე გაცემული დახმარების თანხები, სადაც 1 129,4 ათასი ლარის გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ წარმოადგინეს. ანალოგიური მდგომარეობაა წალენჯიხისა და ხობის რაიონებსა და ქ. ფოთში, სადაც თანხების გაცემის დამადასტურებელი საბუთების გარეშე ვითომ „გაცემულია“, შესაბამისად, 83,9 ათასი, 15,8 ათასი და 10,1 ათასი ლარი.

ასევე, ცენტრალური სალაროდან, 4 შემთხვევაში, სალაროს გაყალბებული გასავლის ორდერებით, მთავარმა მოლარემ ე. ჯობავამ გაიტანა 33,6 ათასი ლარი.

ფილიალში შექმნილ დანაშაულებრივ გარემოზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მოლარე-კონტროლიორები დახმარებების გაცემისათვის, ზოგიერთ შემთხვევაში დევნილებთან გარიგებით, იტოვებდნენ თანხების მნიშვნელოვან ნაწილს. აღნიშნულის შესახებ შემმოწმებელ ჯგუფს წერილობით აცნობა იძულებით ადგილნაცვალ პირთა დიდმა ნაწილმა.

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ 2000 წლის დასაწყისში, „საფოსტო ბანკის“ N2 ფილიალში გადააგზავნა დევნილი მოსახლეობის კომპიუტერული სიები, სადაც ირიცხებოდა 2119 ე.წ. „მოგონილი დევნილი“ და, შესაბამისად, მათზე უკანონოდ, ახალი ნიმუშის დევნილის მოწმობის გარეშე, გაყალბებული ხელმოწერებით გაიცემოდა დახმარების თანხები. დღეისათვის, შემოწმების მასალებიდან გამომდინარე, 12 მოლარე-კონტროლიორმა მიითვისა 24 ათასი ლარი და საოლქო პროკურატურასთან ერთობლივად გრძელდება შემოწმება აღნიშნული მიმართულებით.

მიმდინარე წლის იანვარში ხელახალი რეგისტრაცია გაიარა და 11 ათასით იკლო დევნილთა ოდენობამ. ეს იყო ბატონი ვალერი ვაშაკიძის ინიციატივა და მუშაობა ამ მხრივ გრძელდება.

ასევე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ფილიალის პასუხისმგებელი პირების მიერ ცენტრალური სალაროდან გატანილი შემწეობის თანხები დროულად არ ეძლეოდათ ადრესატებს და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ზოგჯერ წელიწადზე მეტ ხანს, ნაშთად ერიცხებოდათ.

ბანკის ფილიალის ხელმძღვანელმა პირებმა დევნილებისათვის გამოყოფილი 59,8 ათასი ლარი გახარჯეს არამიზნობრივად. კერძოდ, შეიძინეს ავტომანქანები, ცეცხლსასროლი იარაღები და სხვა.

ზემოთ აღნიშნული ფაქტების გარდა, დევნილებზე გასაცემი და გაცემული თანხების ანალიზიდან გამომდინარე, 1998 წლის 1 აგვისტოდან 2001 წლის 7 აპრილამდე, წინასწარი მონაცემებით, ფილიალის თანამშრომლებმა დაიტაცეს 2 013,6 ათასი ლარი.

ამდენად, სულ სარევიზიო პერიოდში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დევნილი მოსახლეობისათვის გამოყოფილი 26 227 ათასი ლარიდან ბანკის თანამშრომლებმა, წინასწარი მონაცემებით, დაიტაცეს 3 314 ათასი ლარი, რაც რეგიონში განსახლებული 108 ათასი დევნილის სამი თვის შემწეობის ტოლფასია.

2000 წლის 1 დეკემბრიდან ფილიალის დირექტორია შ. ქვარაია, მანამდე იყო მ. ჩიტაია, მთავარი ბუღალტერია ნ. ფაცაცია, სალაროს გამგე – ე. ჯობავა. აღნიშნული პირების ხელშეწყობით ბანკის 105 მოლარე-კონტროლიორიდან 92 ჩაბმულია კრიმინალურ საქმიანობაში, რომელთაგან, წინასწარი მონაცემებით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების დატაცება ერიცხება 85 მატერიალურ პასუხისმგებელ პირს (5 ათასი ლარიდან – 140 ათასი ლარამდე). მათ შორის: ტ. გადელიას – 140,3 ათასი ლარი, ა. სხულუხიას – 120,9 ათასი ლარი, ე. ზარანდიას – 108,6 ათასი ლარი, მ. გულუას – 90,5 ათასი ლარი, ლ. გუნჯუას – 76,7 ათასი ლარი, ლ. ყოლბაიას – 75,5 ათასი ლარი, მ. გულორდავას – 74 ათასი ლარი, მ. გოჩავას – 70,2 ათასი ლარი, მ. ჭანიას – 62,3 ათასი ლარი, ა. საჯაიას – 56,4 ათასი ლარი, ჭ. ჩაფრავას – 52,7 ათასი ლარი, ჯ. შენგელიას – 47,8 ათასი ლარი, დ. ბიგვავას – 47,6 ათასი ლარი, ს. ალფენიძეს – 45 ათასი ლარი, ვ. ხარჩილავას – 43,2 ათასი ლარი, ნ. ყოლბაიას – 42,5 ათასი ლარი, ლ. არდიას – 39 ათასი ლარი, ჯ. შონიას – 36,8 ათასი ლარი, ხ. პაპიკაშვილს – 34 ათასი ლარი, ლ. გოგოხიას – 30 ათასი ლარი, მ. გულისკირიას – 29,5 ათასი ლარი, შ. ჭითანავას – 29 ათასი ლარი, რ. ჩიკვათიას – 27 ათასი ლარი, ნ. ლუკავას – 26,9 ათასი ლარი, ლ. თოლორდავას – 26,2 ათასი ლარი, ი. თაკალანძეს – 23 ათასი ლარი, ი. კუკავას – 22,7 ათასი ლარი, გ. ხაზალიას – 21,6 ათასი ლარი, მ. ნაყოფიას – 21 ათასი ლარი, ნ. თორიას – 20 ათასი ლარი და ა.შ.

სს „საქართველოს საფოსტო ბანკის“ N2 ფილიალის შემოწმება დაიწყო სამეგრელო-ზემო სვანეთის კონტროლის პალატის ბიურომ საოლქო პროკურატურასთან ერთობლივად 2000 წლის სექტემბერში, მაგრამ, ფაქტობრივად, ერთ თვეში ჩაიშალა შემმოწმებელთა პირადი უსაფრთხოების გარანტიების უქონლობის გამო. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ბანკის ხელმძღვანელებისა და მოლარე-კონტროლიორების ქომაგები მათ ფიზიკური განადგურებითაც კი ემუქრებოდნენ. შემოწმების გაგრძელება შესაძლებელი გახდა 2001 წლის თებერვალში კონტროლის პალატის რეგიონული ბიუროს, საოლქო პროკურატურისა და მხარის კრიმინალური პოლიციის მიერ ერთობლივად დასახული ღონისძიებების შედეგად, რამაც უზრუნველყო კონტროლის პალატის თანამშრომელთა უსაფრთხოება. შემოწმების მასალები შემდგომი ძიების წარმართვის მიზნით გადაეცა სამხარეო პროკურატურას. იყო რეალური მხარდაჭერა და თანადგომა მხარის ხელმძღვანელობის და პირადად ბატონი ბონდო ჯიქიასაგან.

ასევე სერიოზული დარღვევები გამოვლინდა ქ. თბილისის საბურთალოს, ნაძალადევის, ჩუღურეთის რაიონებსა და ბორჯომის რაიონში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა აღრიცხვის, შემწეობის თანხების, მეტროპოლიტენისა და მიწისზედა ელექტროტრანსპორტით უფასოდ მოძრაობის ბილეთების გაცემის, გახარჯული ელექტროენერგიის ჩამოწერის რეალობის დადგენის მიზნით ჩატარებული შემოწმებებით.

საბუთების გაყალბებით, არარსებულ დევნილთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 1321 პირი. მათ შორის: საბურთალოს რაიონში (გამგეობის დევნილთა სოციალურად დაცვის განყოფილების გამგე ლ.შელია) – 488 პირი, ნაძალადევის რაიონში (თ. მაჭარაშვილი) – 187 პირი, ჩუღურეთის რაიონში (ნ. ჯაფარიძე) – 426 პირი, ბორჯომის რაიონში (ვ.დადიანი) – 220 პირი.

ქ.თბილისის ზემოაღნიშნულ სამ რაიონში არარსებულ, ე.წ. „მოგონილ დევნილებზე“ 1996-2000 წლებში სხვადასხვა სახით „გაცემულია“ 476,4 ათასი ლარი. შესაბამისად, საბურთალოს რაიონში – 252,7 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში – 33,2 ადასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში – 190,5 ათასი ლარი.

სამცხე-ჯავახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის გიგლა ბარამიძის ინიციატივით და მხარდაჭერით ჩატარებული შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ ბორჯომის რაიონში დაფიქსირებული 220 არარსებული დევნილის მოწმობებით სარგებლობდნენ და შემწეობის თანხებს ითვისებდნენ ბორჯომის რაიონის გამგეობის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის განყოფილების გამგე ვ. დადიანი, გამგებელის ყოფილი მოადგილე ი. ლომიძე, მთავარი ბუღალტერი მ. ხაჩიძე და აფხაზეთიდან დევნილი ათი პირი.

დადგინდა, რომ რაიონში ე.წ. „მოგონილ დევნილებზე“ 1996 წლის 1 იანვრიდან 2000 წლის 1 აპრილამდე გაცემულია 68,2 ათასი ლარი. აქედან, შემწეობის თანხა შეადგენს 59,4 ათას ლარს, ხოლო უკანონო ჩამოწერილი ელექტროენერგიის ღირებულება – 8,8 ათას ლარს.

ასევე, ადგილი ჰქონდა დევნილთა გაორების გზით შემწეობის თანხების მითვისებას. იმავე პერიოდში „გაორებულ დევნილთა“ რაოდენობამ შეადგინა 81 ერთეული და მათზე გაიცა შემწეობის თანხა 10,9 ათასი ლარის ოდენობით. სულ ბორჯომის რაიონში სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიტაცეს 79,1 ათასი ლარი. ზემოაღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით აფხაზეთის შსს-მ აღძრა სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

ანალოგიურად, სენაკისა და აბაშის რაიონებში განთავსებული აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის აღრიცხვის, შემწეობის თანხების რაიონებში გადარიცხვისა და მათი დევნილებზე გაცემის მდგომარეობის რეალობის დადგენის მიზნით მიმდინარე თემატური შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ორივე რაიონში არარსებულმა, „მოგონილ დევნილთა“ რაოდენობამ შეადგინა 293 ერთეული, მათზე დარიცხულმა და „გაცემულმა“ თანხამ კი – 258 ათასი ლარი. აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით საქართველოს უშიშროების სამინისტრო აწარმოებს ძიებას.

სახეზეა დევნილთა აღრიცხვის საქმეში შექმნილი ხელოვნური ქაოსი და შემწეობის თანხების დატაცების დანერგილი მანკიერი პრაქტიკა, რაშიც მონაწილეობენ ის უწყებები, ორგანოები, რომელთა ერთ-ერთ ძირითად მოვალეობასაც შეადგენს აღნიშნულ სფეროში წესრიგის დამყარება. ამ საქმეში იმდენად დიდი ხლართები და კომბინირებული ფარული გარიგებებია, რომ პროკურატურას მოუწევს დიდი ძალისხმევა ლოგიკური და სამართლიანი შედეგის მისაღწევად.

ასევე, სერიოზული დარღვევები და დანაშაულებრივი ქმედებები ვლინდება დევნილ მოსახლეობაზე ჰუმანიტარული დახმარებების გაცემა-განაწილების საქმეში. ჰუმანიტარული ტვირთების მიმღებ სხვადასხვა ფონდებისა და კერძო ორგანიზაციების მიერ დახმარებების გაცემა ხდება სრული აღურიცხაობისა და სათანადო დოკუმენტაციების წარმოების გარეშე. ასე მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაცია „აფხაზეთის კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდს“ 1999-2000 წლებში ჰუმანიტარული გზით შემოტანილი ჰქონდა ხორბლის ფქვილი, ქათმის ხორცი და სხვა საქონელი საერთო ღირებულებით – 1242 ათასი ლარი.

შემოწმებით დადგინდა, რომ ფონდის მიერ წარმოდგენილი ჰუმანიტარული ტვირთის მიმღებ დევნილთა სიების აბსოლუტური უმრავლესობა გაყალბებულია, რაც ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ფონდის მიერ შემოტანილი ტვირთის უმეტესი ნაწილი რეალიზებულია, ხოლო თანხა – მითვისებული.

აფხაზეთის უშიშროების სამინისტრომ ფონდის ხელმძღვანელობის მიმართ აღძრა სისხლის სამართლის საქმე. ფონდის დირექტორი ს. დარსალია დაპატიმრებულია და მიმდინარეობს გამოძიება.

ანალოგიური მდგომარეობაა ოჩამჩირის რაიონის „აფხაზეთის ომში დაღუპულთა და მარჩენალდაკარგულთა ფონდში“ (თავმჯდომარე ა. გერძმავა) და სხვა ფონდებში, რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ჰუმანიტარული დახმარებების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მიდის ადრესატებამდე.

ბატონებს თამაზ ნადარეიშვილის, ლონდერ ცაავას და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონტროლის პალატის ურთიერთთანამშრომლობით უმაღლესი და მინისტრთა საბჭოს აპარატების შემოწმების დროს სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები გამოვლინდა. კერძოდ: დევნილთა უკიდურესად მძიმე სოციალური მდგომარეობის ფონზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს განკარგულებებით სხვადასხვა რანგის თანამდებობის პირებისათვის შეძენილია მიზანშეუწონლად ძვირადღირებული ავტომანქანები, რომელთა შენახვა-ექსპლუატაციაზე გაწეულია სოლიდური ხარჯები. ამასთან, ხშირია საკუთარი თანამშრომლებისგან ავტომანქანების შესყიდვის შემთხვევები და მათი შემდგომი გადაცემა ყოფილი მფლობელებისა და ავტონომიური რესპუბლიკის სხვადასხვა სტრუქტურებისათვის.

ასე მაგალითად:

აფხაზეთის არ მინისტრთა საბჭოსთვის 1999 წლის მარტში, შეძენილია ავტომანქანა „ვოლვო-850“ 35 ათას ლარად (მთლიანი წლიური დაფინანსების 10 პროცენტზე მეტი), ხოლო 2000 წელს – 44 ათასი ლარის ღირებულების „მერსედეს-320“ (ასევე, წლიური დაფინანსების 10 პროცენტზე მეტი).

2000 წელს უმაღლესი საბჭოს განკარგულებით, სამეგრელო-ზემო სვანეთში უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელ ო. გოგიასაგან 30 ათას ლარად შეძენილია 1991 წელს გამოშვებული ავტომანქანა „მერსედეს-500 SE“. აღნიშნული ავტომანქანა თვენახევრის შემდეგ გადაეცა ო. გოგიას, როგორც უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელს სამეგრელო-ზემო სვანეთში, ანუ პიროვნებას, ვისგანაც იქნა შეძენილი სატრანსპორტო საშუალება.

უმაღლესი საბჭოს განკარგულებით, 1998 წელს, აფხაზეთის არ უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარისაგან (ამჟამად, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე) რ. ცატავასაგან 10 ათას ლარად შეძენილია 1992 წელს გამოშვებული ავტომანქანა „გაზ-31029“, ე. ი. ექვსი წლის რუსული წარმოების ავტომანქანაში გადაიხადეს, იმ დროისათვის არსებული კურსით, 7 ათას აშშ დოლარზე მეტი. აღნიშნული ავტომანქანა უმაღლესი საბჭოს 2000 წლის განკარგულებით გადაეცა აფხაზეთის ეროვნულ უმცირესობებთან მუშაობის მთავარ სამმართველოს.

აფხაზეთის არ მინისტრთა საბჭოს განკარგულების საფუძველზე, 1998 წლის მარტში, მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის ო. ჩარკვიანისაგან 7,5 ათას ლარად (თითქმის 6 ათას დოლარად) შეძენილია 1988 წელს გამოშვებული ავტომანქანა, „ვაზ-2121“, რომელიც შემდგომში მასვე ემსახურებოდა. დასკვნა 10 წლის საბჭოთა წარმოების ავტომანქანის 6 ათას დოლარად შეფასების შესახებ წარმოდგენილია დამოუკიდებელი აუდიტის მიერ. საგულისხმოა, რომ ო. ჩარკვიანის ექვსი თვის შემდეგ უმაღლეს საბჭოს აპარატში გადაყვანას ემთხვევა აღნიშნული მანქანის ამავე სტრუქტურის ბალანსზე გადაცემა.

საქართველოს დედაქალაქში ფუნქციონირების დაწყებიდან აფხაზეთის არ უმაღლესმა საბჭომ შეიძინა 15 სამსახურებრივი ავტომანქანა 223,8 ათასი ლარის საერთო ღირებულებით (ერთი ავტომანქანის საშუალო ფასი შეადგენს 14,9 ათას ლარს). იმავე პერიოდში აფხაზეთის არ მინისტრთა საბჭოს ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველომ შეიძინა 15 ავტომანქანა საერთო ღირებულებით 201,9 ათასი ლარი (საშუალოდ ერთი ავტომანქანა შეძენილია 13,4 ათას ლარად). სულ ორივე სტრუქტურამ ამ პერიოდში შეიძინა 30 ავტომანქანა საერთო ღირებულებით 425,7 ათას ლარი.

ავტომანქანების რეალური საბაზრო ღირებულების დადგენის მიზნით მივმართეთ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს, მაგრამ, სამწუხაროდ, მსგავსი ინფორმაციის უქონლობის გამო, დადებითი პასუხი ვერ მივიღეთ.

ამასთან, მნიშვნელოვანი თანხები იხარჯება ავტომანქანების ექსპლუატაციისათვის.

სულ მინისტრთა საბჭოს რვა ავტომანქანის ექსპლუატაციაზე გაწეულმა ხარჯებმა საშუალოდ წელიწადში შეადგინა 77,6 ათასი ლარი, ანუ მთლიანი წლიური დაფინანსების 13 პროცენტი. უმაღლესი საბჭოს ცამეტი ავტომანქანის ექსპლუატაციაზე საშუალოდ წელიწადში გაიხარჯა 72,4 ათასი ლარი, ანუ წლიური დაფინანსების 11 პროცენტი.

საყურადღებოა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა აფხაზეთის არ უმაღლესი და მინისტრთა საბჭო საბიუჯეტო თანხების დაზოგვის მიზნით შესაბამისი ბრძანებულებით გაათავისუფლა შენობის საიჯარო გადასახადისაგან. მიუხედავად ამისა, აღნიშნული გადასახადის სახით გადახდილია 7 ათასი ლარი და დავალიანების სახით ერიცხებათ 60 ათასი.

ასევე, მნიშვნელოვანი თანხებია გახარჯული ცალკეული თანამდებობის პირების ხშირ მივლინებებზე. სულ სარევიზიო პერიოდში უმაღლესმა საბჭომ მივლინებებზე გახარჯა 353,4 ათასი ლარი, ხოლო მინისტრთა საბჭომ – 177,9 ათასი ლარი, რაც მათი საერთო დაფინანსების, შესაბამისად, 20 და 30 პროცენტია.

საერთო მონაცემებით, 2001 წლის 1 იანვრისათვის ქვეყანაში დევნილთა შემწეობების დავალიანებამ 10,6 მლნ ლარი შეადგინა. ასეთ პირობებში კი, 1997-2000 წლებში, დევნილების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების დასაფარად ფინანსთა სამინისტროდან ცენტრალიზებულად არის ანაზღაურებული კუთვნილ თანხებზე 5,3 მლნ ლარით მეტი.

საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 21 ივლისის N373 დადგენილების მე-10 მუხლის თანახმად, შემწეობების ხარჯზე ლტოლვილთა პურით მომარაგება გაუქმდა და დევნილებს შემწეობები სრულად უნდა მიეღოთ. აღნიშნულისა და ამ საკითხზე კონტროლის პალატის შენიშვნის მიუხედავად, დღემდე გრძელდება ამ სისტემით ლტოლვილთა პურით მომარაგება.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საბიუჯეტო თანხების კერძო სტრუქტურებში გადარიცხვისა და გამოყენების კანონიერების შემოწმების შედეგები. მაგალითად: სახაზინო საწარმო „მაშველში“ (2000 წლის 17 იანვრის შემდეგ შპს „მაშველი“) 1997-2000 წლებში გადარიცხულია 670,1 ათასი ლარი დევნილებით ორგანიზებულად ჩასახლების ობიექტებზე სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად. აღნიშნული თანხიდან „მაშველს“ შეძენილად ნაჩვენები აქვს 382,4 ათასი ლარის სამშენებლო მასალა. აქედან, ნაღდი ანგარიშსწორებით – 376,8 ათასი ლარის, რომელიც გაწერილია 16 მეწარმე სუბიექტზე, რომელთა ადგილმდებარეობა საერთოდ ვერ დადგინდა. აღნიშნულთან დაკავშირებით მზადდება მასალები შსს-ში გადასაგზავნად.

კონტროლის პალატის ცენტრალური აპარატი და რეგიონული სამსახურები ახორციელებენ როგორც ზემოაღნიშნული, ასევე, დევნილთა პრობლემატიკასთან დაკავშირებულ სხვა საკითხების შესწავლას, რომლის შედეგებიც მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთებისა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მანკიერი მხარეების აღმოფხვრის რეალური ბერკეტების შემუშავების საშუალებას მოგვცემს, და, ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო სამართლებრივი რეაგირების მიზნით გადაეგზავნება სამართალდამცავ ორგანოებს.

ჯამლეთ ბაბილაშვილი პოზიტიურად აფასებს

ყოფილ გენერალურ პროკურორს ჯამლეთ ბაბილაშვილს თანამდებობიდან წასვლის შემდე ახალი სამსახური არ დაუწყია

როგორც პრაიმ-ნიუსს ბაბილაშვილმა განუცხადა, იგი ჯერჯერობით ისვენებს და არ გადაუწყვეტია, ისევ თავის სფეროში გააგრძელებს მოღვაწეობას, თუ პოლიტიკაში გადაინაცვლებს.

ჯამლეთ ბაბილაშვილი გენპროკურორის პოსტიდან მიმდინარე წლის თებერვლის დასაწყისში გადადგა.

იგი ახალი გენერალური პროკურორის გიორგი მეფარიშვილის საქმიანობას პოზიტიურად აფასებს და აცხადებს, რომ მეფარიშვილმა მის ყოფილ თანამდებობაზე მუშაობა „საკმაოდ აქტიურად და წიგნიერად დაიწყო“.

ბაბილაშვილი იმედოვნებს, რომ ახალი გენპროკურორი ყველა იმ საქმის ბოლომდე მიყვანას შეძლებს, რისი გაკეთებაც თავად ვერ მოასწრო. თუმცა სათანადო დაფინანსების გარეშე ვერც მეფარიშვილი და ვერც სხვ საქმეს ბოლომდე ვერ მიიყვანს

კონტროლის პალატამ საგადასახადოს საქმე მოუმატა

საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრის ბრძანებით 23 აპრილიდან დაიწყება საქართველოში არსებული თამბაქოს მწარმოებელი და იმპორტიორი ფირმების საქმიანობის საფუძვლიანი, სრული საგადასახადო შემოწმება, რასაც საფუძვლად დაედო კონტროლის პალატის მიერ მიმდინარე წელ გამართული შემოწმება, რომლის დროსაც აღმოჩენილია სიგარეტის ტრანზიტული ტვირთის გადაზიდვის დროს დაშვებული დარღვევები.

შემოწმებას განახორციელებენ რაიონული ინსპექციები, საგანგებო ლეგიონი, აქციზური მარკებისა და აქციზური საქონლის მონიტორინგის სამსახურები.

კიდევ 12 საჩივარს განიხილავენ

საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტში შარშან 89 საჩივარი და 56 წერილი შევიდა. სადავო თანხის ჯამი 37,1 მილიონი ლარი და 86,2 ათასი ამერიკული დოლარია, უკვე განხილულია 64 საჩივარი და 5 წერილი (საერთო თანხა – 10, მილიონი ლარი), განხილვის პროცესშია 12 საჩივარ (საერთო თანხა – 10,3 მილიონი ლარი) და ერთი წერილი. განხილული 17 საჩივრიდან (საერთო თანხა 5,6 მილიონი ლარი) ხელახლა გადაანგარიშების ან ადგილზე დაზუსტებისა და შესწავლის მიზნით ტერიტორიულ საგადასახადო ორგანოებს გადაეგზავნა, 10 საჩივარი (საერთო თანხით 1,5 მილიონი ლარი და 86,2 ათასი ამერიკული დოლარი) სათანადო მტკიცებულებების უქონლობის გამო არ განიხილულა, ერთი საჩივარი (104,8 ათასი ლარი) სასამართლო პროცესის მიმდინარეობის გამო შეჩერებულია, ერთ საჩივარს (238,3 ათასი ლარი) პასუხი გასცა ოპერატიულმა სამსახურმა, ხოლო ერთი საჩივარი (678,1 ათასი ლარი გადამხდელმა უკან გაითხოვა და, შესაბამისად, დარიცხული თანხა კანონიერად ცნო.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.

კანონმდებლები

გამოკვეთეს მომავალი საქმიანობის პრიორიტეტები

(პირველი გვერდიდან)

გარდა ამისა, პარლამენტის მთელი ყურადღება მიმართული იქნება, აგრეთვე, 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საკითხის განხილვისაკენ. როგორც ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, საარჩევნო კოდექსი და თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტი მაისში უნდა იყოს მიღებული და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გადადება არ უნდა დავუშვათ. მიმდინარე კვირის ხუთშაბათს პარლამენტი საგანგებოდ იმსჯელებს აღნიშნულ საკითხებზე და შეიმუშავებს შემდგომი საქმიანობის გრაფიკს.

მიმდინარე სასესიო კვირას პარლამენტი რამდენიმე კანონპროექტს და სარატიფიკაციო დოკუმენტს განიხილავს.

პარლამენტის პლენარული სხდომა 24 აპრილს, დილის 11 საათზე დაიწყებს მუშაობას.

საქინფორმი.

აურზაური არარსებული თანამდებობის გამო

მოქალაქეთა კავშირის მთავარი საბჭოს ბოლო სხდომამ ბევრ პოლიტიკოსს საღერღელი აუშალა. აქ ხომ პრეზიდენტმა მინისტრთა კაბინეტის და, შესაბამისად, პრემიერ-მინისტრის თანამდებობის შემოღების იდეა წამოაყენა. ჩანს, ჩვენს პოლიტიკურ სპექტრს ეს ინიციატივა ძალზე მოეწონა. თავად იდეის მართებულობის ირგვლივ იმხელა დისკუსია არ გაჩაღებულა, რამხელა განხილვაც მომავალი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის ვინაობას მოჰყვა.

თუმცა, სწორედ მომავალი მინისტრთა კაბინეტის შესაძლო პირველი პირის ვინაობა გადაწყვეტს აღდგება თუ არა საქართველოში მინისტრთა კაბინეტის ინსტიტუტი. მართალია, მმართველი პარტიის მთავარი საბჭოს შემდეგ, ერთი შეხედვით, თითქოს ყველა კმაყოფილია, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მინისტრთა კაბინეტის შემოღება, ამ პარტიაში მოქმედ ყველა პოლიტიკურ დაჯგუფებას თანაბრად ხელს აძლევს. და ეს ბუნებრივიც არის, რადგან დღეს პრემიერ-მინისტრობის ყველაზე რეალურ კანდიდატად პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას მიიჩნევენ. არადა, მმართველ პარტიაში არის სხვა ჯგუფებიც, რომლებიც ჟვანიას პოლიტიკური კურსის „გენერალურ ხაზს“ ნამდვილად არ მიჰყვებიან. შესაბამისად, მათთვის მინისტრთა კაბინეტის შემოღება ასეთ შემთხვევაში მაინცდამაინც სასურველი არ იქნება. ვინაიდან, პრემიერ-მინისტრის პოსტზე ჟვანიას კანდიდატურის წამოყენებას საკონსტიტუციო ცვლილებაღა აკლია, ამიტომაც შესაძლო კანდიდატურის შესახებ ჯერ ზუსტი პროგნოზების გაკეთება მმართველ პარტიაშიც კი უჭირთ. ამიტომაც, მოქალაქეთა კავშირის ერთი ფრთა, უმრავლესობის ლიდერ ნიკო ლეკიშვილის მეთაურობით, გადაჭრით ემხრობა მინისტრთა კაბინეტის ინსტიტუტის დამკვიდრებას. არადა, ეს ჯგუფი არც თუ კარგ ურთიერთობაშია ჟვანიას გუნდთან. ეს საყოველთაოდაა ცნობილი. შესაბამისად, ნიკო ლეკიშვილი არც ისეთი გამოუცდელი პოლიტიკოსია, რომ იცოდეს ჟვანიას აღმასრულებელ ხელისუფლებაში დაწინაურების ამბავი და მას ამ საქმეში ხელი შეუწყოს.

თუმცა, აქ არის მეორე, არც თუ უმნიშვნელო დეტალი, რომელიც მინისტრთა კაბინეტის იდეით გაბრუებულ მმართველი პარტიის ლიდერებს მხედველობიდან რჩებათ და, შესაძლოა, ლეკიშვილის კოზირიც სწორედ აქ დევს. კერძოდ, უმრავლესობის ლიდერი აცხადებს, რომ მას თვით არ სურს პრემიერ-მინისტრობა, მაგრამ კაბინეტის შემოღებას მხარს უჭერს. სულ რამდენიმე ხნის წინათ კი ასევე საუბრობდნენ საპარლამენტო გადატრიალების შესახებ, რომლის ძალითაც უნდა მომხდარიყო ჟვანიას პარლამენტის თავმჯდომარეობიდან გადაყენება და მის პოსტზე ლეკიშვილის დაწინაურება. მაშინ, უმრავლესობის ლიდერი ამ მოარულ ხმებს იმ მოტივით უარყოფდა, რომ იგი ჟვანიასთან ახლობლურ (არაპოლიტიკურ) ურთიერთობაში იმყოფება და ჟვანიას „დაყირავების“ შესაძლებლობას მას ელემენტარული კაცობა არ მისცემს. იმ შემთხვევაში კი, თუ მინისტრთა კაბინეტის ინსტიტუტი ჩვენში აღდგება და ჟვანია პრემიერ-მინისტრი გახდება, მაშინ ნიკო ლეკიშვილს ყოველგვარი ადამიანური ეთიკის დაურღვევლად შესაძლებლობა მიეცემა პარლამენტის თავმჯდომარე გახდეს და ჟვანიას მთავრობას ზუსტად ისე უქნიოს თითები საპარლამენტო ტრიბუნებიდან, როგორც ახლა ექცევიან პარლამენტარები დღევანდელ აღმასრულებელ ხელისუფლებას. თანაც, ჩვენი ეკონომიკის განვითარების დინამიკას თუ გავითვალისწინებთ, ძნელად სავარაუდოა, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღების დროისათვის (არადა, ეს წესით სულ რამდენიმე თვეში უნდა მოხდეს) ჩვენი ბიუჯეტი დიდი გადაჭარბებით შესრულდეს. ბიუჯეტის შეუსრულებლობა კი უწყინარი და მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია, რისი დახმარებითაც არასასურველ მთავრობას პარლამენტი თავიდან იმორებს ხოლმე.

სხვათაშორის, ჟვანიას გაპრემიერმინისტრებას ოპოზიციის დიდი ნაწილიც უჭერს მხარს, თანაც მინისტრთა კაბინეტის ფრანგული მოდელის დამკვიდრებას ითხოვენ, რაც, უპირველესად, საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტიის წევრებით მის მთლიანად დაკომპლექტებას გულისხმობს, ანუ ერთ წელიწადში თუ არ შესრულდება ბიუჯეტი, მთელი მოქალაქეთა კავშირის ე. წ. რეფორმისტული გუნდი ჟვანიას ხელმძღვანელობით პოლიტიკის გარეთ დარჩება. დღეს ასეთ გეგმას ოპოზიციონერები უკვე აშკარად ამუშავებენ.

ჩანს, ოპოზიციაც გარკვეულ დონემდე მმართველ პარტიას დაამანტაჟებს და ცოტათი შეაშინებს იმის განცხადებით, რომ, შესაძლოა, მათ მხარი არ დაუჭირონ მინისტრთა კაბინეტის შემოღებას. არადა, როდესაც პარლამენტში შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილების საკითხი დადგება, უმრავლესობამ, შესაძლოა, ოპოზიციის ხმების დაუხმარებლად ე. წ. „საკონსტიტუციო უმრავლესობა“, ანუ 156 ხმა ვერც დააგროვოს. შესაბამისად, ის ოპოზიცია, რომელმაც პირველად თვითონ წამოაყენა მინისტრთა კაბინეტის შემოღების იდეა, ახლა უკვე „იპრანჭება“ (მართალია, საბოლოოდ მაინც ყველა ვარიანტში დაუჭერს მხარს) და მმართველი პარტიის მთავარ საბჭოზე „გახმოვანებულ“ თავისსავე იდეაში უკვე ნაკლოვანებებს ეძებს. კერძოდ, ამ იდეის ავტორები, ტრადიციონალისტები და მათი ლიდერი აკაკი ასათიანი აცხადებენ, რომ მინისტრთა კაბინეტის შემოღების პარალელურად უნდა მოხდეს ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმა და ადგილობრივი არჩევნების სრულყოფილად გამართვა. ამ უკანასკნელში ტრადიციონალისტთა ლიდერი მერებისა და გამგებლების არჩევითობის შემოღებას გულისხმობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ პარლამენტს უფლება ექნება მთელი კაბინეტი გადააყენოს, ხოლო პრეზიდენტს – პოლიტიკური კრიზისის თავიდან აცილების მიზნით, საპასუხოდ, პარლამენტი დაითხოვოს, მაშინ ქვეყანაში სამი თვის განმავლობაში (სანამ ახალი არჩევნები დაინიშნება) ერთპიროვნული დიქტატურის მცდელობა იქნება, – აცხადებს ასათიანი. ამიტომაც იგი შესაძლო დიქტატურის თავიდან აცილების საუკეთესო გზად დემოკრატიული გზით არჩეულ მერებსა და გამგებლებს მიიჩნევს, რომლებიც პოლიტიკური კრიზისის შემთხვევაში ადგილებიდან მართავენ ქვეყანას.

ფრაქცია „XXI საუკუნის“ ლიდერი ვახტანგ ბოჭორიშვილი კი მინისტრთა კაბინეტის შემოღებას იმ შემთხვევაში დაუჭერს მხარს, თუ პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილება საგრძნობლად გაიზრდება და ეს პრეზიდენტის ძალაუფლების ხარჯზე მოხდება. ანუ ზვიადისტებს საქართველოს პრეზიდენტი უფრო ინგლისის დედოფლის როლში წარმოუდგენიათ, რომლის ძირითადი საფიქრალი უცხოური დელეგაციების მიღება-გასტუმრებითა და ბანკეტების მასპინძლობით შემოიფარგლება. როგორც დეპუტატი ჯემალ გამახარია აცხადებს, მინისტრთა კაბინეტის შემოღება მაშინ იქნება კარგი, თუ იგი არსებული სისტემის დემონტაჟს უსისხლოდ მოახდენს (!)

დღეს ოპოზიცია მმართველი პარტიის ნერვებზე თამაშობს და მინისტრთა კაბინეტის მხარდაჭერისთვის რაღაც პირობების შესრულებას ითხოვს. ამით ცდილობს მოსახლეობას აჩვენოს, რომ იგი ჯერ კიდევ არსებობს.

სავარაუდოა, რომ საბოლოო ჯამში, ოპოზიცია (რომელიც მმართველი პარტიის გარეთაა) ერთხმად დაუჭერს მხარს როგორც მინისტრთა კაბინეტის შემოღებას, ასევე პრემიერ-მინისტრად ზურაბ ჟვანიას კანდიდატურას. ამას ვერ ვიტყვით მმართველ პარტიაზე, რომელიც კაბინეტის დაკომპლექტების დროს ალბათ, უფრო გაითიშება.

ამიტომაც, დღეს უკვე პარლამენტში კითხვას ასე სვამენ: – ვის სჭირდება მინისტრთა კაბინეტის შემოღება? და ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი ჯერჯერობით არ არსებობს.

ბექა ძიძია.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

იუბილე

ივანე ჯავახიშვილი, როგორც პოლიტოლოგი

რაც უფრო ისტორიის სიღრმეებში მიდის სახელი და საქმენი ივანე ჯავახიშვილისა, მით უფრო ნათელი ხდება:

შეუძლებელია ჩვენს თაობებს რაიმე წარმატებების იმედი ჰქონდეს ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გზაზე მისი და მასთან ერთად, მთელი ჩვენი უძველესი და უმდიდრესი ეროვნული მემკვიდრეობის გათვალისწინებისა და გათავისება-გათანამედროვეობის გარეშე.

ივანე ჯავახიშვილს, ცხადია, არ შეეძლო პირდაპირ და დაუფარავად ელაპარაკა ქართული სახელმწიფოებრიობის მომავალზე. ამიტომაა, რომ ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის შესახებ მის პოლიტოლოგიურ მემკვიდრეობას, ისე როგორც მის შესატყვის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას, ჰერცლის „სიონიზმის" მსგავსად, ჩვენ მის ერთ რომელიმე საპროგრამო ხასიათის მონოგრაფიულ გამოკვლევაში ძნელად თუ ვნახავთ. მეტიც, იგი, ფაქტობრივად, უცნობია ჩვენთვის. მაგრამ ეს მარტო ცენზურის ბრალი არაა, არანაკლები როლი შეასრულა (და ასრულებს დღესაც) სახელმწიფოებრივი ცნობიერების დაკარგვა — ბოლო ორი საუკუნის უმთავრესი სატკივარი „ბედნიერი ერის"...

საინტერესო პარალელები ამ მხრივ: როცა ივანე ჯავახიშვილი ქართული სახელმწიფოებრიობის მეცნიერულ შესწავლას იწყებს პეტერბურგში, სწორედ მაშინ გერმანულიდან ითარგმნა საოცარი წიგნი, რომელმაც შემდგომ დიდი როლი შეასრულა ევროპისა და მსოფლიოს ისტორიულ განვითარებაში: ეს სიონიზმის ფუძემდებლის თეოდორ ჰერცლის (1860-1904), საყოველთაოდ გახმაურებული წიგნი — „ებრაული სახელმწიფოა".

ამ წიგნმა ახალგაზრდა ივანე ჯავახიშვილზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. უეჭველად ამან განაპირობა მისი გადაწყვეტილება, ეკვლია ქართული სამართლისა და ეროვნული ეკონომიკის ყველაზე შორეული ისტორიული ფესვები. ჰერცლის წიგნიდან ზუსტად ათი წლის თავზე ივანე ჯავახიშვილს უკვე დამთავრებული ჰქონდა „ქართული სახელმწიფოს" საფუძვლების — „საქართველოს ეკონომიური ისტორიის" და „ქართული სამართლის ისტორიის" ფუნდამენტური გამოკვლევები, აგრეთვე, XI-XII საუკუნეებში ფორმირებული კლასიკური ტიპის ქართული სახელმწიფოს ძირითადი სამემკვიდრეო ღირებულებანიც.

მაგრამ, სანამ ამ ღირებულებებზე და მათ სადღეისო და სამომავლო მნიშვნელობაზე გადავიდოდეთ, მოკლედ გვინდა აღვნიშნოთ ჰერცლის ზემოთ აღნიშნული წიგნის პოლიტოლოგიური არსი და მნიშვნელობა. ეს იმიტომ, რომ იქ განვითარებული სიონისტური თეორია და იდეები გარკვეულწილად ჩვენც გვეხმიანებიან. ამასთან, აქ ხშირად დაუჯერებელ პარალელებსაც ვნახავთ თეოდორ ჰერცლსა და ილია ჭავჭავაძეს, სიონიზმსა და „საერთო ნიადაგის" თეორიას შორის, თვით სიონიზმის მოტივიზაციის მართლაც საოცარ და დაუჯერებელ თანდამთხვევას: ის, რასაც წერს ჰერცლი 1895 წელს „ებრაული სახელმწიფოს" შესავალში, ილია მას თითქმის სიტყვა-სიტყვით „იმეორებს" 1886 წლის სტატიაში — „ებრაელთა საკითხზე"...

ილიასი არ იყოს, ჰერცლიც „ძველი დიდებულის ხანის" უკურნებელი სენით არის დაავადებული. იმდენად მძაფრია ეს სულიერი ალტკინება-მონატრება, რომ „პალესტინის მხურვალებას" გრძნობს, გალილეის ყვავილთა „სურნელებას", აბრაამსა და დავითს, სოლომონსა და მოსეს „ხედავს თვალნათლივ", ხოლო მოშე დაიანი, სიონიზმის კიდევ ერთი გამოჩენილი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი, ყოველივე ამას რაღაც თავისებური კანონის ფორმას აძლევს წიგნში — „ცხოვრება ბიბლიით": „... წარმოსახვით უნდა დავძლიოთ დროთა მანძილი, რათა საუკუნეთა წარსული მოვლენების თვითმხილველნი გავხდეთ — „ბიბლია" ჩვენი აწმყოს ნაწილად და ჩვენს მემკვიდრეობადაც უნდა იქცეს" — მოძღვრავს ისიც თავის ხალხს...

ეს „ბიბლია" და „ებრაული სახელმწიფო", მაგრამ „ქართლის ცხოვრება" და „ქართული სახელმწიფო"? გვაგონდება კი, ისინი ვისმე? სიონისტებმა ჰერცლის წიგნიდან მეორე წელსვე კონგრესების გამართვა დაიწყეს, ათასობით და ათიათასობით ადამიანი ჩაერთო „აღთქმული ქვეყნის" ძიებაში მაშინვე, მაგრამ ჩვენ? ამ ძიებას მალე, სულ რაღაც 50 წლის შემდეგ, ძიებულის პოვნაც მოჰყვა — ახალი ქვეყანა და მისი ახალი „ოქროვანი ხანაც", მაგრამ ჩვენი „ოქროვანი ხანა"? ძიებას რომ თავი დავანებოთ, გვახსოვს, რომ ოდესმე ასეთი რამ ჩვენცა გვქონდა?...

სწორედ ამ კითხვა-დილემებს უპასუხა დიდმა ივანემ 1938 წელს მონოგრაფიით — „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია". მეცნიერული გმირობა იყო მაშინ ეს. დაკვირვებული მკითხველი აქ აშკარად დაინახავს „ქართული სახელმწიფოს" გარკვეულ მინიშნებებსა და პარალელებს „ებრაულ სახელმწიფოსთან", პირველ რიგში იქ, სადაც დრეპერის „ერების დაბერებისა და სიკვდილის" ანტიმეცნიერული თეორიაა გაკრიტიკებული. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თვითონ სიონიზმი — ებრაული სახელმწიფოს აღორძინება და მისი ზრდა-განვითარება, აბათილებს ამ საფუძველშივე მცდარ თეორიას...

ბუნებრივია, რომ ივანე ჯავახიშვილს აქ იმდენად დრეპერის თეორია კი არ აინტერესებს, რამდენადაც მომავალი ქართული სახელმწიფოს სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლების კვლევა, რასაც იგი „ქართლის ცხოვრების" პოლიტოლოგიური კვლევისა და ილიას მემკვიდრეობის საფუძველზე აკეთებს. მონოგრაფიას, ალბათ, ამიტომაც მისცა სათაურად — „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია". აქ, ფაქტობრივად, მას თავისი ხანგრძლივი მეცნიერული შრომის პოლიტოლოგიური შეჯამება და ანალიზი აქვს მოცემული, „ქართული სახელმწიფოს ბალავრის ქვა"...

საგაზეთო წერილში ძნელია გადმოვცეთ, როგორც თვითონ ივანე ჯავახიშვილი უსვამს ხაზს, „საქართველოს ისტორიის ფილოსოფიის მომავლის გზის გამკვლავი" დასკვნები, მაგრამ ქართული სახელმწიფოს ჯავახიშვილისეული გააზრების სქემატურ მონახაზს კიდევ ერთხელ სჭირდება ჩვენგან გახსენება და ხაზგასმა. ამასთან, მკითხველს გვინდა შევახსენოთ, რომ ამ ორი-სამი წლის წინათ ცალკე მონოგრაფიებადაც გამოიცა ივანე ჯავახიშვილისა და ილია ჭავჭავაძის პოლიტოლოგიური შეხედულებანი ქართული სახელმწიფოს შესახებ. ამჯერად, გვინდა შევჩერდეთ ორ არსებით მომენტზე ივანე ჯავახიშვილის პოლიტოლოგიური მემკვიდრეობიდან.

პირველი მათგანია ის ზოგადსოციოლოგიური კანონი, რასაც საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ბუნებრივ-ისტორიული პროცესი ჰქვია და რომელიც ნებისმიერი ერისა და ქვეყნის არსებობა-განვითარების საფუძველთა საფუძველია. ამიტომ მოითხოვდა ილიაც ასე დაჟინებით ეროვნული მემკვიდრეობის, ჩვენი ძირძველი ეროვნული ფესვების გამოცოცხლებასა და გათავისებას...

ივანე ჯავახიშვილმა „ქართველი ერის ისტორიის" მთელ თავის მრავალტომეულს სწორედ ეს კანონი დაუდო საფუძვლად. ქართული სახელმწიფოებრიობის მისეულ გააზრებასაც ბუნებრივ-ისტორიული განვითარების ეს კანონი გასდევს წითელ ხაზად. რაც შეეხება ამ სახელმწიფოებრიობის სამომავლო ბედს, დიდი ივანე აქაც მას — ქართული სახელმწიფოს სამომავლო განვითარებას, ამ კანონის ამოქმედებას უკავშირებს: ქართულ სახელმწიფოს მაშინ შევქმნით, მაშინ უზრუნველვყოფთ მის სტაბილურ განვითარებას, როცა შევძლებთ, როგორც ილიას უყვარდა თქმა — „ქართული წეს-წყობის აღდგენასა და გათანამედროვეობას — ახალი საქართველოს ძველი საქართველოდან ამოშობას"...

ივანე ჯავახიშვილისთვის საქართველოს ისტორიის ფილოსოფიის კვლევა თვითმიზანი არ იყო. იგი წლების მანძილზე საქართველოს ისტორიის კონკრეტული პრობლემების კვლევა-ძიების შედეგია (ის ამას „შავ სამუშაოს" უწოდებდა), რასაც, ბუნებრივია, გარკვეული მიზანმიმართულება ჰქონდა. როგორც პეტერბურგის, ისე თბილისის არქივებში დაცული მრავალრიცხოვანი დოკუმენტებიდან და, აგრეთვე, პირადი წერილებიდან აშკარად გამოსჭვივის ამ მიზანმიმართულების პოლიტოლოგიური არსი:

მისი ამ „შავი სამუშაოს" შემდეგ უნდა დადგეს „მომავლის გზის გამკვლავი ისტორიის ფილოსოფიის" (ანუ პოლიტოლოგიის), მეთოდოლოგიური პრინციპების დადგენა. აქ მოყვანილი მისი ხელნაწერი რვეულის სათაურიც ზუსტად საქართველოს მომავლის ამ სახელმძღვანელო მითითებას უსვამს ხაზს.

ამ ვრცელ რვეულშიც და, ბევრგან სხვაგანაც, იგი ხშირად გამოხატავდა დიდ წუხილს და გულისტკივილს იმასთან დაკავშირებით, რომ მას ბედმა არ დააცალა ამ თავისი დიდი და შრომატევადი „შავი სამუშაოს" შემდეგ მოემკო მისი „მთავარი ნაყოფიც". თუ რას გულისხმობდა ამ ქარაგმაში, არც ეს უნდა იყოს ძნელი გამოსაცნობი: საქართველოს ისტორიის ფილოსოფიით იგი, უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავდა იმ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას, რომელიც, სიონიზმის მსგავსად, „ერთიანად შეაკავშირებდა ქართველ ერს და მის პოლიტიკურ ლიდერებს"...

დავაკვირდეთ I მსოფლიო ომის დროს (განსაკუთრებით 1916-17 წლებში, როცა რუსეთის დამარცხება გარდუვალი გახდა) პეტერბურგიდან გამოგზავნილ მის წერილებს — ყველა თავის ახლობელს და ნათესავს იმას ეხვეწება და ჩააგონებს, რომ სხვადასხვა პარტიებად დაშლილნი და განითითოებულნი რამენაირად ერთიან ეროვნულ პოზიციებზე დადგნენ. განა თვითონ მისი სასწრაფოდ გამომგზავრება საქართველოში 1917 წლის აპრილში და უნივერსიტეტის დაფუძნების დაჩქარება იგივე დიდ ეროვნულ მიზანს არ უსვამს ხაზს?!



გავიხსენოთ მისი მოწოდებაც — „თბილისის უნივერსიტეტი უნდა გახდეს ერის წინამძღოლი" და ნათელი გახდება ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრესი მიზანი და „დერიტა" — გამოეყვანა თავისი ქვეყანა „ძნელბედობის მონობისგან" და ეჩვენებინა გზა ახალი „ოქროვანი" ხანისკენ. დღეს იქნება თუ ხვალ იქნება, ეს დიდი მიზანი საქართველოს ისტორიისა და პოლიტოლოგიის პატრიარქისა, საქმედ უნდა იქცეს. სხვა უფრო დიდი საქმე ჩვენს თაობებს არ შეიძლება გვქონდეს...

„ქართული სახელმწიფოს აღდგინების" ამ პოლიტოლოგიურ გააზრებას უშუალოდ უკავშირდება საქართველოს ისტორიის ფილოსოფიის კიდევ ერთი ჯავახიშვილისეული წვდომა. საქმე ეხება ეროვნული ეკონომიკის ფორმირების სტრატეგიის განსაზღვრას, ანუ, რას უნდა დაეფუძნოს საქართველოს მთელი სამომავლო საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარება?

ამ პრობლემასაც ივანე ჯავახიშვილი „ისტორიის ფილოსოფიით" პასუხობს: იმას, რასაც ეფუძნებოდა ისტორიულად „ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობა" და არა ისევ მესამედასურ ინდუსტრიულ გიგანტომანიაობასა და სამეურნეო ბიუროკრატიას. ამასთან, ერის ინტელექტუალური და მწარმოებელი ძალების „ერთნებაობას", მმართველი ფენების სოციალურ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებულ გათანამედროვებულ „ქართულ პატრონყმობას", თავის დროზე ერთ დიდ ეროვნულ ორგანიზმად რომ კრავდა ერსა და ბერს („ყოველთა სწორად წყალობასა, ვითა თოვლსა მოათოვდეს"), და, აგრეთვე, ფართო სასოფლო-სათემო თვითმმართველობაზე დაფუძნებულ „კომლსა" და „ხოდაბუნურ კორპორაციებს", ანუ „ქართულ კიბუცებს", რომელთაც ძალუძთ ნამდვილი სამეურნეო სასწაულები მოახდინონ ჩვენთანაც, თუკი ამის პოლიტიკური ნება გვექნება და მათ ორგანიზებასა და ხელშეწყობაზე სერიოზულად ვიფიქრებთ, რომელთა სიმპტომები, სამწუხაროდ, არადა არ ჩანს...

მრავლისმეტყველია ივანე ჯავახიშვილის დასკვნაც, რომელიც ისევ და ისევ საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ფილოსოფიურ განზოგადოებას ეფუძნება: საქართველოც და ქართველი ერიც თოფსა და ხმალზე მეტად, მისმა მოქნილმა და უაღრესად ეფექტურმა მიწათმფლობელობისა და მიწათმოქმედების ეროვნულმა სისტემამ გადაარჩინა. ეს არის თავის დროზე ილიას მიერ დასმული კითხვის — „რა ქონებით უძლებოდა ქვეყანა ამოდენა ომიანობასა, საზრდოობას ვინ გვაძლევდა და რა გვაძლევდა?", ჭეშმარიტი მეცნიერული პასუხიც:

მთავარი დღეს ჩვენთვის ის არის, რომ ამ პასუხს და, საერთოდ, საქართველოს ისტორიის ფილოსოფიის მთელ მისეულ წვდომას გამოყენებითი პოლიტოლოგიური სახე მივცეთ. ქართული სახელმწიფოს ეს სამეურნეო სისტემა დღეს აღდგენას გვთხოვს, ეროვნულ ეკონომიკას უამისოდ ვერასოდეს შევქმნით...

დინჯი და უპრეტენზიო კაცი იყო პირად ცხოვრებაშიც და მეცნიერებაშიც — ეგზალტირებული იშვიათად უნახავთ სახლში თუ კარში, მაგრამ ალტაცებასა და ალტკინებას ვერ მალავს, როცა ქართული სახელმწიფოს და „ქართული წეს-წყობის" ილიასეულ გააზრებას იკვლევს. მაგრამ ალტაცებასთან ერთად, დიდი წუხილი და გულისტკივილიც გასდევს ივანე ჯავახიშვილის ამ ბოლო ნაშრომს, გულისტკივილი იმისა, რომ საქართველოს ისტორიის ამ დიდ ფილოსოფიურ წვდომას — „კარგი გამგონე არავინ გამოუჩნდა".

იქნებ, ქართულ სახელმწიფოს და „ქართულ წეს-წყობას" ხვალ და ზეგ მაინც, კარგი გამგონე და გულშემატკივარი გამოუჩნდეს? იქნებ, დადგა იმის დროც, რომ ხელისუფლებამ გამოიჩინოს კეთილი ნება და შექმნას ქართული სახელმწიფოს ერთიანი და ყოვლისმომცველი კონცეფცია რეფორმების მიზანმიმართული კორექტირებისთვის. და სანამ ასეთი კორექტირებისთვის უცხოელებს მოვიწვევდეთ, იქნებ ჩვენი დიდი ერისკაცების მემკვიდრეობა გავითვალისწინოთ: სხვანაირად ქართული სახელმწიფოს მიზანი ცარიელ უტოპიად შემოგვრჩება დღევანდელ თაობებს...

ელგერდ ბატიაშვილი.

სულთათანა

ეს იყო „გრიშაშვილობა"

...გაზაფხული ხომ სიხარულია! და ამ განცდას ერთი ლამაზი დღეც ემატებოდა, დღე, რომლისთვისაც წინასწარ ვემზადებოდით და 23 აპრილის საღამოს კი ხარფუხისაკენ მივეხაროდა!

... ეს იყო „გრიშაშვილობა" — პოეტის დაბადების დღე — ქცეული მისი ხსოვნის დღედ, როცა ხარფუხში, მისეულ ბიბლიოთეკა-მუზეუმში, რომელსაც დღემდე ერთგულობს მისი დისწული ნოდარ გრიგორაშვილი, პოეტის გარდაცვალების შემდეგაც თავს იყრიდნენ ხოლმე მისი პოეზიის თაყვანისმცემლები და მოგონებებით, მისი უცნობი ლექსებით, მისი შემოქმედებით შთაგონებული ესეებით აცოცხლებდნენ პოეტის პიროვნებას, რომელსაც თითქოს კარგად ვიცნობდით, მაგრამ აბა ბევრმა იცოდა განა, რა ცეცხლი დაუტრიალდა გულში, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა — მაშინ ჭექა-ქუხილივით გაისმა ლექსი — **„ახალ ხელისუფლებას"**.

„... მართალია, დღეს ეს ლექსი
ბევრ მოშურნეს გააჯავრებს,
მაგრამ მაინც თამამ სიტყვას
მოვახსენებ ახალ მთავრებს, —"

და შეუპოვრად მიმართავს მათ, — ხალხი არ შეგინდობთ, რომ სხვისი ხიშტით შემოხვედითო! ქართველთა წმინდა სისხლის დალერით გულამღვრეული პოეტი სისხლის მელნითვე წერს:

„განა ჩვენი არწივები
გაურბოდნენ დროშას წითელს,
რომ დღეს ჩვენზე ახარხარებთ
ყველა ბილწს და ყველა
სკვითელს"...

... აქ ჩემი ყურადღება კიდევ ერთმა გარემოებამ მიიპყრო — სიტყვა — სკვითელმა — ეს აკაკისეული გამოთქმა საგანგებოდ გამოიყენა პოეტმა, როგორც მემკვიდრემ, როგორც პატრიოტმა, ჭეშმარიტად სასახელო ივერიელმა (ეს მისი გამოთქმაა):

„ო, ჩვენ ისე შევეწვიეთ
ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს ფერს,
ჩვენს ხმას,
რომ ვერასდროს ვერ ავიტანთ
გამარჯვებულ რუსულ ნექმას...

ლექსის ბოლოში მუქარაა... პოეტის მახვილი და ხიშტი ხომ კალამია:

„მაგრამ ვინმემ თუ გაჰბედა,
რომ მოგვსპოს და გადაგვთელოს —
ვიტყვი: მოკვდა საქართველო —
გაუმარჯოს საქართველოს".

და ეს ლექსი 1921 წლის 25 თებერვლით არის დათარიღებული...

და ამ ლექსს დიდხანს „ეძინა" პოეტის არქივში...

1992 წელს გამოსცა იოსებ გრიშაშვილის დაუბეჭდავი ლექსები „ნობათმა". კრებულის შემდგენელია ნოდარ გრიგორაშვილი, რედაქტორი კი — ზურაბ კალანდაძე.

... 23 აპრილისათვის ადრევე იჭერდნენ თადარიგს როგორც ნოდარ გრიგორაშვილი, ასევე პოეტის უსაყვარლესი დისწული და ნათლული ანი ციციშვილი და მისი მეუღლე, სამაგალითო პიროვნება, ნამდვილი თბილისელი ნიკო ციციშვილი, საღამოების უცვლელი თავმჯდომარე, პროფესორები სოლომონ ხუციშვილი და აკაკი ხინთიბიძე.

... და პოეტის მიერ საოცარი სიყვარულით შექმნილ თბილისურ მუზეუმში, რომლის კედლებიდანაც გვიმზერენ ცნობილი ქართველი მწერლები, მსახიობები, რომლის ვიტრინებშიც უნიკალური ქალაქური ნივთებია განთავსებული (რასაც იოსებ გრიშაშვილი მისხალ-მისხალ აგროვებდა) — თითქოს ჩვენთან ერთად იყო თვითონაც და ლაღადებდა:

მაგრამ არ ვქებ ხანას სასტიკსა,
ვიტყვი ილიას ამ სიტყვებს მეცა:
„რაც კარგი სურდეს რუსისა მტრისა,
ღმერთმა იმ რუსსვე მისცეს
ასჯერად".

... ისევ მემკვიდრეობითობა...

... მე მომენატრა პოეტის აჩრდილთან გასაუბრება, ხარფუხის დიდი მრგვალი მაგიდა და ნაცნობი სახეები, წყნარი ლამაზი საღამოები...

... თქვენ ბატონებო, ნოდარ, აკაკი?

... ვაი რომ, ბევრ ნაცნობ მოღიმარ ძვირფას სახეს ვეღარ დავლანდავთ, მაგრამ გრიშაშვილობა უნდა აღდგეს!

ასე მგონია, ამის დრო დადგა თავისუფალ საქართველოში. მისთვის, ვინც მართლაც დატოვა შეუბღალავი სახელი და ყოველთვის იბრძოდა ქართული სიტყვის სილამაზისათვის.

„ორმოცისა ვარ... მაგრამ რომ ვიყო
ორჯერ ორმოცის, მაინც
ვიბრძოლებ
ქართული სიტყვის
სილამაზისთვის".

... ეს სტრიქონებიც დაუბეჭდავი ლექსიდანაა... (1929 წ.)

რაოდენი მნიშვნელობა აქვს თარიღებს!

სურათზე: ანი ციციშვილი, სოსო გრიშაშვილი, სოსო ყიფიანი; დგანან: ტატო ჩაგანავა და ნიკო ციციშვილი (1960 წ.)

P. S. ეს სურათი ბატონმა ნიკო ციციშვილმა მისახსოვრა 1993 წლის 15 აპრილს... და მას სიყვარულით ვინახავ... ვინახავ ბოლო მოსაწვევსაც, რომლის დღის წესრიგში ჩემი გვარიც არის, როგორც ერთ-ერთი მომხსენებლისა — „იოსებ გრიშაშვილის თეატრალური სამყარო"...

ეს XXIX „გრიშაშვილობა" იყო...

ნანა ლვინეფაძე.
2001 წლის 17. IV.

მოსკოვში, ოლიმპიადაზე

რუსეთის ფედერაციის დედაქალაქში გაიხსნა მსოფლიო თეატრალური ოლიმპიადა. ამ სადღესასწაულო დათვალიერებაში, რომელიც სასცენო მოედნებიდან მოსკოვის მოედნებზე და სკვერებში გადმოვიდა, მონაწილეობს 50 თეატრალური დასი. საქართველოს წარმოადგენს თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრი. ამ დღეებში მაყურებელთა და სპეციალისტთა სამსჯავროზე თეატრი გამოიტანს ახალ ნამუშევარს შექსპირის „მეთორმეტე ღამე, ანუ როგორც გნებავთ" სამხატვრო ხელმძღვანელის, რეჟისორ რობერტ სტურუას დადგმით.

სოროსის ფონდის მხარდაჭერით

გერმანიის აკადემიური გაცვლების სამსახურმა „ოუპენ სოსაიეტი ინსტიტუტთან" ერთად დაიწყო ერთობლივი პროგრამა, რომელსაც სოროსის ფონდი აფინანსებს. ამ პროგრამის ფარგლებში ქართველი სტუდენტები და მეცნიერების სხვადასხვა დარგის სწავლულები მიიღებენ სტიპენდიების ნაწილს გარკვეული დისციპლინების მიხედვით ორივე მხარის მონაწილეობით. მაგისტრანტებსა და ასპირანტებს, რომლებსაც ეს პატივი ხვდათ წილად, უახლოეს დროში თბილისში გაივლიან გერმანული ენის ინტენსიურ კურსს, შემდეგ მის შესწავლას განაგრძობენ გერმანიაში გოეთეს ინსტიტუტში. სტიპენდიების დანიშვნის შესახებ შესაბამის მოწმობებს მაისის დამლევს მიიღებენ.

სტაჟირებაზე გერმანიაში

გერმანიის აკადემიური გაცვლების სამსახური „დაადი" ეხმარება ნიჭიერ სტუდენტებს, სხვადასხვა პროფილის მეცნიერებს არა მარტო მატერიალური მხარდაჭერით, არამედ იმითაც, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, იგრძნონ, რომ ესოდენ საჭირო არიან საზოგადოებისათვის, განიმტკიცონ ცოდნა სტაჟირების დროს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს „დაადის" კოორდინატორმა საქართველოში ლუდმილა კლოტცმა. — კონკურსმა, რომელიც მარშან შემოდგომაზე გაიმართა, გამოავლინა 300 პრეტენდენტი, რომელთაგან 50-ზე მეტი სტიპენდიებს იღებს და უკვე მიმდინარე წლის მაისის დამლევს — ივნისის დამდეგს გაემგზავრება სასწავლებლად გერმანიაში ერთი თვიდან წლამდე ვადით.

პარიზში „ერისიონის" კომპაქტ-დისკი გამოიცა

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „ერისიონის" კომპაქტ-დისკი გამოიცა საფრანგეთში, რომლის პრეზენტაცია 15 მაისს მოეწყობა პარიზში.

ანსამბლის დირექტორის ოთარ ბლუაშვილის თქმით, კომპაქტ-დისკში, რომლის სახელწოდებაა „ქართული ლეგენდა", შესულია „ერისიონის" რეპერტუარიდან 12 საცეკვაო მუსიკა და სიმღერა.

კომპაქტ-დისკი ფრანგულმა ფირმა „უნივერსალმა" გამოუშვა და იგი ევროპის ბაზარზე გაიყიდება.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.

პროკურატურა

სტუმარი ისევ ღვთისაა?

1998-2000 წლებში ქვეყანაში უცხოელთა მიმართ ჩადენილია 200-მდე დანაშაული

ბოლო ხანს საქართველო მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოექცა. თანდათან ფართოვდება პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები, ხორციელდება საერთაშორისო მასშტაბის პროექტები; ჩვენი ქვეყნით ინტერესდებიან ცნობილი ბიზნესმენები თუ ჩვეულებრივი ტურისტები. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მონაცემებით, ყოველწლიურად ჩვენთან ჩამოდის ასი ათასობით უცხოელი. თავისთავად ეს სასიამოვნო ფაქტია, მაგრამ პარალელურად იკვეთება მათ წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა ზრდის ტენდენცია. სწორედ ამ საჭირბოროტო თემაზე გვესაუბრება გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა ორგანოებში მოკვლევისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი აკაკი დაუთაშვილი.

— ჩვენი ქვეყანა, — თქვა მან, — ოდითგანვე განთქმულია სტუმარ-მასპინძლობის იშვიათი ტრადიციებით. სამწუხაროდ, სადღეისოდ, ისევე როგორც ბევრ სხვა რამეს, ამ ტრადიციებსაც ჩრდილი მიადგა. მატულობს და მატულობს უცხოელ მოქალაქეთა მიმართ ჩადენილი დანაშაულობანი, რაც უარყოფითად მოქმედებს საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტზე. აქ შექმნილი კრიმინოგენური სიტუაციის გამო რამდენიმე სახელმწიფომ თავის მოქალაქეებს მოუწოდა, თავი შეიკავონ ჩვენს ქვეყანაში ვიზიტებისაგან. ეს უკვე დამაფიქრებელი მოვლენაა, რომელსაც სჭირდება კარგად გაანალიზება და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. სწორედ ამიტომ ეს საკითხი ახლახან სპეციალურად განვიხილეთ გენერალური პროკურატურის კოლეგიის სხდომაზე.

1998 წელს საქართველოში რეგისტრირებული იყო უცხოელთა მიმართ ჩადენილი სისხლის სამართლის 44 დანაშაული, 1999 წელს — 53, 2000 წელს — 89, წლევანდელ 3 თვეში — 16. სულ 202 დანაშაულიდან 4 განზრახ მკვლელობაა, 7 — ავტომანქანის გატაცება, 9 — მძევლად ხელში ჩაგდება და მოტაცება, 32 — ძარცვა, 55 — ყაჩაღობა, 74 — ქურდობა და სხვა. ყველაზე მეტი დანაშაული ჩადენილია თბილისში, თუმცა სრული სიმშვიდე არც რეგიონებშია. უცხოელები გავაწბილეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხე-კუნჭულში.

უცხოეთის მოქალაქეებისათვის მიყენებულმა ზარალმა შეადგინა 196.259 დოლარი, 154.498 ლარი, 1960 გერმანული მარკა, 80 მილიონი თურქული ლირა, 1020 რუბლი და 150 გირვანქა სტერლინგი.

— ბატონო აკაკი, ასე თუ ისე, ჩვენ ყოველთვის თავს ვიწონებთ დანაშაულის გახსნის მაღალი მაჩვენებლით. ამ კუთხით თუ გვაქვს სანუგეშო მდგომარეობა?

— სამწუხაროდ, არა. საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელების მიმართ ჩადენილ დანაშაულთა მატების ფონზე რამდენადმე გაუარესებულია ამ დანაშაულთა გახსნის მაჩვენებელი. კერძოდ, 202 დანაშაულიდან სადღეისოდ გახსნილია მხოლოდ 90, გაუხსნელია — 112, ესე იგი, ნახევარზე მეტი. მათი ძირითადი ნაწილი მოდის ქურდობებზე, ყაჩაღობებსა და ძარცვებზე. გახსნის მხრივ არასახარბიელო ვითარებაა თბილისში. 1998 წელს აქ გახსნის მაჩვენებელი იყო 46 პროცენტი, 2000 წელს კი — 28 პროცენტი.

— რა, მთლად მივატოვეთ უცხოელები ბედის ანაბარა? ასეთი დაბალი მაჩვენებლები მეტს ვერაფერს გათქმევინებს...

— უცხოელთა მიმართ ჩადენილ დანაშაულთა ფაქტებზე აღძრულ და გაუხსნელობის მოტივით შეჩერებულ სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლამ დაგვანახა, რომ უმრავლეს შემთხვევაში დროულად ხდება სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, აუცილებელ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარება, შემთხვევის ადგილის დათვალიერება, დაზარალებულთა და მოწმეთა დაკითხვა, სხვადასხვა სახის ექსპერტიზის ჩატარება, ოპერატიული სამსახურებისადმი შესაბამისი საგამოძიებო დავალებების გადაგზავნა და ა. შ.

ამასთან, გაუხსნელობის მოტივით შეჩერებულ სისხლის სამართლის საქმეებში გამოვლინდა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები და საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები. საერთო ჯამში, ყოველივე ამას შეიძლება ვუწოდოთ გამოძიებისა და სამძებრო-ოპერატიული საქმიანობის არასრულყოფილად წარმართვა.

— იქნებ ორიოდ კონკრეტული ფაქტი დაგვისახელოთ?

— დიდუბის შინაგან საქმეთა საგამოძიებო განყოფილებაში აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე 1999 წლის ივნისში თურქეთის რესპუბლიკის „ემლაქ ბანკის" თბილისის ფილიალიდან თაღლითური გზით 23.910 დოლარის გატაცების ფაქტზე. ამ საქმეზე ხუთი თვის მანძილზე გამომძიებელმა ე. წოწკოლაურმა მხოლოდ ერთი საგამოძიებო მოქმედება ჩაატარა და ისიც უხარისხოდ;

სამი თვის განმავლობაში მხოლოდ ოთხი საგამოძიებო მოქმედება ჩაატარა ჩუღურეთის შინაგან საქმეთა საგამოძიებო განყოფილების გამომძიებელმა დ. არჩვაძემ რუმინეთის მოქალაქის ლაურა ფონ კნოსისდორფის ბინის გაქურდვასთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე. 2000 წლის 15 მარტს კი მან გამოძიება აშკარად უკანონოდ შეაჩერა გაუხსნელობის მოტივით.

— ასეთ დროს, ჩვეულებრივ, სვამენ კითხვას: სად იყურება პროკურატურა?

— გულსატკენი სწორედ ისაა, რომ ხშირად დარღვევები გრძელდება პროკურატურის ჩარევის, მისი მითითებების მიუხედავად. მაგალითად, ხაშურის საგამოძიებო განყოფილებაში არასრულყოფილად ჩაატარეს გამოძიება 2000 წლის 11 იანვარს სოფელ ჩუმათელეთში თურქეთის მოქალაქის უზურმა თეფე ბალალისათვის ყაჩაღურად 350 დოლარისა და 600 დოლარის ღირებულების ოქროს სამაჯურის გატაცების ფაქტზე. პროკურატურამ გამოძიებას მისცა წერილობითი მითითებები სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად, მნიშვნელოვანი გარემოებების გასარკვევად, მაგრამ ამაოდ. 2000 წლის 11 აპრილს გამოძიება მაინც შეაჩერეს;

ნაადრევად და უსაფუძვლოდ შეაჩერეს გამოძიება თელავის რაიონის საგამოძიებო განყოფილებაში 2000 წლის 4 დეკემბერს უცხოელი მოქალაქეებისათვის 15000 დოლარის და პირადი ნივთების გატაცებასთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე. პროკურორის მითითებების მიუხედავად, 2000 წლის 4 მარტს გამოძიება კვლავ შეაჩერეს.

ეს და კიდევ სხვა ამგვარი საქმეების შეჩერება საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ უკანონოდ ჩათვალა და სათანადო მითითებებით გამოძიება კვლავ განაახლა.

— ბატონო აკაკი, ყოველწლიურად ქვეყანაში ვლინდება 400-500 მიჩქმალული დანაშაული. ხომ არ ხდება ამ სიაში უცხოელთა მიმართ ჩადენილი ბოროტმოქმედებანიც?

— დიახ, ხდება. ვაკის რაიონში სცადეს ამერიკის მოქალაქის ამანდა გულდენის ბინის ქურდობის მიჩქმალვა; მთაწმინდის რაიონში სისხლის სამართლის საქმეც კი აღიძრა სამხედრო ინსპექტორის გ. ბეგიაშვილის მიმართ, რომელმაც მიჩქმალა ასევე ამერიკის მოქალაქის მარკ ალენის ბინის ქურდობა.

— ყველა დანაშაული მტკივნეულია ჩვენთვისაც და უცხოელებისთვისაც, მაგრამ მაინც გამოსარჩევია მკვლელობები, ადამიანთა გატაცებები, რომლებიც უშუალოდ ურტყამენ საქართველოს ავტორიტეტს... ამ მხრივ როგორა გვაქვს საქმე?

— ბოლო დროს გაიხსნა პოლონეთის მოქალაქის ვევიორსკას და რუსეთის მოქალაქის ბუდნიკოვის მკვლელობები. ამავე დროს ჯერჯერობით გაუხსნელია ბერძენი დიპლომატის ანასტასიოს მიზიტრასის და იტალიელი ჟურნალისტის ანტონიო რუსოს მკვლელობები. ორივე საქმეს იძიებს საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი. არსებობს ყველა წინაპირობა იმისა, რომ ეს ბოროტმოქმედებანიც გაიხსნება.

თუმცა, ზოგიერთი მძიმე კატეგორიის და საერთაშორისო რეზონანსის მქონე დანაშაულთა გამოძიება ხშირად ჩიხში ექცევა გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო. მაგალითად, 2000 წლის 4 აგვისტოს პანკისის ხეობაში გაიტაცეს წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის დელეგატები, — საფრანგეთის მოქალაქე სოფიო პროკოფიევა და იტალიის მოქალაქე ნატამა ზულინო. მართალია, მძევლები გაათავისუფლეს, მაგრამ მათ შემდეგ გამოძიებას ჩვენება არ მისცეს; საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობა არ მიიღეს და საქართველოს ტერიტორია ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დატოვეს 1998 წელს ზუგდიდში, 1999 წლის 13 ოქტომბერს, 2000 წლის 1 ივნისს და 10 დეკემბერს კოდორის ხეობაში გატაცებულმა გაეროს სამხედრო დამკვირვებლებმაც.

— ბატონო აკაკი, არის ვერსია, რომ ქვეყნის ავტორიტეტის შესალახად სპეციალურად მუშაობს ორგანიზებული ჯგუფი. არის, ცხადია, სერიოზული დანაშაულობანი, მაგრამ არის უსაგნო, უმიზნო ბოროტმოქმედებანიც. თქვენ რას იტყვით?

— კოდორის ხეობაში გატაცებებთან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს იმის დამადასტურებელი საკმაო მონაცემები, რომ ეს დანაშაულობები ჩადენილია ერთი და იგივე ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რომელსაც ჰყავს უცვლელი ხელმძღვანელიც და წამქეზებელიც. მაგრამ არის სხვა, მართლაც უსაგნო და უმიზნო დანაშაულობანიც, რომელიც მხოლოდ ადამიანთა ფიზიკურ შეურაცხყოფაში, დამინებაში გამოიხატება. სწორედ ეს ბადებს საფუძვლიან ეჭვს იმის შესახებ, რომ რაღაც ჯგუფი მოქმედებს საქართველოს იმიჯის შესალახად, აქედან უცხოელი მოქალაქეების გასადევნად.

აქვე ისიც სათქმელია, რომ ამ კუთხით თვით უცხოელებმაც უნდა გამოიჩინონ სიფხიზლე და ყურადღება. უნდა გამოირიცხოს ქვეყანაში მათი უკანონო ყოფნაც და უკონტროლო გადაადგილებაც. შარშან, 10 დეკემბერს, მხოლოდ ერთი რეიდის დროს გამოვლინდა 20-ზე მეტი სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე, რომელთაც არავითარი საფუძველი არა ჰქონდათ აქ ყოფნისა. დამნაშავეთა სამყარო კი მათ მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს, სწავლობს უცხოელთა ფინანსურ მდგომარეობას, ცხოვრების წესს, მუშაობის რეჟიმს, საცხოვრებელ ადგილს, მოძრაობის მარშრუტს. ასეთ პირობებში ჩადენილი დანაშაულის გახსნა კი ძალზე ძნელია.

დასამალი არაა, რომ უცხოელი მოქალაქეების უსაფრთხოების საკითხი ჩვეულებრივი კრიმინალური მოვლენიდან გადაიქცა მნიშვნელოვან სახელმწიფო პრობლემად. შექმნილი ვითარება მოითხოვს უფრო აქტიური ღონისძიებების განხორციელებას, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას, სამართალდამცავთა ერთობლივ, შეთანხმებულ მოქმედებას. ყველამ უნდა შეიგნოს, რომ საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია დაიცვას უცხო ქვეყნის ყველა იმ მოქალაქის კანონიერი ინტერესები და უფლებები, რომლებიც მის ტერიტორიაზე იმყოფებიან.

ესაუბრა
ბონდო გულიაშვილი.

ევროპა და ევროპელები

ევროპელი პოლიტიკოსები და მათი მოყვრები

ის ფაქტი, რომ ფედერალური კანცლერი გერჰარდ შრედერი უკვე მეოთხედ არის დაქორწინებული, გერმანიაში ყველამ იცის, ხოლო კითხვაზე ჰყავს თუ არა ქვეყნის კაბინეტის მეთაურს ძმები ან დები, სულ ცოტა ხნის წინათ თითქმის ვერავინ უპასუხებდა. ამიტომ გაზეთ „ექსპრესში“ დაბეჭდილი სტატია კანცლერის ნახევარძმის – ლოტარ ფოსელერის შესახებ, შეიძლება ითქვას, ნამდვილი აღმოჩენა გახდა. ამ წერილში ნაამბობი იყო, რომ ფოსელერმა ბოლოს და ბოლოს... იშოვა სამუშაო.

თურმე, იმ დროს, როდესაც გერჰარდ შრედერი ქვემო საქსონიის პრემიერ-მინისტრი იყო, მისი ძმა, პროფესიით – პროგრამისტი, ოთხ წელიწადს იჯდა სოციალურ შემწეობაზე. ფოსელერის ახალი სამუშაო ადგილია დეტმოლდის ავარიულ-ტექნიკური სამსახური. კანცლერის ძმა, რომელსაც ახლახან 54 წელი შეუსრულდა, ჩამდინარე წყლების კოლექტორებს ამოწმებს. თუმცა, ამ წელიწად-ნახევრის წინათ ფოსელერმა კიდევ ერთი პატარა სამუშაო იშოვა. კვირაში ერთხელ იგი თავისებურად განმარტავს აქტუალურ პოლიტიკურ მოვლენებს ბულვარული გაზეთის „ექსპრესის“ ფურცლებზე. და ამას ძალზე გონებამახვილურად აკეთებს. რამდენიმე თვის წინათ დაიწყო რადიოთი გამოსვლაც – ერთ სატირულ გადაცემაში, რომელიც მსმენელთა შორის დიდი წარმატებით სარგებლობს.

ბევრს სურს, იცოდეს, რა ურთიერთობა აქვს ფოსელერს კანცლერთან. თურმე, ძმები, რომლებიც ერთი დედის შვილები არიან, მაგრამ სხვადასხვა მამები ჰყავთ, თითქმის ოც წელიწადს ცხოვრობდნენ ერთ ოთახში. ერთად ანცობდნენ, მაგალითად, როგორღაც ქათამი მოპარეს მეზობელს, მერე კი ხანძარი გააჩინეს ეზოში, ერთ ფეხბურთის გუნდში თამაშობდნენ და ხშირად ერთად დადიოდნენ ლუდის სასმელად. ძმები ახლაც არ ჰკარგავენ ერთმანეთს. მართალია, ფედერალური კანცლერი ძალზე მოუცლელია და იშვიათად პოულობს დროს ნათესავებთან შესახვედრად.

საგულისხმოა, რომ ძველი სამყაროს ყველაზე ცნობილ „პირველ ლედად“ ითვლება არა გურ კანცლერის ცოლი დორის შრედერ-კიოპფი, არამედ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მეუღლე – შერი ბლერი.

მართალია, ცნობარში „ვინ ვინ არის“, იგი ჩაწერილია არა როგორც მისის ბლერი, არამედ როგორც შერი ბუტი, ადვოკატი, რომელიც შრომის სამართალშია დასპეციალებული. და, უნდა ითქვას, საუცხოო დამცველია. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „პირველი ლედი“ წელიწადში იღებს სულ ცოტა 250 ათას გირვანქა სტერლინგს (730 ათასამდე ლარს), ანუ სულ ცოტა ორჯერ მეტს, ვიდრე მისი პრემიერი ქმარი. საყვარელი სამუშაო 46 წლის შერი ბლერმა მაშინაც კი არ მიატოვა, როდესაც გასული წლის მაისში მეოთხე შვილი გააჩინა. პატარა ლეო ორი თვისა იყო, რომ დედამისი კვლავ გამოჩნდა სასამართლოს შენობაში.

მარშან მოწყობილი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, შერი ბლერი დაასახელეს „ბრიტანეთის უსაყვარლეს დედად“. ამასთან, შერიმ გაუსწრო მადონას და „წიწაკიანი გოგონების“ ჯგუფის ერთ-ერთ სოლისტს ვიქტორია დეკამპს.

„პირველი ლედი“ ყოველთვის იყო დაინტერესებული პოლიტიკით. 22 წლისა შევიდა ლეიბორისტული პარტიის რიგებში, ხოლო 1983 წელს – ისევე როგორც მისმა ქმარმა – წამოაყენა თავისი კანდიდატურა თემთა პალატის არჩევნებში. ქმარი აირჩიეს, ცოლი – არა. მას შემდეგ შერი ბლერს აღარ უყრია კენჭი პარლამენტში, მაგრამ მოუცლელობის მიუხედავად, პოლიტიკას არ ივიწყებს და ხშირად გამოდის ათასგვარ პარტიულ კონფერენციებზე. გასული წლის სექტემბერში „პირველი ლედი“ ბრაიტონში მიმდინარე პარტიულ კონგრესს ესწრებოდა. თუმცა, ქალთა უფლებების გამო გამართული კამათის დამთავრებისას, რომელშიც იგი აქტიურად მონაწილეობდა, სასწრაფოდ დატოვა სხდომათა დარბაზი. როგორც მოგვიანებით გამოირკვა, მისთვის კონგრესზე გადაუციათ ბარათი, რომელშიც ეწერა, რომ პატარა ლეოს ძალიან შია და არ დამშვიდდება, სანამ დედა არ აჭმევსო. ხოლო როცა ლეოს ღამით ეღვიძება, მისი დამშვიდება თვით ტონი ბლერს უხდება. „შერის ხომ პრაქტიკულად ვერ გააღვიძებ“, – დაიჩივლა ბრიტანეთის პრემიერმა ერთ-ერთ ინტერვიუში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შერი ბლერის მეგობრებს თავდაპირველად მისი რჩეული არ მოეწონათ. „პირველი ლედის“ ყოფილი თანაკლასელები დღეს აღიარებენ, რომ მისი არჩევანის გამო გულგატეხილიც კი იყვნენ: „ჩვენ ვფიქრობდით, შერი უკეთესი ხვედრის ღირსიაო“.

ცოლ-ქმარი ბლერების მეგობრების თქმით, მათ ოჯახში სრული იდილიაა. მიუხედავად ამისა, მეუღლეებს აბსოლუტურად განსხვავებული თვალსაზრისი აქვთ ამა თუ იმ პრობლემაზე. ვთქვათ, ადვოკატი შერი ბუტი სასამართლოში იცავდა მშობლების უფლებას შვილის გაჩენიდან ხუთი წლის განმავლობაში 13-კვირიან უფასო შვებულებაზე. ხოლო მთავრობა ტონი ბლერის ხელმძღვანელობით ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო, ვინაიდან ამ შემთხვევაში სამუშაოზე დამქირავებლებს მნიშვნელოვანი ზარალი მიადგებათ.

ამ ისტორიაში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ არც თვით შერი ბლერი და, მით უმეტეს, არც მისი ქმარი არ აპირებენ უხელფასო შვებულებაში გასვლას. ჯერ ერთი იმიტომ, რომ უმუშევრად ვერ ძლებენ, მეორეც, ბევრი საოჯახო საზრუნავი მოიშორეს, როდესაც გადია აიყვანეს. სხვათა შორის, წინა გადიასთან – როზალინდა მარკთან – სასამართლოც კი ჰქონდათ. როზალინდამ მათთან ოთხ წელიწადს იმუშავა, ხოლო როდესაც დატოვა დაუნინგსტრიტის სახლი, ლაპარაკის საღერღელი აეშალა და ჟურნალისტებს ნაირ-ნაირ ისტორიებს უყვებოდა. ეტყობა, დაავიწყდა, რომ შერი ბლერი ბრწყინვალე ადვოკატია. სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელსაც „პირველმა ლედიმ“ მიმართა, ოჯახური ცხოვრების დეტალებზე აეკრძალა ლაპარაკი არა მარტო გადიას, არამედ მის იმ ნათესავებსაც, რომლებიც ბლერების სახლში ყოფილან.

პრემიერის ცოლის განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევს ჟურნალისტთა ნადირობა მის შვილებზე. როდესაც ქვეყნის ბულვარულ გაზეთებში გაჩნდა პატარა ლეოს სურათები (ბავშვს ნათლავდნენ და ბლერებმა ვერ შესძლეს მისი დამალვა პაპარაცებისაგან), „პირველმა ლედიმ“ მიმართა ბრიტანეთის პრესის საბჭოს, რომელიც კრძალავს ბავშვების ფოტოსურათების გამოქვეყნებას მშობლების დაუკითხავად, ხოლო შეერთებული სამეფოს პრემიერმა ჟურნალისტებს მოუწოდა, თავი დაენებებინათ მისი შვილებისათვის. როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, მისი სამი უფროსი შვილი სწავლობს, არა პრივილეგირებულ კერძო კოლეჯებში, არამედ ჩვეულებრივ სახელმწიფო სკოლებში. მართალია, გასული წლის ზაფხულში ბლერების 16 წლის ვაჟი გაზეთების პირველ გვერდზე მოხვდა საკუთარი მიზეზით. მან მეგობრებთან ერთად პურმარილით აღნიშნა გამოცდების დამთავრება, და, ეტყობა, ვერ გამოზომა საკუთარი ძალები. მაგალითად, ვერც კი გაიხსენა, როგორ მივიდა ლესტერ-სკვერამდე, სადაც პოლიციის პატრულმა აიყვანა. თავდაპირველად იუანი შეეცადა, დაემალა თავისი ნამდვილი სახელი და ასაკი, მაგრამ წესრიგის დამცველებმა სწრაფად დაადგინეს მისი ვინაობა, მერე კი ყმაწვილი შინ მიაბრძანეს. მეორე დღეს შერი ბლერი ქმართან ერთად იძულებული გახდა, პოლიციაში წასულიყო, სადაც მათ პირმშოს აღმზრდელობითი საუბარი ჩაუტარეს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევის შემდეგ ბრიტანელები გაცილებით მეტი სიმპათიით ეკიდებიან ბლერების ოჯახს. თურმე, პრემიერი და მისი ცოლიც იგივე პრობლემებს აწყდებიან, რასაც დანარჩენი მშობლები.

საინტერესოა, რომ შერი ბლერი კათოლიკეა, და ოთხივე შვილი ასევე კათოლიკებად ჰყავს მონათლული, ხოლო თვით პრემიერი ანგლიკანური ეკლესიის თემის წევრია. ისიც კათოლიკე რომ ყოფილიყო, ვერასდროს ვერ დაიკავებდა მთავრობის მეთაურის პოსტს. ასეთია ბრიტანული ტრადიციები.

შერის ახლობლები ამბობენ, რომ მას ძალიან უყვარს ადამიანების დახმარება. ავიღოთ თუნდაც ასეთი შემთხვევა. ერთი ბრიტანული ოჯახი საბავშვო ოთახს არემონტებდა – ცოლ-ქმარი ოჯახის შევსებას მოელოდა. ნაყიდი შპალერი არ ეყოთ, და მაღაზიაში ახალგაზრდა წყვილს უთხრეს, ასეთნახატიანი შპალერი აღარ გამოდისო. და, აი, საღამოს, გაზეთს რომ კითხულობდნენ, მეუღლეები შემთხვევით წააწყდნენ სტატიას შერი ბლერის შესახებ, სადაც ნაამბობი იყო, კერძოდ, თუ როგორ გააწყო მან ოთახი თავისი ლეოსთვის. ფოტოს რომ შეხედეს, ახალგაზრდა მშობლები მაშინვე მიხვდნენ, რომ ბლერებს იგივე შპალერი აურჩევიათ. მისწერეს წერილი „პირველ ლედის“ და ჰკითხეს, შემთხვევით ზედმეტი რულონი ხომ არ დაგრჩათო. გავიდა სულ რამდენიმე დღე და ახალგაზრდა ოჯახს მოუვიდა ამანათი შპალერითა და შერი ბლერის წერილით.

მართალია, ბრიტანეთის პრემიერის ცოლი წააწყდა თავისი პოპულარობის ნეგატიურ შედეგებსაც. კერძოდ, მისი სახელით ისარგებლეს ინტერნეტ მეკობრეებმა, რომლებმაც „მსოფლიო აბლაბუდაში“ რეგისტრაციაში გაატარეს საიტი **cherieblair.org**, ბუნებრივია, ეროტიკული შინაარსისა. მაგრამ მერე რატომღაც საქმე არ წაუვიდათ და დღეს ეს საინტერესო მისამართი სხვა კომპანიას ეკუთვნის.

ჩვენი ნაამბობის შემდეგი გმირია ჟან კრისტოფ-მიტერანი – აწ განსვენებული საფრანგეთის პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანის შვილი. მაგრამ ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება მან საგმირო საქმეებით როდი მიიპყრო. საფრანგეთის სამართალდამცველი ორგანოები ეჭვობენ, რომ მან აიღო დაახლოებით 13 მილიონი ფრანკი (თითქმის 4 მილიონი ლარი) ჰონორარად საშუამავლო სამსახურისათვის ზოგიერთ აფრიკულ ქვეყანაში იარაღის არალეგალური გაყიდვის გარიგებათა დადებისას. პოლიციელები შიშობდნენ, ვაითუ 54 წლის ჟან-კრისტოფ მიტერანმა გაანადგუროს უმნიშვნელოვანესი სამხილები, ან გაქცევით უშველოსო თავს. ამიტომ გასული წლის დამლევს – ზედ შობის წინ – ცხონებული პრეზიდენტის ვაჟი დააპატიმრეს. თუმცა, მოსამართლემ განაცხადა, რომ მზად არის გაუშვას იგი და გირაოდ... ხუთი მილიონი ფრანკი მოითხოვა! ჟან-კრისტოფის უმცროსი ძმა ჟილიერი იფიცებოდა, ასეთ თანხას ვერ შევაგროვებთო:

– შემიძლია, დანამდვილებით გითხრათ, რომ მას არ ეყოფა ფული გირაოს შემოსატანად. თან, ჟან-კრისტოფი იმის წინააღმდეგია, რომ სახსრები შეუგროვონ ოჯახის წევრებმა და მეგობრებმა.

საგამოძიებო იზოლატორში ორიოდ დღეს ჯდომის შემდეგ, მან აზრი შეიცვალა. საჭირო თანხა საკმაოდ სწრაფად შეაგროვეს. მთელი გირაო – ხუთი მილიონი ფრანკი შეიტანა საფრანგეთის ყოფილმა „პირველმა ლედიმ“ დანიელ მიტერანმა, ამასთან, ხაზი გაუსვა, რომ ეს არის არა მისი საკუთარი სახსრები, არამედ შემონაწირი, და ანონიმურმა ქველმოქმედებმა იმაზე მეტი ფული შეაგროვეს, ვიდრე საჭირო იყოო. სხვათა შორის, ალკვეთის ღონისძიების შეცვლისათვის გირაოს ეს თანხა ყველაზე დიდია საფრანგეთის ისტორიაში.

ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როდესაც 70-იან წლებში ახალგაზრდა მიტერანი ფრანს პრესის სააგენტოს მავრიტანიისა და ტოგოს კორპუნქტებში მუშაობდა. ცოტა ხანში მას შემდეგ, რაც მამამისი, ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს, ჟან-კრისტოფი დაბრუნდა საფრანგეთში, სადაც დიპლომატიური კორესპონდენტი გახდა. მაგრამ უკვე რამდენიმე თვის შემდეგ დატოვა საინფორმაციო სააგენტო: სახელმწიფოს მეთაურის შვილს მიუჩინეს ორი მცველი, რომლებიც ყველგან კუდში დასდევდნენ. ასე რომ, ჟურნალისტად მუშაობა, უბრალოდ, ველარ შეძლო.

ჟან-კრისტოფის ახალი სამუშაო ადგილი გახდა ელისეს სასახლე. 1986 წელს სახელმწიფოს მეთაურმა თავისი ვაჟი დანიშნა საფრანგეთის პრეზიდენტის მრჩევლად აფრიკის საკითხებში.- ამ პოსტზე ახალგაზრდა მიტერანი ძირითადად „ფარულ დიპლომატიას“ მისდევდა. მაგალითად, ჩადის რესპუბლიკის პრეზიდენტთან განიხილავდა საკითხს, გაუწევს თუ არა საფრანგეთი ამ ქვეყანას სამხედრო დახმარებას ლიბიასთან ომის შემთხვევაში. ბევრი აფრიკული სახელმწიფოს მეთაურთა შორის იგი შეუზღუდველი ნდობით სარგებლობდა. მაგალითად, გაბონის პრეზიდენტის ომარ ბონგოს რეკომენდაციით, ჟან-კრისტოფ მიტერანი ორი სამთამადნო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შეიყვანეს.

მაგრამ პარიზში მრჩეველი აითვალწუნეს. სულ მალე შეარქვეს მეტსახელი „Papa-me-dit“ („მამიკომ მითხრა“). სახელმწიფო სამსახურში ყოფნისას ახალგაზრდა მიტერანს არასდროს არ ავიწყდებოდა არც საკუთარი ინტერესები. მაგალითად, 1990 წელს მან შუამავალთა მეშვეობით იყიდა კოტ-დივუარში ძალზე სარფიან ფასად 400 ტონა კაკაოს მარცვალი. სხვათა შორის, გარიგების დასადებად სახსრები სესხად მიიღო საფრანგეთის მთავრობისაგან. სულ ცოტა ხნის შემდეგ **საჩრა**-სათვის რაკეტების არალეგალური მიწოდების გამო ამტყდარ სკანდალში აღმოჩნდა გარეული.

1992 წელს საზოგადოებრიობის გავლენით ფრანსუა მიტერანი იძულებული გახდა, თავისი ვაჟი გადაეყენებინა. რა თქმა უნდა, ქუჩაში არ დარჩენილა. პრეზიდენტის შვილი სამუშაოდ გადავიდა **Elf-Aquitane** ნავთობის კონცერნში, მერე კი **Compagnie gunurale des eaux** კომპანიაში, საიდანაც 1996 წელს დაითხოვეს სწორედ იმ დღეს, რა დღესაც გარდაიცვალა მამამისი.

ამის შემდეგ, მას არ მიუპყრია განსაკუთრებული ყურადღება იქამდე, სანამ დეკემბერში დააპატიმრებდნენ. სავსებით შესაძლებელია, რომ მიტერანი ნამდვილად გამოდიოდა შუამავლად ანგოლისათვის იარაღის არალეგალური მიწოდების გარიგებაში. ოფიციალური გამყიდველი იყო სლოვაკეთის ერთ-ერთი ფირმა, მაგრამ მის უკან იდგა **Brenco International** კომპანიის მფლობელი პიერ ფალკონი. ანგოლის პრეზიდენტმა ჟოზე ედუარდუ დუშ სანტუშმა მიიღო საბრძოლო თვითმფრინავები, შვეულმფრენები, ტანკები, ზარბაზნები და საბრძოლო მასალა (ძირითადად, საბჭოური წარმოებისა), რომელიც ესოდენ სჭირდებოდა მის არმიას **უნიტას** შეიარაღებულ ფორმირებათა წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედების განგრძობისათვის. გარიგების თანხა 500 მილიონ დოლარად არის შეფასებული!

სწორედ პიერ ფალკონმა გადარიცხა ჟენევის ერთ-ერთი ბანკის ნომრიან ანგარიშზე მილიონ 800 ათასი დოლარი. ფულის მიმღები გახლდათ ჟან-კრისტოფ მიტერანი, და ამას იგი არც უარყოფს, თუმცა, ამტკიცებს, რომ ეს არის ჰონორარი ნავთობის ბიზნესის სფეროში გარიგებათა დადებისას გაწეული შუამავლობისათვის. მაგრამ პროკურატურის წარმომადგენლებს განსვენებული პრეზიდენტის შვილისა არ სჯერათ, და იმედოვნებენ, რომ მის ბრალს დაამტკიცებენ სასამართლოში.

* * *

ეს იყო და ეს, რაც „გერმანულმა ტალღამ“ გვიამბო, ევროპელ პოლიტიკოსებსა და მათ ნათესავებზე. „ევროპა და ევროპელების“ შემდეგ გამოშვებაში კი გაგაცნობთ, რამდენად მდიდარნი არიან ევროპელი პოლიტიკოსები.

საინფორმაციო მოზაიკა

BBC, CNN, საქინფორმი.

აფეთქება ესენტუკში

ორი კაცი დაიღუპა და ორი დაიჭრა ქალაქ ესენტუკის აეროპორტის მახლობლად მდებარე სასაფლაოზე მომხდარი აფეთქებების შედეგად. სპეცსამსახურების მონაცემებით, სასაფლაოზე ორი რგდ-5 ხელყუმბარა ააფეთქეს.

აფეთქებანი ისრაელში

მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე ებრაელთა დასახლების მახლობლად, სამგზავრო ავტობუსთან ბომბი აფეთქდა. ისრაელის არმიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს აფეთქება პალესტინელმა ექსტრემისტებმა მოიმოქმედეს. აქამდე, შაბათს, პალესტინელთა თვითმკვლელმა დივერსანტმა აიფეთქა თავი თელ-ავივის მახლობლად ავტობუსის გაჩერებაზე, მასთან ერთად დაიღუპა ერთი ისრაელელი, ორმოცი კაცი დაიჭრა.

ბომბი – ბოსტნეულის ყუთში

პაკისტანის დედაქალაქ ისლამაბადის საგარეუბნო ბაზარში მომხდარი აფეთქების შედეგად დაიჭრა 20-მდე კაცი. პოლიციის ცნობით, თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა ბოსტნეულის ყუთებში იყო ჩაწყობილი. გასული წლის სექტემბერში ამავე ბაზაზე მომხდარმა აფეთქებამ 14 კაცი შეიწირა.

მილო ჯუკანოვიჩი გამარჯვებისაკენ მიიწევს

ჩერნოგორიის პრეზიდენტმა მილო ჯუკანოვიჩმა გამოაცხადა, რომ კვირას გამართულ საპარლამენტო არჩევნებში მმართველმა ძალებმა გაიმარჯვეს. ეს განცხადება ემთხვევა საარჩევნო კომისიის წინასწარ მონაცემებს, რომელიც აცხადებს, რომ ბლოკმა „ჩერნოგორიის გამარჯვება“ ჯუკანოვიჩის მეთაურობით უკან ჩამოიტოვა მეტოქეები. თუმცა ხმის დათვლა ჯერჯერობით გრძელდება.

მმართველი ძალების გამარჯვებას შეიძლება მოჰყვეს ჩერნოგორიის გასვლა იუგოსლავიის ფედერაციიდან. „ჩვენ მოვიპოვეთ ძალზე ძნელი და ძალზე მნიშვნელოვანი გამარჯვება, და ახლა ყველაფერი უნდა ვიღონოთ მთავარი მიზნის მისაღწევად – შევქმნათ დამოუკიდებელი, დემოკრატიული, ევროპული ჩერნოგორია“, – განაცხადა პრეზიდენტმა გუშინ დილით.

ჯუკანოვიჩის თქმით, მისი ძალები გააკონტროლებენ პარლამენტს „44 მანდატით 33-ის წინააღმდეგ“, რაც ნიშნავს პრეზიდენტის განზრახვას, შეკრას კავშირი რამდენიმე მცირე პარტიასთან, რომლებიც ასევე გამოდიან ჩერნოგორიის დამოუკიდებლობისათვის.

მიუხედავად ამისა, მიმომხილველნი აღნიშნავენ, რომ კენჭისყრის შედეგებმა მნიშვნელოვნად გაუცრუა იმედი მმართველ წრეებს, რომლებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ ფედერაციიდან გასვლის არგუმენტებს მხურვალედ დაუჭერდა მხარს მოსახლეობა. ეს ნიშნავს, რომ ბელგრადთან კავშირის გაწყვეტის შესახებ დავა ამ საკითხზე ივნისისათვის დანიშნული რეფერენდუმის წინ მხოლოდ გაძლიერდება.

ჯუკანოვიჩის მოწინააღმდეგენი – „იუგოსლავიის მომხრეთა“ ბლოკის წარმომადგენლები იმედიანად არიან. პრედრაგ ბულატოვიჩმა, სოციალისტური სახალხო პარტიის პრეზიდენტმა, რომელიც სათავეში უდგას პროიუგოსლავიურ კოალიციას, განაცხადა, რომ არც ერთ ძალას არ ექნება აბსოლუტური ძალაუფლება პარლამენტში, და ჩერნოგორია, ამის შედეგად, „ახალ ფაზაში შევა“.

ბავშვი — 15 დოლარად

დასავლეთ აფრიკის ნაპირებთან განაგრძობს მოძრაობას გემი, რომელშიც ორასამდე ტყვე ბავშვი იმყოფება.

მონობისათვის განკუთვნილი ბავშვები მათმა მშობლებმა გაყიდეს ბენინსა და ტოგოში, რათა იმუშაონ პლანტაციებში და შინამოსამსახურეებად. ხომალდი ბენინიდან ამ ათი დღის წინათ გამოვიდა.

როგორც კი ცნობილი გახდა, თუ რა ტვირთი მოჰქონდა ხომალდს, მას აუკრძალეს გაბონისა და კამერუნის ნავსადგურებში შესვლა. გემი უკან, ბენინისაკენ დაბრუნდა.

ახლა, როდესაც ბენინის ოფიციალური პირნი გემის მისაღებად ემზადებიან, გამოითქმის მოსაზრება, რომ ბავშვთა უშიშროებას საფრთხე ემუქრება. ეკიპაჟს დაპატიმრებისა ეშინია, ამიტომ შეიძლება არ მოისურვოს ბენინის კოტონუს ნავსადგურში დაბრუნება.

ხომალდის ინციდენტმა საზოგადოებრიობის ყურადღება მიაპყრო მონობის პრობლემას, რომელიც დღეს იფურჩქნება დასავლეთ და ცენტრალური აფრიკის ქვეყნებში.

აქ მონათვაჭრობა დიდი ხანია, არსებობდა, ხოლო XVI-XIX საუკუნეებში სწორედ ამ რეგიონიდან მიჰყავდათ მილიონობით მონა ამერიკაში, და იმათ, ვინც გზაში სიკვდილს გადაურჩებოდა, უმძიმესი მონური შრომა ელოდა.

მართლქომაგთა ორგანიზაციების აქტივისტები ამბობენ, რომ მონობა ჩვენს დღეებშიც ჰყვავის ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის ბენინი. თუმცა, ოფიციალურად, აქ აკრძალულია.

მშობლები ხშირად ჰყიდიან თავიანთ შვილებს, ზოგჯერ, სულ 15 დოლარად, იმ იმედით, რომ ბავშვებს ბედი გაუღიმებს და ისინი შეძლებენ რაღაც გამოიმუშაონ რეგიონის უფრო შეძლებული სახელმწიფოების ყავისა და კაკაოს პლანტაციებში.

რა თქმა უნდა, მეტწილად ბავშვები ვერაფერს მოულობენ, ანდა გამოიმუშავებენ იმდენად ცოტას, რომ არ რჩებათ სხვა გამოსავალი გარდა იმისა, რომ განაგრძონ მონური შრომა. ბევრი მათგანი უკვე ვეღარასოდეს იხილავს მშობლებს.

კოტ დივუარის, მსოფლიოში უდიდესი კაკაოს მწარმოებლის პლანტაციებში ათასობით 12 წლის ბავშვი მუშაობს.

მართლქომაგები ამბობენ, რომ ქანცგამცლელი მუშაობის გარდა, ბავშვები განიცდიან ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას.

გაეროს ბავშვთა მსოფლიო ფონდის – **იუნისეფის** წარმომადგენელმა ესტელ გულუმანმა თქვა, რომ ამ ბავშვებს სავსებით შეიძლება ეწოდოთ მონები.

გულუმანს განზრახული აქვს, ბენინის მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად დახვდეს გემს ნავსადგურში, წამოიყვანოს ბავშვები და გადაგზავნოს ცენტრში, სადაც უსაფრთხოდ იქნებიან.

ამის შემდეგ, გულუმანის თქმით, დაიწყება ბავშვთა მშობლების ძებნა, და ისინი, რომელთა მშობლებსაც იპოვიან, შეძლებენ თავიანთ ოჯახში დაბრუნებას.

ამ ხომალდის ბავშვებს ბედმა გაუღიმა – ისინი შინ ბრუნდებიან. მაგრამ ათასობით სხვა ბავშვი განაგრძობს მონურ შრომას, ხოლო XXI საუკუნის ტყვეთმსყიდველები, ალბათ, არასოდეს იტყვიან უარს თავიანთ ხელობაზე, რომლითაც მდიდრდებიან.

უკიდურესი სიღატაკე ბევრ ოჯახს აიძულებს, გაყიდონ ბავშვები.

მექანიკური ბუზი

კალიფორნიელმა ინჟინრებმა შექმნეს და გამოსცადეს პირველი მექანიკური მწერი. მისი შექმნის მიზანია, დაეხმარონ სადაზვერვო ოპერაციებს. კომპანია Aerovironmet-ი რომელმაც უკვე გამოუშვა „მექანიკური კალია“, მრავალი წელიწადია, ეწევა მინიატურული სათვალთვალო აპარატების შექმნას.

„ასობით მეტრი სიმაღლიდან იგი თითქმის არც ჩანს, მისი ხმა არ ისმის, არადა, იქიდან შეუძლია, გამოგზავნოს დედამიწის ზედაპირის კრისტალურად სუფთა გამოსახულებანი“, – ამტკიცებს პროექტის ინჟინერი მატ კინონი.

მართალია, ჯერჯერობით ოცსანტიმეტრიან აპარატს მხოლოდ გაშლილ სივრცეზე მიუწვდება ხელი. კინონისა და მისი კოლეგების ოცნებაა, შექმნან მანქანა, რომელსაც შეეძლება, იფრინოს შენობების შიგნით, დაეკიდოს ერთ წერტილში და „იხეტიალოს“ დერეფნებში. ამისათვის კი უნდა შეამცირონ აპარატის ფრენის სიჩქარე და გაზარდონ მისი მანევრირების უნარი.

კონსტრუქტორები იკვლევენ კოღოებს, ბუზებსა და კალიებს, რათა გაიგონ, სახელდობრ, როგორ მუშაობს მწერის ფრთა. ხშირად მათი ფრთები მოძრაობს ერთობ რთული „რვიანით“ და ეს მცირე სიმაღლეზე საუცხოო მანევრირების საშუალებას იძლევა. მაგრამ ამ მოძრაობის ხორცშესხმა ინჟინრებისათვის ურთულესი საქმეა.

უკანასკნელი მოდელი ფრთების მოძრაობის ხასიათით ჯერჯერობით უფრო მეტად წააგავს ღამურას, ვიდრე კოღოს ან ბუზს. მათი უკანასკნელი გამოგონება, რომელსაც **Micro-bat**-ი ეწოდება, („Bat“-ი ღამურას ნიშნავს) უზრუნველყოფს ისეთივე აწევის ძალას, როგორსაც – მწერის ფრთები.



ეს შემოწმდა ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტში მოწყობილი აეროდინამიკური გამოცდის დროს. ფრთების გრაფიტის კარკასზე დაჭიმული იყო სიფრიფანა პოლიეთილენის აპკი, და მოწყობილობა ჰაერში რჩებოდა, სანამ ჰყოფნიდა მცირე ელემენტის ენერგია.

ამ ტიპის მოწყობილობანი – ორნითოპტერები – კარგა ხანია, სიახლე აღარ არის, მაგრამ ახლა, ამოცანა ის არის, რომ გაზარდონ აწევის ძალა, რათა „ღამურამ“ შეძლოს მინიატურული ელექტრონული კამერის ზიდვა. ინჟინრები ამბობენ, რომ ორნითოპტერების შექმნის დარგში ჯერჯერობით დიდად ვერ გაუსწრეს ძმებს რაიტებსა და მათ აპარატებს, XX საუკუნის დამდეგს რომ შეიქმნა.

მძევლები გაათავისუფლეს

20-მდე თავდამსხმელმა ხელთ იგდო სასტუმრო თურქეთის დედაქალაქ სტამბოლის ცენტრში და იქ მძევლები აიყვანა. ორშაბათ დილას მათ პროტესტი განაცხადეს ჩეჩნეთში მიმდინარე ომის წინააღმდეგ.

მძევლების აყვანის შემდეგ თავდამსხმელებმა განცხადება გაუგზავნეს თურქეთის ენ-ტი-ვი ტელესადგურს, რომელშიც ხაზი გაუსვეს, რომ არაფერს დაუშავებენ სასტუმროში მყოფ ხალხს. „ძალიან ვწუხვართ, რომ სანამ ჩვენი აქცია არ დასრულდება, ადამიანთა მნიშვნელოვანი ჯგუფი ჩვენი სტუმარი იქნებაო“, – ნათქვამია ამ განცხადებაში.

მათ ხელისუფლებს აღუთქვეს, რომ არაფერს დაუშავებენ მძევლებს, მაგრამ გააფრთხილეს, რომ არ აგებენ პასუხს სისხლისღვრისათვის, რომელიც შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ პოლიცია გადაწყვეტს, იერიში მიიტანოს სასტუმროზე.

მძევალთა ზუსტი რიცხვი უცნობია, მაგრამ სასტუმროს ერთ-ერთი თანამშრომლის თქმით, რომელსაც დაუკავშირდა ადგილობრივი ტელეჟურნალისტი, მათი რაოდენობა 50-70-ს აღწევს. ზოგიერთი შეფასებით, თავდამსხმელებმა მძევალთა უმრავლესობა გადაიყვანეს მეხუთე სართულზე მდებარე კონფერენც-დარბაზში.

თოფებითა და ავტომატებით შეიარაღებულმა ადამიანებმა აიძულეს ხუთვარსკვლავიანი „სვისოტელის“ თანამშრომლები პოლის იატაკზე გაწოლილიყვნენ. რამდენიმე კაცმა შეძლო, დაეტოვებინა სასტუმრო, სხვები თვით თავდამსხმელებმა გაუშვეს. სასტუმროში შეჭრისას ისმოდა სროლა, მაგრამ, წინასწარი მონაცემებით, არავინ დაჭრილა.

სასტუმრო, რომლის ფანჯრები ბოსფორის სრუტეზე გადის, ალყაში მოაქცია ასობით პოლიციელმა, რომლებიც მოლაპარაკებას აწარმოებდნენ თავდამსხმელებთან. როგორც ქალაქის გუბერნატორმა თქვა, თავდამსხმელებს პოლიტიკური მოთხოვნები აქვთ და მათთან მოლაპარაკება გრძელდება.

სასტუმროს ხელმძღვანელობის ცნობით, სტუმრებს შორის არიან საერთაშორისო კონფერენციის დელეგატები, კერძოდ, რუსეთის მოქალაქენი. ამჟამად უცხოეთის საელჩოები აზუსტებენ ოტელის სტუმართა სიას. თავდამსხმელთა მორის (ზოგიერთი მონაცემით, ესაა ჯგუფის ხელმძღვანელი) არის მუჰამედ ტოკჩანი – ჩეჩნური წარმოშობის თურქეთის მოქალაქე, რომელიც პასუხს აგებს 1996 წელს ბორან „ავრაზიაზე“ თავდასხმისა და 200 მძევლის შეპყრობისათვის. მაშინ ტოკჩანი დანებდა ხელისუფალთ და მსჯავრი დაედო, მაგრამ ციხიდან გამოვიდა მისჯილი შვიდის ნაცვლად სულ ერთი წლის შემდეგ.

სტამბოლში ამჟამად ცხოვრობს 25 ათასამდე ჩეჩენი, ხოლო მთლიანად თურქეთში მუშაობს მრავალი ორგანიზაცია, რომლებიც მოითხოვენ, შეწყდეს ომი და მიენიჭოს ჩეჩნეთს დამოუკიდებლობა.

* * *

როგორც თურქეთის ტელევიზია იუწყება, ინციდენტი მშვიდობიანად დასრულდა, – ხელისუფლებასთან მოლაპარაკების შემდეგ 13 შეიარაღებულმა პირმა გაათავისუფლა მძევლები და პოლიციას დანებდა. თავდამსხმელნი აყენებდნენ პოლიტიკურ მოთხოვნებს, აცხადებდნენ, რომ მსოფლიო გაერთიანება უყურადღებოდ ტოვებს ჩეჩენი ხალხის ტანჯვა-ვაებას. ჩეჩნეთის პრეზიდენტის ასლან მასხადოვის წარმომადგენელმა ბი-ბი-სის განუცხადა, რომ ამ მოთარეშეებს არავითარი ოფიციალური დამოკიდებულება არა აქვთ ჩეჩნეთის მთავრობასთან, მაგრამ, მისი თქმით, მოსკოვის პოლიტიკის გამოისობით სასოწარკვეთილებამდე მიყვანილი ჩეჩნების ინდივიდუალური მოქმედება შეიძლება მთელ მსოფლიოს მოედოს.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით გვერდს უძღვება

არჩილ მანჯგალაძე.

მამული

რუბრიკას უძღვება
აკადემიკოსი
როინ მეტრეველი

ბედიის ტაძარი — ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლო

ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟზე ქართველი ხალხი, სრულიად საქართველო, თითქმის ერთდროულად რამდენიმე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ისტორიულ საიუბილეო თარიღს აღნიშნავს. პირველ რიგში, ესაა ეროვნული სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავი.

ქართული სახელმწიფოებრიობის სამი ათასი წელი ესაა ეროვნული მეობისა და სახელმწიფოებრივი ერთიანობის გადარჩენისათვის თავგანწირული ბრძოლის ჭეშმარიტად გმირული ეპოპეა. ამ დიდ ეროვნულ ბრძოლაში ქართველი ხალხის სულიერ სიმტკიცესა და გაუტეხელობას სჭედდა და ადუღაბებდა ქრისტიანული სარწმუნოება, რომელიც საქართველოში არასოდეს ყოფილა ოდენ რელიგია.

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ **ქრისტიანობა,** რომლის 2000 წლისთავს დღეს ასევე ვზეიმობთ, არც მეტი, არც ნაკლები, **ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების იდეოლოგიური საფუძველი იყო.** მაგრამ, ამასთან, ქრისტიანობა იყო ის მძლავრი ბერკეტი, რომელზედაც იშვა შუა საუკუნეების დიდი ქართული ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობა მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული შედევრებით, უბრწყინვალესი ტაძრებითა და მეცნიერებისა და ხელოვნების სხვა უნიკალური მიღწევებით.

ქართველი ხალხი, ქართული სახელმწიფო სრულად იაზრებდა რა ქრისტიანობის, როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობის მნიშვნელობას, უდიდეს ძალისხმევას ახმარდა წმინდა საყდრების — ეკლესია-მონასტრების აგებას. უფრო მეტიც, ქართული სახელმწიფოს მშენებლობის გადამწყვეტ ეტაპებზე ჩვენი წინაპრები შთამომავლობას უტოვებდნენ ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ცალკეულ ძეგლებს, რომლებიც ეროვნული სახელმწიფოებრიობის ერთგვარ სიმბოლოებად გვევლინებიან. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ VII საუკუნის დამდეგს აგებული მცხეთის ჯვარი — სიმბოლო ირანის მიერ მოშლილი ქართლ-იბერიის ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღორძინებისა. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების თვისობრივად ახალი ეტაპის დადგომის ერთგვარ საგნობრივ გამოხატულებას წარმოადგენდა ის დიდი საეკლესიო-სამონასტრო აღმშენებლობა, რომელიც წამოიწყეს VI საუკუნეში ასურელმა წმინდა მამებმა იოანე ზედაზნელის მეთაურობით და ფართო მასშტაბით განავრცეს მოგვიანებით სერაპიონ ზარზმელმა, გრიგოლ ხანძთელმა და მათმა თანამოაზრეებმა. სწორედ ამ უკანასკნელთა დიდი მონდომებისა და, აგრეთვე, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონი მეფე-მთავრების, სხვა ღირსეულ ერისკაცთა აქტიური თანადგომის შედეგად იშვა IX-XI საუკუნეებში ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ისეთი ბრწყინვალე ძეგლები, როგორიცაა: ზარზმა, ოშკი, ხახული, ბანა, შატბერდი, ხანძთა და სხვ. ამ თვალსაზრისით, არანაკლები მნიშვნელობის იყო ის დიდი აღმშენებლობაც, რომელსაც „აფხაზთა“ მეფეები დასავლეთ საქართველოში ეწეოდნენ. გიორგი II „აფხაზთა“ მეფისა და მისი ძის ლეონ III-ის მიერ აგებული ჭყონდიდისა და მოქვის ტაძრები, გარდა იმისა, რომ ქართული სულიერების უმნიშვნელოვანეს ცენტრებს წარმოადგენდნენ, ქმნიდნენ საერთო-ქართული სახელმწიფოებრიობის იდეოლოგიას დასავლეთ საქართველოში და ამზადებდნენ ნიადაგს ამერ-იმერის ერთიან ქართულ სახელმწიფოში გაერთიანებისათვის.

X-XI საუკუნეების მიჯნა უდიდესი ნიშანსვეტია 3000-წლოვანი ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. ამ დროს, *პირველად ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში, რეალურად ჩაეყარა საფუძველი ერთიან ქართულ სახელმწიფოს — საქართველოს.* ცალკეული სამეფო-სამთავროების ბაგრატიონთა დინასტიის ეგიდით გაერთიანება და საერთო-ქართული სახელმწიფოს აღმოცენება, რომლის მესაძირკვლენი იყვნენ: იმიერ-ტაოს ძლევამოსილი ხელმწიფე, X საუკუნის უკანასკნელი მესამედის საქართველოს აღიარებული ლიდერი — დავით III დიდი კურაპალატი და მისი შვილობილი, მეფე „აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა“ — ბაგრატ III ბაგრატიონი, სულაც არ ყოფილა ხელსაყრელ გარემოებათა უბრალო დამთხვევის შედეგი. ამას წინ უძღოდა ქართველურ ტომთა სახელმწიფოებრივი ცხოვრების სულ ცოტა ორიათასწლოვანი გამოცდილება, რომლის საწყისები დაიაენი-დიაოხისა თუ აიეტიდების ლეგენდარული კოლხეთის წიაღში უნდა ვეძიოთ. ამერ-იმერის ერთიან საქართველოდ გადაქცევა ლოგიკური დაგვირგვინებაა ჩვენი წინაპრების მრავალსაუკუნოვანი შეუპოვარი და თავგანწირული ბრძოლისა ეროვნული მთლიანობისა და საერთო-ქართული კულტურულ-პოლიტიკური სამყაროს შენარჩუნებისათვის.

ქართველი ხალხის სწრაფვა საერთო-ეროვნული სახელმწიფოს შექმნისაკენ, თუ უფრო ადრე არა, ძვ. წ. IV-III საუკუნეებიდან მაინც უნდა დაწყებულიყო. ძველი ქართული საისტორიო ტრადიციით, რომელსაც იზიარებს თანამედროვე მკვლევარ-ისტორიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი, ფარნავაზის მიერ შექმნილი ქართლ-იბერიის სამეფო უკვე იყო ერთიანი ქართული სახელმწიფო, რომელიც მოიცავდა დასავლეთ საქართველოსაც — ეგრის-კოლხეთს. ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია ასევე ცალსახად განიხილავდა ქართლის სამეფოს, როგორც ერთიან ქართულ სახელმწიფოს მისი ისტორიის მთელ მანძილზე. უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ბერძნულ-რომაული, ხოლო მოგვიანებით — ბიზანტიური საისტორიო ტრადიცია, ფაქტობრივად, გამორიცხავდა იბერია-კოლხეთის სახელმწიფოებრივ ერთიანობას, როგორც ანტიკურ ხანაში, ისე ადრეულ შუა საუკუნეებში. ამ ტრადიციით, რომელიც უდავოდ იმსახურებს ნდობას, დასავლეთ საქართველოში არსებობდა კოლხეთის სამეფო (ძვ. წ. VI-II სს.-ში), მოგვიანებით კი — ლაზიკა-ეგრისის სახელმწიფო (ახ. წ. IV-VIII ს. დამდეგი). მიუხედავად ამისა, სავარაუდოა, რომ ცალკეულ პერიოდებში ადგილი ჰქონდა ქართლ-ეგრისის ერთიან სახელმწიფოში გაერთიანების სერიოზულ მცდელობებს. ამ მხრივ, პირველ რიგში, შეიძლება გამოვყოთ V ს. II ნახევარი — ვახტანგ გორგასლის ეპოქა. ის ფაქტი, რომ *ქართულმა საისტორიო ტრადიციამ რატომღაც მაინცდამაინც ვახტანგ გორგასლის სახელს დაუკავშირა საერთო-ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლო — სახელმწიფო დროშა („დავითიანთა და გორგასლიანთა“), უდავოდ მიუთითებს ამ დიდი მეფის განსაკუთრებულ ღვაწლზე ერთიანი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში.* ამ ბოლო დროს მკვლევართა ერთი ნაწილი სავსებით დამაჯერებლად მსჯელობს ერთიან სახელმწიფოში ქართლ-ეგრისის სავარაუდო ინტეგრირებაზე VIII ს.-ის 30-იან წლებში, რომლის სათავეში სტეფანოზ ქართლის ერისმთავრის სახლი უნდა ყოფილიყო.

და მაინც, ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება მთელი საქართველოს მასშტაბით პირველად რეალურად მხოლოდ XI ს.-ის დამდეგს მოხერხდა, როდესაც „აფხაზთა“ მეფე ბაგრატ III ბაგრატიონმა თანმიმდევრულად დაუქვემდებარა ქუთაისის ტახტს ქართული მიწების უდიდესი ნაწილი: ბაგრატიონების „ქართველთა“ სამეფო (ბიზანტიის მიერ 1001 წ. მიტაცებული დავით კურაპალატისეული იმიერ-ტაოს გამოკლებით) და კახეთ-ჰერეთი. ბუნებრივია, ახლადშექმნილ ქართულ სახელმწიფოს ესაჭიროებოდა მისი ძლიერებისა და სიდიადის გამომხატველი სიმბოლოები და სწორედ ასეთ სიმბოლოებად მოევლინა ქვეყანას ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ორი უბრწყინვალესი ძეგლი: ბაგრატის ტაძარი ქუთაისში — სახელმწიფოს დედაქალაქში და „საყდარი ბედიისა“ — თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, ისტორიული ეგრისის ცენტრში. მიზეზი იმისა, თუ რამ განაპირობა საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წმინდა სალოცავის, რომელიც შემდგომ ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფუძემდებლის საძვალედ იქცა, მაინცდამაინც ბედიაში აშენება, ერთი შეხედვით, თითქოს მარტივია — ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით სწორედ ბედია ითვლებოდა ისტორიული ეგრისის პოლიტიკურ ცენტრ-სიმბოლოდ. აი, რას წერს ამის შესახებ ქართველი მემატიანე: „ხოლო ეგროსს მისცა ქუეყანა ზღვისყურისა, და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსაც აწ ჰქჳან ლიხი; დასავლით ზღუა; ჩრდილოთ მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასისა. *ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი. აწ ადგილსა ჰქჳან ბედია“.* „ქართლის ცხოვრების“ მატიანის ეს ცნობა მრავალმხრივ არის საინტერესო, მაგრამ აქ მთავარი მაინც ისაა, რომ მასში მოხაზულია ეგრისის სახელმწიფოს ტერიტორია, რომლის ცენტრად მიჩნეულია სწორედ ბედია. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქართულმა საისტორიო ტრადიციამ იცოდა ეგრისის მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი ცენტრიც — ციხე-გოჯი, რომელიც, როგორც ჩანს, საუკუნეების განმავლობაში ეგრისის ხელისუფალთა რეზიდენციას წარმოადგენდა.

ისმის კითხვა, რატომ არა ციხე-გოჯი? გარდა ამისა, ის ვითარება, რომელშიც წარმოიქმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო, თითქოს მოითხოვდა იმასაც, რომ „აფხაზთა“ მეფე ბაგრატ III ბაგრატიონს, რომელიც ქუთაისის ტახტზე „აფხაზი“ ლეონიდების უშუალო მემკვიდრედ თვლიდა თავს, აქცენტი გაეკეთებინა თუნდაც ლეონ II-ის წინაპრების თავდაპირველ რეზიდენციაზე — ანაკოფიაზეც (დღევანდელი ახალი ათონი) და წამოეწია სწორედ ამ ცენტრის მნიშვნელობა საერთო-ქართული მასშტაბით, მაგრამ, როგორც ვნახეთ, საქართველოს გამაერთიანებელმა მეფემ ერთსაც და მეორესაც გვერდი აუარა და არჩევანი მაინცდამაინც ბედიაზე შეაჩერა.

ბაგრატ III-ის ეს არჩევანი, ჩვენი აზრით, უდავოდ იმას ადასტურებს, რომ მიუხედავად „აფხაზთა“ მეფეთა გადამწყვეტი როლისა ერთიანი დასავლურ-ქართული სახელმწიფოს შექმნაში, *მაშინდელი საქართველოს ისტორიულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებაში ეგროს-ქუჯის წვლილი უფრო დიდი მნიშვნელობის იყო და სწორედ ისინი მოიაზრებოდნენ დასავლურ-ქართული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სამყაროს ფუძემდებლებად, ხოლო „აფხაზ“ მეფეთა „აფხაზთა“ სამეფო ამ სამყაროს მემკვიდრის როლში განიხილებოდა.* სწორედ ამაზე მიუთითებს დიდი ისტორიკოსის ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში დაცული თანამიმდევრობაც: „აღწერა ეგრისის ქუეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“. გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის არჩევანი ბედიაზე სწორედ ეგრის-ბედიის პირველსაწყისისაკენ მობრუნებას ნიშნავდა და იქნებ ეს იყო სიმბოლური კავშირის გამოხატულება ახალ, ერთიან საქართველოს სახელმწიფოსა და უძველეს, ბერძნულ მითებში ჩაკარგულ ეგროკოლხურ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სამყაროს შორის.



სამონასტრო ანსამბლი ბედია (XI-XIV სს.). გალის რაიონი, სოფელი ბედია, მდ. ოხოჯეს ნაპირი.

თამაზ ქიქავას ფოტო.

ასეა თუ ისე, ბაგრატ III-მ ბედია საერთო-ქართული მნიშვნელობის წმინდა ადგილად გამოაცხადა და ის ერთგვარად სატახტო ქალაქის გვერდით დააყენა. ამრიგად, ქუთაისის ბაგრატის ტაძრისა და ბედიის აგება ბევრად სცილდებოდა რიგითი ქრისტიანული სალოცავების შექმნის განზრახვას. ეს ფაქტი ჭეშმარიტად უდიდესი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენა იყო. სწორედ ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ეს ორი ძეგლი წარმოედგინათ თანამედროვეებს ახალი საქართველოსა და მისი სწორუპოვარი ხელმწიფის ბაგრატ III-ის სიძლიერისა და სიდიადის განსახიერებად, რაც ასე მრავლისმეტყველად გამოხატა XI საუკუნის ქართველმა მემატიანემ: *„უკეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულისხმისყოფად სიმაღლისათვის დიდებისა მისისა* (ე.ი. ბაგრატ III-ის — ზ. პ.), *პირველად განიცადოს სამკაული ბედიისა ეკლესიისა და მისგან გულისხმა ყოს, რომელ არავინ ყოფილ არს სხუა მეფე მსგავსი მისი ქუეყანისა ქართლისასა და აფხაზეთისასა“.*

ბაგრატი და ბედია არ იყო უკანასკნელი ტაძრები, რომლებშიც განსხეულებული იყო ერთიანი ქართული სახელმწიფოს სიძლიერე. მალე მათ შეემატა მცხეთის საკათედრო ტაძარი სვეტიცხოველი, ხოლო XII ს.-ის პირველ მეოთხედში დიდმა დავით აღმაშენებელმა ერთიანი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესის დასრულება დააგვირგვინა გელათის დიდებული ტაძრის აგებით, რომელიც ასევე იქცა ძლიერი, ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს სიმბოლოდ.

XIII-XVIII საუკუნეებში, მიუხედავად ჟამთა სიავისა, ქართველი მეფე-მთავრები მაინც ახერხებდნენ ახალი წმინდა სალოცავების აგებას, მაგრამ ამ პერიოდში აშენებულ არც ერთ ტაძარს არ ჰქონია ის ზოგადქართული სახელმწიფოებრივი დატვირთვა, როგორიც ბაგრატს, ბედიას, სვეტიცხოველსა და გელათს. XIX საუკუნეში კი როდესაც რუსეთის იმპერიამ მოსპო ქართული სახელმწიფოებრიობა და გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ბუნებრივია, არ აიგებოდა ქართული სახელმწიფოებრიობის განმასახიერებელი ტაძარი-სიმბოლო. ხოლო რაც შეეხება ბოლშევიკურ-ათეისტური რეჟიმის 70-წლიან პერიოდს, ამ დროს არათუ ახალი არ აშენებულა, არამედ რაც იყო, ისიც განადგურდა.

XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან, როდესაც ქართველ ხალხს კვლავ მიეცა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობა, დაიწყო ახალი ეტაპი ჩვენი ერის სულიერ ცხოვრებაში. ქართველობა მასობრივად მოუბრუნდა დედა-ეკლესიას, რამაც აუცილებელი გახადა ახალი ტაძრების მშენებლობა. უკანასკნელ წლებში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით აიგო ათობით ახალი ეკლესია. მაგრამ ახალ საქართველოს, ისევე როგორც ათასი წლის წინათ, დღესაც სჭირდება ქართული სახელმწიფოს სიმტკიცისა და ძლიერების სიმბოლო. *სწორედ ასეთ სიმბოლოდ უნდა იქცეს თბილისში — ქვეყნის დედაქალაქში მშენებარე ახალი გრანდიოზული სამების ტაძარი, რომელიც თავისი ზოგად-ქართული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით უთუოდ გაუტოლდება სტეფანოზ ერისმთავრის მცხეთის ჯვარს, ბაგრატ III-ის ბედიისა და ბაგრატის ტაძრებს, დიდებულ სვეტიცხოველსა და დიდი დავით აღმაშენებლის სავანე-განსასვენებელს — გელათს.*

ზურაბ პაპასქირი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სოხუმის
ფილიალის საქართველოს
ისტორიის კათედრის გამგე,
ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.

სამეცნიერო კრებული

„ყური დავუგდოთ ასპინძას“...

პოეტის მოწოდებაზე უმალ გვახსენდება ერეკლე II მეთაურობით ქართველი მხედრობის ბრწყინვალე გამარჯვება 1770 წლის 20 აპრილს.

„ასპინძა“ ეწოდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის კრებულს.

წიგნი დაიბეჭდა ბორჯომის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის ემზარ ასპანიძის ფინანსური დახმარებით.

რედაქტორ-გამომცემელი, ენათმეცნიერი მერაბ ბერიძე წინასიტყვაობაში მიუთითებს ძველ საქართველოში მრავლად არსებულ ტოპონიმ ასპინძაზე, აქედან წარმოქმნილ „მასპინძელზე“, წყაროში ასპინძის 888 წელს ხსენებასა და იმ მნიშვნელობაზე, რაც ამ სახელით ცნობილ რაიონს ენიჭება.

სტრატეგიული მდებარეობის ასპინძას ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. მიგვაჩნია, რომ მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლებით ბოლომდე გადაუწყვეტელი ამოცანის ასპინძაში განხორციელების ცდა იყო 1625 წელს გიორგი სააკაძის მეთაურობით იქ გადახდილი ომი. ახალგაზრდა მკვლევარმა გიორგი ქუჟუნაშვილმა ნარატულ და სხვა წყაროებზე დაკვირვებით დაახასიათა 1625 წლის ასპინძის ბრძოლა.

ამ მიდამოებს წარუვალი დიდება შესძინა 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის დიდი არეალის მომცველი ომის დროს იქ გადახდილმა ბრძოლამ. რომან გოგოლაური გამოჰყოფს ასპინძის ბრძოლასა და იმ დროს საქართველოში მოვლენილი რუსეთის საექსპედიციო კორპუსის მეთაურის გ. კ. ჰ. ტოტლებენის მოღვაწეობას.

რამდენიმე თაობის მკვლევართაგან გამოვლენილი დოკუმენტები მიგვანიშნებს კორპუსში მყოფ მოსკოვის ქართველ მოახალშენეთა მამაცურ მოქმედებაზე სამშობლოში. მათი გავლენით უცხოელი გენერლის ტაქტიკის ცვლაზე მიუთითებდა ერეკლე მეორეც იმავე ახალშენის მეთაურისადმი გაგზავნილ ბარათში.

ინდოეთს ნალაშქრი მორ- სამჯერტელი მეფე სამშობლოს სამხრეთი ნაწილის მომავალს ხმელთაშუა ზღვასა და ხატაეთ-ჩინეთამდე ცხოველი ურთიერთობის აღდგენას უკავშირებდა. სამწუხაროდ, სიტუაციის გარდაქმნისათვის დიდ ომში ქართლ-კახეთის სამეფოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი მაშინ არ განხორციელდა. კორპუსის მეთაურს იმდენი რწმუნება არ ჰქონდა, რომ ქართველთაგან შემუშავებულ დიდ გეგმაში ჩართულიყო. უდიდესი რისკით ქართველებმა გმირულად მოიწადინეს სამხრეთ საქართველოში გორდიის კვანძის გაკვეთა. სამხედრო ხელოვნების საარაკო გამოყენებით ჩვენმა წინაპრებმა მოწინააღმდეგეთა მეთაურების თავებით მოჰფინეს ხეილმას ველი.

ასპინძასთან წარმატებამ ქართველობას რკალის გარღვევისა და საბოლოო გამარჯვების რწმენა განუმტკიცა.

ასეთ გამარჯვებას დიდი რეზონანსი ჰქონდა ზეპირ ისტორიაში.

ბარელთა და მთიელთა ურთიერთმიყოლას, გმირობას ქართველმა ხალხმა მიუძღვნა ამაღლებულ გრძნობათა გამომხატველი გადმოცემები, ლექსები. შთამბეჭდავ სურათს ასახავს გივი ახვლედიანის ნაშრომი, რომელშიც ავტორი მიუთითებს ხალხური ლექსების შეკრებაში ილია ჭავჭავაძის როლზე. ილიას ასეთი დაინტერესება ბრძოლიდან თითქმის ასი წლის თავზე შემთხვევითი არ იყო. ამ თემაზე კვლევა-ძიება განაგრძო ფოლკლორისტთა მრავალმა თაობამ. გ. ახვლედიანი ათვალსაჩინოებს მათ წვლილს ბასიანისა და დიდგორის მსგავსი საოცარი ძლევის უკვდავმყოფი გმირების წარმოჩენაში.

ოდინდელი მაღალი კულტურის სიყვარულის, უნიკალური ძეგლების გამოვლენა-გადარჩენისათვის გაწეული მრავალმხრივი მოღვაწეობის დამადასტურებელია გივი გაფრინდაშვილის, ნიკოლოზ ვაჩეიშვილის, გიორგი ივანიძის, ზურაბ ქუქჩიშვილის ნარკვევები და ანგარიში.

მისასალმებელია კრებულში სამცხე-ჯავახეთის არქეოლოგიურად შესწავლის ერთ-ერთი პიონერის, აწ განსვენებულ ოთარ ლამბაშიძის გახსენება. სასიხარულოა, რომ მამის წამოწყებას ღირსეულად განაგრძობს ირინე ლამბაშიძე. კრებულში დაბეჭდილია მამაშვილისა და რევაზ კვირკვაიას სოფელ საროში გაწეული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი ერთობლივი ნაშრომი.

სამშობლოს სამხრეთი კუთხე მოფენილია ქვის წიგნებით. ეპიგრაფიკული ძეგლების მკვლევარს წინ დიდი წარმატება ელის.

წარწერების გამოვლენა-შესწავლაში განსაცვიფრებელი ენერგიით მომუშავე ვალერი სილოგავამ მოზრდილი ნარკვევი უძღვნა სამერცხლე კლდის ქვაბულში არსებულ 1064 წელს თურქ-სელჩუკების შემოსევის შედეგების ამსახველ წარწერას.

ეს ეპიგრაფიკული ძეგლი ვ. სილოგავამ პუბლიკაციაში პალეოგრაფიულად ვრცლად დაახასიათა. ტექსტის დადგენისას გაითვალისწინა წინამორბედთა, ძეგლის პირველი გამომჩენის გივი გაფრინდაშვილის კვლევა-ძიების შედეგები და ჯეროვნად აღნიშნა ენთუზიასტთა დახმარება წარწერის ადგილზე შესწავლაში.

მესხურ დიალექტში ოდის დამკვიდრებასთან ერთად ვასილ ბერიძე ეთნოგრაფიულადაც განიხილავს ასეთ საცხოვრებელს.

სამხრეთ საქართველოს ოჯახების სასურსათო, ხილის და სხვა შემოსავლის დადგენის მნიშვნელოვან საკითხებს ეძღვნება ეთნოგრაფ თინა ივლაშვილის ნარკვევი.

ლინგვისტის თვალთახედვით შესრულებულ მერაბ ბერიძის ნარკვევში „მეთევზეობა და მასთან დაკავშირებული ტოპონიმიკა“ უხვად განმარტებულია არა მარტო სათევზაო ადგილები და მეთევზეობის ტერმინები, არამედ წარმოჩენილია მხარეში ადრეული ხანიდან დამკვიდრებული მონადირეობის, და საერთოდ, სამეურნეო მნიშვნელობის წესი. ნაშრომიდან გამომდინარეობს მეთევზეობის აღორძინებისათვის საჭირო რეკომენდაციებიც.

კრებულში შუქდება ეკოლოგიის, ეკონომიკისა და სხვა პრაქტიკული საკითხები.

დახურულ გრუნტში ბოსტნეულის მოყვანის რაციონალურ წინადადებებს შეიცავს თინა გელაშვილის ნაშრომი.

რევაზ სანდროშვილი ნარკვევით გვთავაზობს რაიონის საბიუჯეტო შემოსავლის ზრდის პერსპექტივას, ოღონდ კარგი იყო ავტორს მიეთითებინა მონაცემთა წყაროები, როგორც ეკონომიკის, ისე დემოგრაფიული სიტუაციის ცვლაზე.

მოღწეული ვაზის უნიკალური ჯიშების გადარჩენის გზებზე მიგვითითებს ნანა ზუბაშვილი.

ბრძენმა ბრძანა გარდასულ მოყმეთა დაუვიწყებლობა. მისაბაძია რევაზ ჭილლაძის გარჯა მეცნიერების განვითარებისა და პოპულარიზებისათვის მებრძოლი ელიზბარ წითლანაძის დასაფასებლად. ქართველ მეცნიერთა ღვაწლის წარმოსაჩენად მუშაობისას რუსეთში მოღვაწე მათემატიკოსებისაგან (ა. ბიწაძე, კ. მარჯანიშვილი და სხვ.) მსმენია ბატონ ელიზბარის დამსახურებაზე. მასვე თბილად მოიხსენიებდა უხუცესი სწავლული ი. ვინოგრადოვი.

ნაშრომების ერთ ნაწილს ერთვის ცხრილები, ფოტოები. რაც შეეხება როინ ყაურელიშვილის ნარკვევზე დართულ უცხოენოვან რუკას, ავტორს იგი უნდა დაემუშავებინა.

კრებულში ადგილის დედა ბევრ სხვა საინტერესოსა და მნიშვნელოვანზეც გეიხმობს მოსასმენად. დახასიათებული კრებულიც მრავლისმეტყველია.

იმედია, გზადაგზა კიდევ მრავალ წიგნს გამოვცემთ გმირული წარსულის, მაღალი კულტურის ამ რაიონზე, მხარეზე, ერთიანი სამშობლოს აღმასვლის სადიდებლად.

ფრიდონ სიხარულიძე,
ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.

თაობა

2001 წელს საქართველოს პრეზიდენტის 120-მდე სტიპენდიატი გვეყოლება. ახალგაზრდობასთან მუშაობის გრძელვადიანი პროგრამებისა და პროექტების განხორციელება ორიენტირებული უნდა იყოს პრიორიტეტებზე: განათლება, დასაქმება, ჯანმრთელობა, ნარკოტიკების მოხმარების აღკვეთა და არასრულწლოვანთა დანაშაულობების შემცირება, თავისუფალი დროის ორგანიზება, საერთაშორისო თანამშრომლობა.

დიალოგი ახალგაზრდობასთან აუცილებელია — ასეთია მათი სურვილიც

მეოთხე წელიწადია, რაც საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტი სახელმწიფო პროგრამის „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიებისა და გრანტების მინიჭების შესახებ“ პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს. გვესაუბრება საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ზურაბ გაიპარაშვილი:

— ამ 4 წლის განმავლობაში კონკურსში 2000 ბავშვი და ახალგაზრდა მონაწილეობდა, რომელთაგან 252 პრეზიდენტის სტიპენდიატი გახდა, 53 კი — გრანტის მფლობელი. გამარჯვებული ახალგაზრდების უმრავლესობა საერთაშორისო და რესპუბლიკური კონკურსების, ოლიმპიადებისა და ფესტივალების მრავალგზის გამარჯვებულია, თუმცა სტიპენდიატთა რაოდენობა ყოველწლიურად იცვლება. წინა წლებთან შედარებით, სამწუხაროდ, მათი რიცხვი ცოტათი შემცირდა კიდეც, რადგან რაოდენობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხაზეა დამოკიდებული; სეკვესტრი შეეხო 1992 წელს 194 სტუდენტისათვის და გრანტის 100 მფლობელისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხას. მხოლოდ 100 სტიპენდიატი დაკმაყოფილდა და გრანტი 28 მიიღო.

ამ კონკურსის გამოცხადება ჩვენმა დეპარტამენტმა წლეულს დააგვიანა და, აი, რატომ: — იგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სათანადო თანხა. წლეულს ხომ თავად ბიუჯეტის მიღებაც დაგვიანდა.

2001 წლის კონკურსის ჩასატარებლად სახელმწიფო ბიუჯეტით 160 ათასი ლარია გათვალისწინებული. აქედან 120 ათასი ლარი სტიპენდიებისათვის არის განკუთვნილი, 35000 — გრანტებისათვის. ყოველწლიურად კონკურსში მონაწილეობა 7-დან 26 წლამდე ასაკის განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის არის გათვალისწინებული; მათ, ვისაც გამორჩეული წარმატებები აქვს სპორტის, მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში, გრანტი ახალგაზრდებს კონკრეტული პროექტის განსახორციელებლად ენიჭებათ.

„განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიები და გრანტები“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროგრამაა, რომელიც მიზნად ქვეყნის ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების გამოვლენას და წახალისებას ისახავს. წლეულს გათვალისწინებულია 120-მდე სტიპენდიის დანიშვნა (ყოველთვიურად 100 ლარი). წინა წლებთან შედარებით განსხვავებული იქნება კონკურსის კომისიის მუშაობა; ახალგაზრდების შერჩევითობის განსხვავებულობა ობიექტურობას გულისხმობს. შეიქმნება ქვეკომიტეტი, ნიჭიერი ახალგაზრდების შერჩევა ორ ეტაპად მოხდება. შეირჩევიან საუკეთესოთა შორის საუკეთესონი. სამწუხაროდ, ჯილდო ყველას ვერ სწვდება. საბუთების მიღება 15 მარტიდან დაიწყო და 20 აპრილამდე გაგრძელდა. თბილისში ამ საქმეს საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტში წარმართავდნენ, რაიონებში — ახალგაზრდობის საქმეთა რაიონული განყოფილებები. აქვე მინდა შევეხო ბავშვებისა და ახალგაზრდების სახელმწიფო მხარდაჭერის კონცეფციას, რომელიც ჩვენმა დეპარტამენტმა სხვა სამინისტროებისა და უწყებების, ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით შეიმუშავა. ეს გახლავთ თავისუფალი დროის ორგანიზაცია, საერთაშორისო თანამშრომლობა. ამასთან, კონცეფციაზე მუშაობისას, როგორც წინა წლების გამოცდილება გვიჩვენებს, გათვალისწინებული იქნება მიმდინარე ასოციაციების მნიშვნელობა, საერთაშორისო ორგანიზაციების წინადადებები და რეკომენდაციები.

კონცეფციით გათვალისწინებულია ისეთი პოლიტიკის შემუშავება და წარმართვა, რომელიც ხელს შეუწყობს მომავალი თაობის სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ინტეგრაციას, ამასთან, საზოგადოებაში თვითდამკვიდრებას, რაც მათ მუდმივად ცვალებადი გარემოსადმი ადაპტირებაში დაეხმარება.

გრძელვადიანი პროგრამებისა და პროექტების განხორციელება 2005 წლამდე ორიენტირებული უნდა იყოს გარკვეულ პრიორიტეტებზე. ეს არის განათლება, დასაქმება, ჯანმრთელობა, ნარკოტიკების ბოროტად მოხმარებისა და არასრულწლოვანთა დანაშაულობების შემცირება, პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული „ახალგაზრდობის სახელმწიფო მხარდაჭერის კონცეფცია“. ეს კი ის ნორმატიული აქტია, რომელშიც ქვეყნის ახალგაზრდობის პრობლემების მოგვარების კონკრეტული გზებია ასახული. თუნდაც გავეცნოთ საქართველოში გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის განხორციელების მასალებს, რომლის პუბლიკაცია ევროგაერთიანების ფინანსური მხარდაჭერით არის მომზადებული. ამ მასალებში ნათლად არის წარმოჩენილი ბავშვის ცნება, მის მიმართ დისკრიმინაციის დაუშვებლობა, მისი ინტერესები, ბავშვის უფლებათა განხორციელება, ოჯახში აღზრდა და ბავშვის მზარდი შესაძლებლობანი, სიცოცხლისა და განვითარების უფლება, სახელი და მოქალაქეობა, ინდივიდუალობის შენარჩუნება, ოჯახის გამთლიანება, უკანონოდ გადაადგილება და გატაცება, მის მიერ აზრის თავისუფლად გამოხატვა, ბავშვის აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, ასოციაციათა თავისუფლება, პირადი ცხოვრების დაცვა, ინფორმაციის მისაწვდომობა, დაცვა ძალადობისა და უგულებელყოფისაგან, ლტოლვილი ბავშვები, ინვალიდი ბავშვები, ჯანდაცვა და სამედიცინო მომსახურება, სოციალური დაცვა, ცხოვრების სათანადო დონე, განათლება, თავისუფალი დრო, დასვენება და კულტურული ცხოვრება, მისი შრომა, ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო გამოყენება, სექსუალური ექსპლოატაცია, ექსპლოატაციის სხვა ფორმები, წამება, თავისუფლების აღკვეთა, შეიარაღებული კონფლიქტები, სამართლებრივი ზომები კანონის დამრღვევ არასრულწლოვანთა მიმართ და ა.შ.

ჩვენი დეპარტამენტი 1990-2000 წლებში საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის ბრძანებულებით დამტკიცებული ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების ოთხწლიანი სახელმწიფო პროგრამით ხელმძღვანელობდა. იგი მოიცავდა სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ყველა სფეროს. 2001 წლის 12 მარტს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა ახალგაზრდობის სახელმწიფო მხარდაჭერის კონცეფცია, რომელიც საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტმა სხვა სამინისტროებისა და უწყებების, ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით მოამზადა. კონცეფციით გათვალისწინებულია ახალგაზრდობის მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებები და ახალგაზრდობის პრობლემების კვლევისა და სახელმწიფო მოხსენების მომზადების წესი.

ყველა უწყების წარმომადგენლის შეხვედრა-დიალოგი ახალგაზრდებთან აუცილებელია. ხელისუფლებასთან მათი დიალოგი რომ აუცილებელია, ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა ახლახან, სტიპენდიატებისთვის ჯილდოს გადაცემისას აღნიშნა, — არ შეიძლება ახალგაზრდობა მუდამ გარკვეულ ჩარჩოებში მოსაქცევ ობიექტად განიხილებოდეს, პრობლემაა, რომ მათ ნაკლებად უსმენენო.

ასეთი შეხვედრები, მათთან დიალოგების გამართვა ახალგაზრდების სურვილიც რომ არის, არაერთხელ დავრწმუნდით. სათქმელი ორივე მხარეს დაუგროვდა და დიალოგები უნდა გაიმართოს — ეს ქვეყნის მომავლის თხოვნაა, ვისზეც საქართველოს მომავალია დამოკიდებული. ამ გზების ძიება უსათუოდ ითვალისწინებს სხვადასხვა სფეროდან ხელმძღვანელთა შეხვედრას ახალგაზრდობასთან.

დიალოგის აუცილებლობას თვითონ ისინიც მიიჩნევენ, ეს მხედველობაში უნდა მიიღონ სახელმწიფო უწყებებმა, სამინისტროებმა, მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა და სხვა დაინტერესებულმა უწყებებმა, რათა სახელმწიფო პროგრამების შემუშავებისას გაითვალისწინონ ახალგაზრდობის სახელმწიფო მხარდაჭერის კონცეფცია.

ჩვენი დეპარტამენტი პრეზიდენტისთვის ყოველწლიურად ამზადებს მოხსენებას, სადაც უნდა წარმოჩინდეს საქართველოს ყველა მხარის, რაიონის, ქალაქის ახალგაზრდობის ცხოვრების ობიექტური სურათი. ახალგაზრდობა ხომ სიბრძნის ათვისების საუკეთესო დროა, ამ დროის უმიზნოდ გაფლანგვა დანაშაულის ტოლფასია, ის ხომ იმით არის ბედნიერი, რომ მომავალი მას ეკუთვნის და თავად ხდება თავისი ქვეყნის მომავლის მესაჭე. ყველას მოვალეობაა მათდამი ყურადღება.

ესაუბრა
ნათელა ფაილოძე.

სურათზე: ზურაბ გაიპარაშვილი.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 96. სამშაბათი, 24 აპრილი, 2001 წელი.

მუსიკა

სცენაზე პატარა ბიჭი ავიდა...

მომავალ მუსიკოსების შემოქმედებითი გზის ერთ-ერთ ლამაზ საწყის ნიშანსვეტად იქცა 20 აპრილს თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში გამართული კონცერტი, რომელშიც ავანსცენა ნორჩებს, მოზარდებს დაეთმო. ეს ჩვეულებრივი კონცერტი კი არა, ნიჭიერებისა და ხელოვნების სიყვარულის ფეიერვერკი უფრო იყო, თუმცა, სრულიად მოსალოდნელი, რადგან დიდი ხანია ჩვეული ვართ, რომ მაესტრო ჯანსუღ კახიძე, უწინარესად, სწორედ გამორჩეულ ახალგაზრდებს ირჩევს პარტნიორებად.

ამჯერად, მისი ყურადღების ცენტრში მოხვედრილან პიანისტი ალექსანდრე ევსაძე და მევიოლინე გივი ნასარიძე. თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად პიანისტმა მოცარტის ოცდამესამე კონცერტი შეასრულა, მევიოლინემ კი „გაზაფხული" ვივალდის „წელიწადის დრონიდან". ყურადღებას არ გავამახვილებ ამ მოზარდების სამემსრულებლო ხელოვნების სპეციფიკურ დეტალებზე და შემსრულებლობის დონეზე — ამ მიმართებით ყველაფერი სრულყოფილი და შთამბეჭდავი იყო, რაც მათ ნიჭიერებასთან, შრომისმოყვარეობასთან, მუსიკის სიყვარულთან ერთად, მოგეხსენებათ, აღმზრდელების მანანა დოიჯაშვილისა და მანანა ქანთარიას დამსახურებაც არის. ასაკის მიუხედავად (ალეკო 12 წლის არის, გივი 14-ის) ეს ბიჭუნები დახვეწილი ოსტატობით გამოირჩევიან. სწორედ ოსტატობასა და ახალგაზრდული სიხალასის შეჯერება ქმნიდა მშვენიერ ჰარმონიას და ბავშვური სიწმინდის სიმპათიურ შტრიხებს სძენდა საყოველთაოდ ცნობილ ქმნილებებს.

ვფიქრობ, მათ წარმატებას დიდად შეუწყო ხელი თბილისის სიმფონიური ორკესტრის მონდომებამ და უწინარესად, თვით ბატონმა ჯანსუღმა, რომელსაც არასოდეს ღალატობს ბავშვებთან შემოქმედებითი ურთიერთობის ალღო, ასეთი ურთიერთობა კი, საკმაოდ რთულია, თუნდაც, პატარა სოლისტთა გამოუცდელობის გამო, რადგან დირიჟორი არ არის დაზღვეული მოულოდნელი „სიურპრიზებისაგან". დიახ, მათ ერთად გვაჩუქეს სასიამოვნო წუთები, ისევე, როგორც ცალკე საორკესტრო ნომრებმაც — შესანიშნავად აჟღერდა მოცარტის „ღამის პატარა სერენადა" და უვერტიურა ოპერისათვის „ფიგაროს ქორწინება", ბოკერინის მენუეტი, გრიგის „ანიტრას ცეკვა" „პერ გიუნტიდან", შუბერტის „სერენადა" და დვორჟაკის „სლავური ცეკვა".

და მაინც, ამ კონცერტს სხვა უმთავრესი დატვირთვა ჰქონდა, რადგან აფიშები გვაუწყებდნენ, რომ ეს იყო მუსიკალურ ცენტრში დაარსებულ ბიჭუნათა გუნდის კონცერტი-პრეზენტაცია. გუნდისა, რომელიც ჯანსუღ კახიძის ხელდასხმით რამდენიმე თვის წინათ შეიქმნა, დაკომპლექტდა 7-13 წლის ასაკის ბიჭუნებისაგან. აქვე ვიტყვი, რომ ამ გუნდის ხელოვნებამ, საშემსრულებლო ხარისხმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გუნდში სიმღერის მსურველთა შერჩევის კრიტერიუმი მხოლოდ კარგი მუსიკალური სმენა და კარგი ხმა იყო და სამოცდაოთხი მოზარდიდან თითქმის არცერთმა ნოტების კითხვაც კი არ იცოდა, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მათ მოკლე ხანში ჩინებულ შედეგს მიაღწიეს. ჯანსუღ კახიძესთან ერთად ქებას იმსახურებენ ქორმაისტერები გელა ფარჩუკიძე და შალვა შაორშაძე, პედაგოგები ლადო კანდელაკი და გიორგი ბერიაშვილი, რომელთა დაუღალავი, მუხლჩაუხრელი შრომის მეოხებით მართლაც უნიკალური შემოქმედებითი კოლექტივი შეიძინა ქართულმა მუსიკალურმა კულტურამ.

არ ვიცი, ელოდნენ თუ არა ბიჭუნები იმგვარ ოვაციას და აპლოდისმენტებს, როგორითაც გუნდის წარდგენას შეხვდა აუდიტორია და რომლითაც დააჯილდოვა მისი სიმღერა, მაგრამ პირადად მე, იმთავითვე ვირწმუნე, რომ ასეც იქნებოდა, რადგან ჯანსუღ კახიძე იშვიათად გამოხატავს ხოლმე სრულ კმაყოფილებას თავისი კოლექტივებისადმი, ბიჭუნათა გუნდის შესახებ კი, ორი კვირის წინანდელ პრესკონფერენციაზეც ლაღად ისაუბრა. ახლა კი, კიდევ ერთხელ დადასტურდა მისი შეფასების სიზუსტე.

მშვენიერი ჟღერა, ნაწარმოებთა დრამატურგიის კარგი აღქმა, მუსიკალურ ელფერთა სიუხვე და დახვეწილობა, მაღალი საშემსრულებლო კულტურა, ტექნიკური სიმწყობრე, კარგი ანსამბლურობა, — აი, რამდენიმე იმ თვისებათაგან, რომლებიც გამოავლინა გუნდმა საკონცერტო პროგრამის ახმიანებისას. პროგრამა კი საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი გახლდათ, როგორც ჟანრული, სტილისტური თუ ეპოქალური, ასევე კომპოზიტორთა ხელწერათა თვალსაზრისით. — ქართული ხალხური სიმღერა „მორბის არაგვი", ბახის ქორალი „მათეს პასიონიდან", ბავშვთა გუნდი პუჩინის ოპერის „ჩიო-ჩიო-სანის" მეორე მოქმედების ფინალიდან, ვახტანგ კახიძის მიერ შექმნილი სიუიტა ლოიდ ვებერის მიუზიკლის „იესო ქრისტეს" მიხედვით, ჯანსუღ კახიძის საგანგებოდ ამ გუნდისთვის შეთხზული კომპოზიცია „ალილო".

და ყოველი ნაწარმოებით ცხადდებოდა, რომ საქმე გვაქვს დიდი პოტენციის მქონე გუნდთან, რომელსაც, ვფიქრობ, საინტერესო მომავალი აქვს — სხვა აზრს ვერ აღძრავდა ამ კოლექტივის ბრწყინვალე დებიუტი. დიახ, ის გადაუჭარბებლად შეიძლება შეფასდეს სიტყვით — ბრწყინვალე!

— ჩემი ასაკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ცხოვრების მესამე სტადიაში, მესამე პერიოდში ვარ და მინდა ამ ეტაპის მნიშვნელოვანი ნაწილი ბავშვებს, ბიჭუნათა გუნდს მივუძღვნა, — საქვეყნოდ განაცხადა ჯანსუღ კახიძემ. ეს ნამდვილად კეთილშობილური მისიაა, რომელიც, ალბათ, საუკეთესო შედეგსაც გამოიღებს.

დიახ, ჯანსუღ კახიძემ კიდევ ერთი მამულიშვილური საქმე წამოიწყო და ვფიქრობ, სათანადო გვირგვინსაც დაადგამს მართლაც მშვენიერ ბიჭუნათა გუნდს.

ერთი დეტალი კონცერტ-პრეზენტაციიდან — ერთ-ერთი ნაწარმოების დასასრულს, სცენაზე პატარა ბიჭი ავიდა, როგორც შემდეგ გაირკვა — არჩილ ჩინჩალაძე. მაესტროს თაიგული მიართვა და თან რაღაც ჩასჩურჩულა. დირიჟორმა საიდუმლოდ არ შეინახა ბიჭის გულისთქმა და დარბაზსაც გაანდო: „ბატონო ჯანსუღ, ძალიან მინდა რომ თქვენნაირი დირიჟორი გამოვიდე და თქვენნაირი საქმეები ვაკეთოო", — მორიდებით უთქვამს ბიჭს. თითქოს ჩვეულებრივი ფაქტია, მაგრამ მერწმუნეთ, დიდი მაესტროსთვისაც კი სასიამოვნოა ასეთი შტრიხები.

ზურაბ ოიკაშვილი.

გამოიცა

„შენ ფრთებს შეისხამ"...



მოსწავლე იყო ნანი ბალახაძე, ჟურნალ „დილასა" და „სახალხო გაზეთში" საკუთარი ლექსები რომ გამოაქვეყნა. ცამეტი წლისამ საუკუნოდ დადო მუზასთან ზავი და უკვე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა პატარა კრებულიც გამოსცა. მას, ერთი ლექსის მიხედვით „ჭეშმარიტება" ჰქვია და შეუნიღბავად გადმოგვცემს თვრამეტი წლის ქალიშვილის ნაოცნებარსა თუ ნააზრევს. მართლაც, შეუნიღბავად, რადგან პრინციპულად გმობს შენიღბულ ადამიანებს: „მე ჩემს ძველ ნიღაბს სულ გადავაგდებ, მოგევლინებით ნამდვილი სახით და ეს ცხოვრება ჩემი გახდება განათებული პატარა სანთლით". დიახ, ასე გულწრფელად წერს ნანი ბალახაძე, ვისაც ტახტრევანი თვით „დღისა და ღამის მოფერებამ დაუდგა", ვისთვისაც გაზაფხული „ქვეყნის ვარდისფერი მომავლით შემამკობელია".

კრებულის რედაქტორი, მუსიკოსი და პოეტი იამზე ნაცვლიშვილი შენიშნავს, რომ ავტორი ფაქიზი სულისაა, რომ მას ორიგინალური ხედვა და მდიდარი სამყარო აქვს, რაშიც, ლექსების წაკითხვის შემდეგ, უთუოდ დაეთანხმებით.

ჰოდა, ასეთი სულის პატრონისათვის სულ სხვაა პირველი სიყვარულის მადლი, იგი გამორჩეულად გრძნობს, როგორ ტირის მთვარე მთაწმინდის თავზე („ეს ცრემლია სულ ალუა ბავშვის"), როგორ თრთიან ფოთლები წვიმაში და „დიდი მთების ნისლს" ჰგავს მისი ფიქრები ასეთ დროს.

მოაზროვნე სტუდენტმა იცის, რომ სიბრძნეა გოლიათი მთების წუხილის მიზეზი, რომ „ცხოვრება თვითონ არს ღმერთი" და სიცოცხლისათვის მხოლოდ მას უნდა ვუმადლოდეთ. ნანი ყველაზე მძაფრად გაზაფხულზე გრძნობს, რატომ იბადება ტირილით ბავშვი.

მოყვასის ერთგულს, მაგრამ გამოუსწორებელ მეოცნებეს ხშირად განმარტოებაც სურს:

„გთხოვ, ქარიშხალო,
ნუ შემეხები,
გთხოვ, გამეცალო, მარტო
ყოფნა მსურს".

ერთგვარი ფილოსოფიური აზროვნება იგრძნობა სტრიქონში „თურმე, ბნელის უცნობი თვით სინათლე გამოდგა". იგი წუხს, რომ ქვეყნად უსამართლობაა, რომ „სიავის მატლები ბზის ტოტს დაერივნენ, ყვავების გუნდები მტრედებს შეერივნენ", მაგრამ უკეთესი დღეისაც სჯერა, ისიც სწამს, რომ „ცაზე გადმოვკიდებთ ჩვენ თეთრ ბაირაღებს".

ნანი ბალახაძეს მიაჩნია, რომ „სიცოცხლის არსი შეიცნობა სიკვდილის თაღზე", შიში რწმენით დაიძლევა, რომ ცხოვრება წუთში მთავრდება და აზრსა თუ ოცნებას უკლებლივ უნდა შეეასხათ ხორცი.

პატრიოტი ქალიშვილი ჯვრის მონასტერს შესთხოვს, გააძლიეროს საქართველო, გიორგის ხმლით სძლიოს გველეშაპს.

ბუნებით კეთილს გული უკვდება, როცა ქუჩაში მშიერი, მოლასლასე ქალი ხვდება და მას უწოდებს „მდიდარი ბუნების ღარიბ დედოფალს", რომელიც ნაგავშიც სიწმინდეს ეძებს. პოეტს სჯერა, რომ მისი „დედოფალი" უსათუოდ იპოვნის ბაჯაღლოს კეთილი ადამიანების გულში.

„დაგვიანებული ყვავილები" ეძღვნება გალაკტიონს, ვისი ცხოვრებაც მირაჟს აგონებს... და, რა თქმა უნდა, სათუთი სტრიქონებით ამკობს დედას, რომელიც მისთვის ყველაფერია, „მოძლეარი ქვეყნის მარადისობის და მუდამ პირმშო გაზაფხულისა".

ბუნებით ლაღსა და მართალ მოლექსეს, ამქვეყნად, ყველაზე მეტად მოღალატის ეშინია, რასაც არ მალავს: „კაცის შურით სავსე სულის, ორგულობის მეშინია".

დაახლოებით ასეთი განცდებია გამჟღავნებული „ჭეშმარიტებაში" მოთავსებულ 45 ლექსში. თვით ჭეშმარიტება კი ავტორისათვის სიბრძნის იალქანია „გამოხვეული სიწმინდის გარსში". სწორედ სიწმინდისა, რადგან იგი მხოლოდ საკუთარი ცოდვების შეცნობით დაიხატება სულში.

დასასრულ მისივე ლექსის („პოეტის სული") სტრიქონებით მივმართავ შემოქმედ ქალიშვილს:

„შენ ფრთებს შეისხამ, უცაბედად გახდები გედი, ასეთი იყო, ასეთი არის პოეტის ბედი".

ინეზა ლეკვეიშვილი.

უკვდავყოფა

ნოდარ გაბუნიას სახელობისა

27 აპრილს თბილისის სიმფონიური მუსიკის დარბაზში გაიხსნება ნოდარ გაბუნიას სახელობის ახალგაზრდა პიანისტთა პირველი ეროვნული კონკურსი.

საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში კონკურსის ინიციატორმა და სულისჩამდგმელმა კონკურსის დირექტორმა ვალერიან შიუკაშვილმა განაცხადა, რომ კონკურსის დაარსება და გამართვა შესაძლო გახდა დიდი მაესტროს, ბატონ ჯანსუღ კახიძის მხარდაჭერით და დახმარებით. ახალგაზრდა მუსიკოსების ქომაგი და მასწავლებელი გაგებით მოეკიდა ჩვენს სურვილს და ყოველმხრივი დახმარება აღგვითქვა. დიდი მადლიერების ღირსია მხატვარი ირაკლი წულაძე, რომელმაც სრულიად უსასყიდლოდ დაამზადა კონკურსის გამარჯვებულისათვის განკუთვნილი „გრან-პრი," მრავალი სხვა ადამიანი, რომლებმაც აიტაცეს ახალგაზრდების იდეა და ყველაფერი გააკეთეს, რათა საქართველოში დამკვიდრდეს დიდი ხელოვანის, ახალგაზრდების აღმზრდელის, კომპოზიტორის ნოდარ გაბუნიას სახელობის კონკურსი. ჯერჯერობით ჩვენთვისაც არაა დაზუსტებული კონკურსის მრავალი მხარე, მაგრამ ერთი ნათელია — ნოდარ გაბუნიას ხსოვნას ჩვენ მუდამ მივაგებთ პატივს და ამას მისი სახელის, მისი წარმატებების უკვდავსაყოფად გავაკეთებთ.

პირველ ტურში მონაწილეები შეასრულებენ ნაწარმოებებს, რომლებიც ნოდარ გაბუნიასადმია მიძღვნილი, მეორეში — შესრულდება ნოდარ გაბუნიას ნაწარმოებები ციკლიდან „მოწაფის დღიურები" და პატარა პიესები.

კონკურსი 1 მაისამდე გასტანს.

საქინფორმი.

ფეხბურთი

შინ და გარეთ

დღეს 15 საათზე ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე დაიწყება საერთაშორისო ამხანაგური მატჩი საქართველო-ისრაელი. სტუმრები კვირა ღამით თავიანთი ტრავმირებული ლიდერის ბერკოვიჩის გარეშე გვეწვივნენ, რომელსაც, ალბათ, რევივო შეცვლის. შეგახსენებთ, რომ „მინდისფერებს" დამოუკიდებლობის პერიოდში მეტოქისათვის ჯერაც არ მოუგიათ. ამ უსიამოვნო ტრადიციის დარღვევას ყიფიან-ძოძუაშვილის მიერ შერჩეული შემდეგი ფეხბურთელები შეეცდებიან: **ზოიძე, ლომაია, მერლანი, სილაგაძე, ქემოკლიძე, თოდუა, აბრამიძე, ჭანკოტაძე, ხიზანიშვილი, ასათიანი, გახოკიძე, ალექსიძე, ქეცბაია, ქინქლაძე, შოთა და არჩილ არველაძეები, მელქაძე.**

* * *

კვირას I წრე დაამთავრეს ფეხბურთელთა XII ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მებრძოლმა კლუბებმა. გაუწყებთ დასკვნითი ტურის შეხვედრათა შედეგებს:

„გორდა" — იბერია" 2:1,
„სიონი" — „დილა" 1:0,
„ბათუმი" — თსუ 2:0.

„ბათუმი" — 22, „გორდა", „სიონი" — 18-18, „დილა", თსუ — 16-16, „იბერია" — 3 ქულა.

* * *

იტალია. XXVII ტური. „უდინეზე" — „რომა" — 1:3, „პარმა" — „იუვენტუსი" — 0:0, „ლაციო" — „ვიჩენცა" 2:1, „პერუჯა" — „ატალანტა" 2:2, „ლეჩე" — „მილანი" 3:3 (სტუმრები ბოლო წუთზე **კახა კალაძის** გოლმა იხსნა), „ინტერი" — „ფიორენტინა" 4:2.

„რომა" — 62, „იუვენტუსი" — 56, „ლაციო" — 55, „პარმა" — 44, „ატალანტა", „მილანი", „ინტერი" — 41-41 ქულა.

ესპანეთი. XXXI ტური. „სარაგოსა" — „რეალი" 2:3, „სელტა" — „დეპორტივო" 2:1, „ოვიედო" — „ვალენსია" 0:0, „ვილიარეალი" — „მალიორკა" 2:2, „ოსასუნა" — „ბარსელონა" 3:1.

„რეალი" — 68, „დეპორტივო" — 57, „მალიორკა", „ვალენსია" — 53-53, „ბარსელონა" — 51 ქულა.

გერმანია. XXX ტური. „მალკე" — „ჰერტა" 3:1, „აინტრახტი" — „ბაიერნი" 0:2, „ბორუსია" — „ბოხუმი" 5:0, „ლევერკუზენი" — „ჰამბურგი" 1:1, „ფრაიბურგი" — „კაიზერსლაუტერნი" 5:2 (მასპინძელთაგან ერთი გოლი **ლევან კობიაშვილმა** გაიტანა).

„მალკე" — 55, „ბაიერნი" — 53, „ბორუსია" — 52, „ლევერკუზენი" — 50, „კაიზერსლაუტერნი", „ჰერტა" — 49-49 ქულა.

ინგლისი. XXXV ტური. „მანჩესტერი" — „სიტი" 1:1, „არსენალი" — „ევერტონი" 4:1, „იფსვიჩი" — „ქოვენთრი" 2:0, „ვესტ ჰემი" — „ლიდსი" 0:2, „ლივერპული" — „ტოტენჰემი" 3:1.

„მანჩესტერი" — 77, „არსენალი" — 63, „იფსვიჩი" — 62, „ლიდსი" — 59, „ლივერპული" — 56 ქულა.

კალათბურთი

როგორც იქნა, დასრულდა უსაშველოდ გაწელილი კალათბურთელ ვაჟთა X ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ექვსეულის III წრე. მართალია, „პლეი-ოფების" მონაწილეთა ვინაობა კარგახნის წინათ გაირკვა, მაგრამ საქმე საქმეა და, ფორმალობის მიუხედავად, მოკლედ მოგითხრობთ დასკვნით სათამაშო დღეს გამართულ არაფრისმომცემ შეხვედრებზე.

ფინიში სტარტის წინ

„აზოტი" — „მაქაბი" 99:88
(28:15, 45:37, 74:56)

ქვეყნის ვიცეჩემპიონებს ტრავმირებული ქლენტი, ბერუაშვილი და დისკვალიფიცირებული გაბისონია აკლდათ, მაგრამ მაინც საკმაოდ იოლად სძლიეს ტოუჯანის გარეშე მოასპარეზე მეტოქეს. რუსთაველთაგან პერიოდების მიხედვით შენგელია, ჯაფარიძე და კოკოლიშვილი გამოირჩეოდნენ. მათ ქულათა ისეთი მარაგი შექმნეს, რომ თამაში სათადარიგოთა ხუთეულმა დაამთავრა.

თსუ — „შევარდენი" 91:89
(18:24, 44:40, 70:61)

მთელი რიგი წამყვანი კალათბურთელების არყოფნაში ტურნირის მაჩანჩალათა „გედის სიმღერაში" ჩხეიძის ძალისხმევით თავიდან „შევარდენი" დაწინაურდა. გარდატეხას სათავე მოწინააღმდეგის ფარქვეშ ბრძოლაში გააქტიურებულმა მაჭარაძემ დაუდო, სტუდენტთა უპირატესობა კი მაისურაძემ განამტკიცა. ძირითადი დროის ბოლო წუთზე შევარდენელთა სნაიპერი კაზანჯიანი გამოცოცხლდა და ზედიზედ ორი სამქულიანით პარტნიორები დააწინაურა — 89:88, თუმცა გადამწყვეტი სიტყვა ისევ მაისურაძემ თქვა. მან ზედ საფინალო სასტვენის წინ ჩააგდო ბურთი მეტოქის კალათში და თან პერსონალური შენიშვნაც „აპკიდა" მეურვეს, რითაც კიდევ ერთი ქულა მოაგროვა საჯარიმო ტყორცნით.

„ბასკო" — სტუ 77:69
(20:14, 29:35, 45:47)

ბათუმელთა ლიდერი ვახტანგ ნაცვლიშვილი შეხვედრაზე დაგვიანებით გამოცხადდა, რის გამოც გახურება ვერ მოასწრო და მხოლოდ დასკვნით მეოთხედში ათამაშდა ჩვეული ძალით. მანამდე კი... დებიუტში კილაძისა და დროჟანოვის ძალისხმევით ზღვისპირელები დაწინაურდნენ, თუმცა იგრძნობოდა, რომ მათ რაღაც აკლდათ (უფრო სწორად, ვიღაც, რის თაობაზეც ზემოთ ვისაუბრეთ). მალე გაირკვა, რომ ხომხარიას, მდივნისა და ბერიშვილის შეჩერება ფავორიტის ძალებს ამჯერად ნამდვილად აღემატებოდა. კიდევ კარგი, რომ ვახტანგ ნაცვლიშვილის გამოფხიზლება დაგვიანებული არ აღმოჩნდა.

აქვე გაუწყებთ ნახევარფინალური შეხვედრების განრიგს (ბრძოლა ორ მოგებამდე გაგრძელდება).

27 აპრილი. სტუ — „აზოტი" (16 საათზე).

28 აპრილი. „მაქაბი" — „ბასკო" (14 საათზე).

„აზოტი" — სტუ (16 საათზე).

29 აპრილი. „აზოტი" — სტუ (16 საათზე, საჭიროების შემთხვევაში).

1 მაისი. „ბასკო" — „მაქაბი" (ბათუმში).

2 მაისი. „ბასკო" — „მაქაბი" (ბათუმში, საჭიროების შემთხვევაში).

მატჩები III ადგილისათვის 4, 5 და, საჭიროების შემთხვევაში, 6 მაისისთვის არის დანიშნული, სუპერფინალური შეხვედრები კი 7, 10 და, საჭიროების შემთხვევაში, 11 მაისს გაიმართება.

* * *

გუშინ თბილისში სამდღიანი ტურნე დაიწყო ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდში ჩვენი ეროვნული ნაკრების მომავალმა მეტოქემ — აზერბაიჯანის გუნდმა. პირველი შეხვედრა მეზობლებმა 69:106 წააგეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებთან. სტუმრებს აკლიათ ყველაზე ცნობილი ლეგიონერი მედვედენკო, მათმა თავკაცმა თემურ ჰუსეინოვმა კი აღნიშნა, რომ იქაურ ეროვნულ ჩემპიონატში 7 გუნდი მონაწილეობს და უძლიერესის გამოსავლენად ერთი წრე, ანუ 6 მატჩი (!) იმართება.

დღეს ვერის ბაღში 13 საათზე აზერბაიჯანელები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს ეთამაშებიან.

გია პლატონიშვილი.

სურათზე: სტუ-ს და აზერბაიჯანის ნაკრების გუშინდელი მატჩის მომენტი.

ალექსანდრე
კოტორაშვილის ფოტო.

ცხოვრების ჯანსაღი წესი

პირველად!

ნიშანდობლივია, რომ ამ საუკუნის პირველი ტურისტული ღონისძიება თბილისის მერიის სპორტის, სკოლის გარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურმა (უფროსი — **დავით ჭელიძე**) გამართა დედაქალაქისა და წყნეთის მშობლების ზრუნვას მოკლებულ და ობოლ ბავშვთა სახლების აღსაზრდელებისათვის.

240-მა ბავშვმა ძალიან საინტერესოდ, ხალისით გაატარა გასული კვირადღე: ნორჩები ძველი თბილისის უბნების დათვალიერების შემდეგ გაემგზავრნენ მცხეთაში, იყვნენ დედათა მონასტერში, სვეტიცხოვლის ტაძარში, ავიდნენ ჯვრის მონასტერში. ილოცეს, იბურთავეს, გემრიელი საჭმელიც მიირთვეს და საჩუქრებიანად დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში.

ასეთი ღონისძიებები, როგორც ამ საუცხოო ღონისძიების ორგანიზატორებმა განაცხადეს, კვლავაც გაიმართება ჩვენი ნორჩებისათვის.

ანზორ
კოჭლამაზაშვილის ფოტოები.

ცინცხალი ამბები

ლენოქს ლუისთან კვირას მოპოვებული გამარჯვების შემდეგ პროფესიონალმა მოკრივემ, WBS, IBF, IBO ვერსიებით მსოფლიოს ჩემპიონმა ჰასიმ რაჰმანმა გუშინ შეიტყო, რომ მისი გამოწვევა მიიღო მაიკ ტაისონმა.

„რკინის მაიკი", რომელიც 2 ივნისს 10 რაუნდიან ორთაბრძოლას გამართავს ბარსელონის ოლიმპიადის პრიზიორთან, 32 წლის ნიგერიელ დევიდ აიზონთან, აცხადებს, რომ მისი და რაჰმანის შეხვედრა შესაძლოა უახლოეს მომავალში შედგეს.



ესპანეთში ჩატარებულ მრავალდღიან „ტურ არაგონის" ველორბოლაში გამარჯვება ადგილობრივმა სპორტსმენმა ხუან კარლოს დომინგესმა, რომელმაც ლიდერის ყვითელი მაისური მოირგო რბოლის მესამე ეტაპზე და შეინარჩუნა კიდეც მის დამთავრებამდე.

VITALICIO
GENERALI

XXI საუკუნე

პატარა დიტო დიდ ფეხბურთზე ოცნებობს

თბილისში, ლუბლიანის ქუჩა № 19-ში ფეხბურთის საერთაშორისო აკადემია მდებარეობს. თუმცა, აკადემიების, ინსტიტუტების თუ კოლეჯების სიმრავლით დღეს ვერავის გააკვირვებ, მაგრამ იგი გამორჩეულია, თუნდაც იმით, რომ მისი პრეზიდენტი გახლავთ სახელოვანი დინამოელი თენგიზ სულაქველიძე.

ბატონი თენგიზის მონახვა არ გაგვჭირვებია, რადგან იგი დღედაღამ იქ არის. აკადემიის ტერიტორიაზე აუცილებლად შეამჩნევთ, რომ ყველაფერი საგულდაგულოდ, დიდი მონდომებით და შრომით არის შექმნილი. კეთილმოწყობილია ორი დიდი და ორი მცირე სავარჯიშო სტადიონი. (ბატონი თენგიზი მალე ორი სტადიონის მიმატებასაც აპირებს). პრეზიდენტის გვერდით ილწვიან ოთარ გაბელია, რამაზ შენგელია, ოთარ ჭელიძე, მერაბ კამია, რეზო სანთელაძე. მათ ალბათ, მურთაზ ხურცილავაც შეუერთდება. ძველი დინამოელები მთელი ძალისხმევით ცდილობენ ქართული ფეხბურთის აღორძინებას.

დღეს აკადემიაში 300-მდე ბავშვი ვარჯიშობს, სწავლობს და შედეგიც სახეზეა: ერთი მათგანი უკვე ქუთაისის „ტორპედოს" ძირითად შემადგენლობაში თამაშობს, ორი კი ისრაელში, თელ-ავივის საფეხბურთო გუნდში გადის კვალიფიკაციას; აკადემიის ნორჩი ფეხბურთელები ყველა იმ თამაშში მონაწილეობენ, რომელთაც საქართველოს ფეხბურთის აკადემია მართავს. მწვრთნელებიც ერთობ კმაყოფილები არიან შედეგებით, ამასთან, იმედი აქვთ და გვპირდებიან, რომ საქართველოს აღუზრდიან ჯანმრთელ, წესიერ და, რაც მთავარია, მაღალი დონის ფეხბურთელებს.

— დიდი იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი კარგად აეწყობა, დაწყებულს ბოლომდე მივიყვანთ, რადგან როდესაც კაცი ამხელა საქმეს წამოიწყებს, შუა გზაზე არ უნდა გაჩერდეს. მით უმეტეს, რომ ეს ყველაფერი ჩვენი ხალხისთვის, საქართველოსთვის კეთდება, — გვითხრა თენგიზ სულაქველიძემ.

ფეხბურთის აკადემიის ერთ-ერთი მოსწავლე 15 წლის დიმიტრი დიდმარხვაშვილი ჯერ „ნორჩ დინამოელში" ვარჯიშობდა, ახლა კი აკადემიის აღსაზრდელია, აქ დიდ იმედებს ამყარებენ დიტოზე, მას აქ პერსპექტიულ მოთამაშედ მოიაზრებენ. მწვრთნელები თვლიან, რომ საქართველოს ნიჭიერი ფეხბურთელი ეზრდება დიტოს სახით.

— ძალიან მიხარია, რომ ჩემი მწვრთნელი თენგიზ მასწავლებელია. თამაშის დაწყებამდე ისე გვამხნევებს, რომ მთელი თამაშის მანძილზე მიგვყვება, საინტერესო ამბებსაც გვიყვება. თენგიზ მასწავლებელს მარადონასთანაც უთამაშია — გვეუბნება დიტო.

ღმერთმა ქნას, დიტომ და მისმა ამხანაგებმა გაამართლონ იმედები, რამეთუ „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა"...

ლია ჩლაჩიძე.

სურათზე: თენგიზ სულაქველიძე და დიტო დიდმარხვაშვილი.

ყოველი მხრიდან

მსოფლიოს ჩემპიონი — ნოკაუტში!

როგორც ამბობენ, რინგზე ასეთი სენსაცია არ მომხდარა 1990 წლის 11 თებერვლის შემდეგ, როდესაც ბასტერ დუგლასმა ნოკაუტში „გაუშვა" კრივის მოყვარულთა კერპი მაიკ ტაისონი, და აი, იოჰანესბურგში ათი წლის შემდეგ კვლავ მოხდა დიდი სენსაცია — მსოფლიოს ჩემპიონი **WBC** და **IBF** ვერსიებით ლენოქს ლუისი რინგის ფიცარნაგზე ნოკაუტირებული აღმოჩნდა ხასიმ რახმანის ძლიერი დარტყმის შემდეგ.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ, რომ ლუისი სათანადოდ ვერ მოემზადა ამ მატჩისათვის, კინოგადაღებებმა გაიტაცეს და ვარჯიშისათვის არ ეცალა, გვიან ჩავიდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში და აკლიმატიზაცია ვერ მოასწრო, ბოლო ხანებში წონაში ძალიან მოიმატა, 122 კილოგრამს იწონიდა, რაც მისთვის ძალზე ბევრი იყოო და ა. შ. ალბათ, მთავარი კი ის იყო, რომ მსოფლიოს „ორმაგმა" ჩემპიონმა სათანადოდ ვერ შეაფასა მოწინააღმდეგე და „ლომს", როგორც ის საკუთარ თავს უწოდებს, სათანადო მიეზღო კიდეც!



სამაგიეროდ, „კლდემ" (ასე მონათლეს გულშემატკივრებმა ხასიმ რახმანი) ყველაფერი იღონა, რათა რინგიდან დამარცხებული არ წასულიყო, ის იოჰანესბურგში, რომელიც ზღვის დონიდან 2 ათას მეტრზეა, მატჩამდე ერთი თვით ადრე ჩავიდა, სათანადოდ მოემზადა. ჟურნალისტებსაც ხვდებოდა და სულ იმას ამბობდა, რომ გაიმარჯვებდა. აკი შეასრულა კიდევაც მუქარა!

მთელი ხუთი რაუნდის მანძილზე ლუისი ისე იბრძოდა, რომ ცდილობდა, მოწინააღმდეგისათვის ქანცი გამოელია, მაგრამ მეხუთე რაუნდის ბოლო წამებზე თავად გაება თავისივე დაგებულ მახეში. იერიშისათვის რომ ემზადებოდა, სწორედ მაშინ მოხვდა ყბაში რახმანის მძლავრი დარტყმა, მიწისძვრასა ჰგავდა ჩემპიონის დაცემა!

სურათზე: „მიწისძვრა" იოჰანესბურგში — რახიმ რახმანი ამარცხებს ლენოქს ლუის.

ტურნირი დამთავრდა, ტურნირი გრძელდება

ელენ-ლე-ბენში დამთავრდა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ათი დიდოსტატის მონაწილეობით. 6 ქულით გაიმარჯვა სომეხმა დიდოსტატმა ვლადიმერ აკოფიანმა, მეორე ადგილზე ფრანგი ჟოელ ლოტიე — 5,5 ქულა.

* * *

დოს-ერმანასში კი გრძელდება მე-11 საერთაშორისო ტურნირი კვლავ ათი დიდოსტატის მონაწილეობით, რომელთა შორისაც ქართველი მოჭადრაკე ზურაბ აზმაიფარაშვილიც არის.

სამი ტურის შემდეგ ლიდერობს ილია სმირინი (ისრაელი) — 2,5 ქულა. მეორე-მესამე ადგილებზე — 2-2 ქულით არიან მიხეილ გურევიჩი (ბელგია) და ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) შემდეგ მოდის ხუთი მოჭადრაკე, მათ შორის, ჩვენებური ზ. აზმაიფარაშვილიც, რომელთაც 1,5-1,5 ქულა აქვთ.

ქართველმა მოჭადრაკემ სამივე პარტია ყაიმით დაამთავრა ვალეხოსთან, დრეევთან და გურევიჩთან.

ჭიდაობა

„ოქრო", „ვერცხლი", „ბრინჯაო"...

ბუდაპეშტში ევროპის 2001 წლის პირად-გუნდურ ჩემპიონატზე გამგზავრების წინ საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების კაპიტანმა, ევროპის სამგზის ჩემპიონმა **ელდარ კურტანიძემ** განაცხადა, რომ იგი ძალიან კარგად არის მომზადებული და გულშემატკივრებს იმედს არ გაუცრუებს. 97 კგ. წონის ფალავანთა ფინალში ელდარი რუსეთის წარმომადგენელს გიორგი გოგშელიძეს შეხვდა და ნანატრ გამარჯვებასთან ერთად მეოთხედ დაისაკუთრა ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი. გამარჯვებას ვულოცავთ სახელოვან მოჭიდავეს, აგრეთვე, მის მწვრთნელებს — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს შოთა კიკაბიძეს და საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს გია გაღდავას.

63 კგ. წონაში ბრინჯაოს მედალი ირგუნა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ნუგზარ სხირელის აღსაზრდელმა **ოთარ თუშიშვილმა** (გორი), რომელიც ბუდაპეშტში პირველად გამოდიოდა ამ წონით კატეგორიაში. მძიმეწონოსანთა ფინალში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ თბილისელი **ალექსანდრე მოდებაძე** (მწვრთნელები ზაზა თურმანიძე, მარლენ ოსეფაშვილი) და ყაზბეგის რაიონში დაბადებული დავით ბუთხუზი, რომელიც ახლა რუსეთის ნაკრებში მუსულბესის გვარით გამოდის. მოდებაძემ ქულებით დათმო ეს ორთაბრძოლა და პირველად მოიპოვა ვერცხლის მედალი ყველაზე პრესტიჟულ წონით კატეგორიაში.

შოთა ბოკერია

ჭადრაკი

მასპინძლობს ვარშავა

პოლონეთის დედაქალაქში კვირას დაიწყო ევროპის პირადი ჩემპიონატი მოჭადრაკე ქალთა შორის. შეჯიბრებაში სხვადასხვა ქვეყნის 157 წარმომადგენელი იბრძვის მედლებისთვის, მათ შორის 11 საქართველოს წარგზავნილია.

პირველ ტურში მაია ლომინეიშვილმა თამარ ხმიადაშვილს მოუგო, ნანა ძაგნიძემ უკრაინის წლევანდელ ჩემპიონს ანა ზატონსკიხს სძლია, ქეთევან არახამია-გრანტმა მარია ველჩევა დაამარცხა, ანა მათნაძე — ელენ მილიგანი, სოფიკო ხუხაშვილმა — იოლანტა კუზიკი, ლელა ჯავახიშვილმა — მაგდალენა ზავადსკა, სოფიკო ტერელაძემ — იზაბელა თეკილაკი, ნონა გაფრინდაშვილი დაჭნე გიუსტუტეს დაუზავდა, ნინო ხურციძე — ელმირა ალიევას, სოფიკო გვეტაძემ კი ელინა დანიელიანთან წააგო.

ჩემპიონატში კიდევ სამი ქართველი მონაწილეობს: ქეთინო კახიანმა-გერმინსკამ (გერმანია) ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ტატიანა ბაკლანოვასთან, ჰენრიეტა ლაგვილავამ (ბელორუსი) პეტრა ორნსტეინი დაამარცხა, ხოლო თეა ლანჩავა-ბოსბუუმ (ჰოლანდია) ალექსანდრა დიმიტრიევიჩს დანებდა.

სპორტის რედაქცი

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ლალისყურელი თავადის პატიკო ზოლოყაშვილის ვაჟი ლევან ზოლოყაშვილი.

სურათი გადაღებულია 1914 წელს, 15 ენკენისთვეს.

სურათი მოგვაწოდა
ქეთევან ზოლოყაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

ირონიული კალცლექსი

ჯანსუღ ჩარკვიანი

გიჟი თავისუფალია –

ტაში, ტაში!..

თავისუფლად თუ ვართ, მაშინ
რუსთაველზე ვივლი მარშით,
ვაფრიალებ დროშებს ქარში,
დროშას გავცვლი დროშის ტარში.

თავისუფლად თუ ვართ, მაშინ
ცეცხლს დავანთებ მთა და ბარში,
თავისუფლად თუ ვართ, მაშინ
ცოლს გავუცვლი ვისმე ქმარში.

ამერიკულ სუფრას გავშლი,
თავისუფლად თუ ვართ, მაშინ
ქვეყნის ქართველ ჭირისუფალს
ამოვგანგლავ ტალახ-ლაფში.

თავისუფლად თუ ვართ, მაშინ
შემიძლია მოვკლა ბავშვი,
ვინმემ ხმა რომ ამოიღოს,
გამოვძერწავთ ცოცხლად ქვაში.

თავისუფლად თუ ვართ, მაშინ
არ შევუშვებ მამას სახლში,
ლაფს შევასხამთ ბარათაშვილს,
ჭავჭავაძეს ვრეკავთ თავში.

აკაკის და გალაკტიონს,
ჩავაყენებ ამათ კვალში,
თავისუფლად თუ ვართ, მაშინ
ვისაც მინდა ჩავსვამ ტანკში.

შენ დაუკა, შენ დაუკა,
შენ დაუკა, ტაში, ტაში!
ვისაც ჩვენი გზა არ მოსწონს,
გადავჩეხავთ ყველას ხრამში.

იტალიურ პიცასა ვჭამთ,
თქვენ შეისხით უკან - ხაში,
აუ, სიმონ, „ჩემი დედა",
ბზარი გამიჩინეს ხმაში.

ესტრადაზე გამოვალ და
გოგოსავით ხელებს გავშლი,
საყურეზე დამეკიდეთ,
ცეცხლი მეკიდება ტანკში.

როცა მინდა, „ცერეუსთან"
მაშინ დავამყარებ კავშირს,
მე აშშ-ს აგენტი ვარ,
არ ვყოფილვარ რუსის „კლანში".

რა დროს თქვენი რუსთველია,
გული გვერჩის სისხლის ღვრაში,
ბიძაჩემო, გადადექი,
შესული ხარ უკვე ხანში.

„წარაფები" თქვენა გქონდეთ,
ჩვენ „სპრაიტი" მოგვდის ღარში,
აზრზე მოდით, ჩვენს თაობას
„ამერიკა" უდგას მხარში!

მინაწერი:
იქით, იმის უბანია,
აქეთ, ამის უბანია,
გიჟიც თავისუფალია!
მკვლელიც თავისუფალია!
რომ ჰგონია ფხიზელია,
მისი ტვინი სულ მთვრალია,
ნორმალურმა რა ქნას, თორემ
გიჟი თავისუფალია,
შენ დაუკაა, ტაში, ტაში,
გიჟი თავისუფალია!..

ჯ. ჩ.

2001 წლის 21 აპრილი.

გამოფენა

TRANSGEORGIA 2001

ТРАНСГРУЗИЯ - 2001

ტონი შერმანი: ოქტომბერში ისევ შევხვდებით...

ამ დღეებში ისევ გამოცოცხლდა „ექსპო-ჯორჯიას" საგამოფენო ცენტრის პავილიონები. გუშინ აქ გაიხსნა საქართველოს ენერგეტიკის, ევრაზიული ტრანსპორტისა და ლოგისტიკის პირველი საერთაშორისო გამოფენა, რომელიც 26 აპრილამდე გასტანს. მას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ტრანსკავკასიის დერეფნისათვის, რასაც, იმედია, ჩვენი ბიზნესმენები უნარიანად გამოიყენებენ. საამისო პირობებიც არსებობს: გამოფენაზე წარმოდგენილია მსოფლიოს 12 ქვეყნის – ავსტრიის, ამერიკის, აზერბაიჯანის, ბულგარეთის, გერმანიის, ინგლისის, რუმინეთის, რუსეთის, საფრანგეთის, საქართველოს, უკრაინისა და შვეიცარიის 26 ცნობილი ფირმა. ეს ის ქვეყნები და ფირმებია, ვისაც სისხლხორცეულად აინტერესებს სატრანსპორტო დერეფანი თავისი ინფრასტრუქტურით, პორტებითა და საბორნე გადასასვლელებით.

საინტერესოდ გაუფორმებიათ საქართველოს პავილიონი, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ჩვენი ქვეყნის პოტენციურ შესაძლებლობებზე. აქ ნახავთ პირველი ქართული ელმავლის, ვაგონ-ცისტერნის, რკინა-ბეტონის განძელების, ბათუმისა და ფოთის საბორნე გადასასვლელების, სუფსის ნავთობისა და ფოთის ბაზების ტერმინალების ფოტოსურათებს, ტრასეკას მთელი მონაკვეთის ფერად რუკას, საქართველოს რკინიგზის ტვირთების მოძრაობის დინამიკას ბოლო შვიდი წლის მანძილზე.

გამოფენაზე თავისი ფირმის ინტერესებმა ჩამოიყვანა ილიჩოვსკის (უკრაინა) სააქციო საზოგადოება „ვნეშნეტრანსის" დირექტორის მოადგილე იური ნიკიტიუკი, რომელიც კმაყოფილია საქართველოს ანალოგიურ საწარმოსთან ტრადიციული მეგობრობით. როგორც მან ბრძანა, სამი წელია, აქტიურად თანამშრომლობენ ფოთისა და ბათუმის პორტებთან, რის შედეგადაც საბორნე გადასასვლელებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს ტვირთბრუნვა. ახლა 48 საათი სრულიად საკმარისია, რათა ტვირთი დანიშნულების ადგილამდე მიიტანონ.

– საფრანგეთის საზღვაო-საკონტეინერო გადაზიდვების კომპანიას – „კავკასიან მერითაიმ სერვისს" 80 უზარმაზარი გემი აქვს, – „ტრაბახობს" გაყიდვების მენეჯერი, წარმოშობით უკრაინელი ელენე მამეგო, რომელიც მშვენიერი ქართულით გვესაუბრება, – ორი სატვირთო გემი უშუალოდ ფოთის პორტს ემსახურება. ოთხ წელიწადში გადატანილი გვაქვს 2000-ზე მეტი კონტეინერი. ვანხორციელებთ, აგრეთვე, საბაჟო გაფორმებას, ტვირთების დაზღვევას, დასაწყობებას, საზღვაო და სახმელეთო გადაზიდვებს, ინტერკონტროლსა და ყოველკვირეულ სახაზო მომსახურებას. ჩვენი წარმატების „საიდუმლოება" უბრალოა: მომსახურების მაღალი კულტურა და დაბალი სატარიფო განაკვეთები...

– ამ გამოფენის მოწყობის ორგანიზატორი ჩვენი ფირმაა, – უთხრა ჟურნალისტებს ინგლისური კომპანია „ოეგ ინტერნეიშნელის" დირექტორმა ტონი შერმანმა, – ცოტა უფრო ადრე ასეთივე გამოფენა მოეწყო მოსკოვშიც. სწორედ მაშინ დავინტერესდით საქართველოთი, რომელიც „ახალი აბრეშუმის გზის" მშენებლობის ინიციატორია. აქ უნდა გაიაროს ტვირთებმა ახლო და შორეული აზიიდან, დასავლეთის ქვეყნებს ასე რომ აინტერესებს. გამოფენის ძირითადი მიზანი პოტენციურ ბიზნესმენთა მოზიდვაა. 5 ათასამდე მოსაწვევი ბარათი გამოვიყენეთ და ვფიქრობ, მათ პრაქტიკული უკუგება ექნება. გამოფენას მხარს უჭერს საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის პალატა. საბოლოოდ ასეთი სახის გამოფენები ტრადიციად იქცევა – ოქტომბერში ისევ შევხვდებით თქვენს დედაქალაქში.

ჟურნალისტებმა ტონი შერმანი „გამოტეხეს", რომ გამოფენის ინიციატორთა შორის არის მისი ქართველი მეუღლე, კომპანიის ერთ-ერთი დირექტორი ლონდონში ნარგიზა ფრანგიშვილი.

დასაწყისი, როგორც იტყვიან, ურიგო არ არის. პრაქტიკულად თუ რა შედეგებს მოიტანს გამოფენა, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ელგუჯა ლებანიძე.

ღიმილის დოზა

წავიდა ცეროდენა სისხლის ანალიზის ასაღებად.

აი, ასეთი უაზრო სიკვდილით გარდაიცვალა.

* * *

ერთ ცნობილ ექიმს ჰკითხეს, შეუძლია თუ არა ადამიანს აპენდიქსის გარეშე იცოცხლოს?

მან უპასუხა:

– ადამიანს კი შეუძლია, მაგრამ ქირურგს – არა.

* * *

შევიდა კაცი ეკლესიაში და ყველა სანთლის ჩაქრობა დაიწყო – შეუბერავს – აქრობს. მღვდელმა, ფრიად გაოცებულმა ჰკითხა:

– რა ხდება, შვილო ჩემო? რატომ აქრობ სანთლებს?

კაცმა შეხედა მღვდელს არანაკლებ გაოცებულმა და უპასუხა:

– მამაო, დღეს ჩემი დაბადების დღეა.

* * *

„პაპა კარლოს ის ხის ნაჭერი რომ გადაებრუნებინა, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა", – გულდათუთქვით თქვა მალვინამ ბურატინოს გრძელი ცხვირის მემხედვარემ.

* * *

პოლიციელების მანქანაში რადიოთი ისმის ბრძანება:

– ყურადღება, 4102-ე ეკიპაჟი სასწრაფოდ გავიდეს ელისეს მინდვრებზე, იქ ქუჩაში შიშველი ქალი დარბის... ყველა სხვა ეკიპაჟი ადგილზე დარჩეს.

* * *

ფირმის დირექტორი – მდივანს:

– ეს წერილი უაღრესად მნიშვნელოვანია. ამიტომ, რომ არ დაგავიწყდეთ, თქვენი ფრჩხილების ლაქის გვერდით დადეთ.

* * *

სინოპტიკოსები მხოლოდ ერთხელ ცდებიან.

მაგრამ ყოველდღე.

ცოდნის სკივრი

ჩვენი ქვეყნის ბედუკუღმართ ისტორიაზე მიუთითებს ქართველ მეფეთა საფლავები. მართალია, ბევრი მათგანი თავისი ქვეყნის წმინდა სალოცავებსა და საძვალეებშია დაკრძალული (სვეტიცხოველი, გელათი, ჭყონდიდი, ბედია, ალავერდი და სხვ.), მაგრამ არაერთი ქართველი მეფე მეზობელ, ახლობელ თუ შორეულ ქვეყანაში განისვენებს. ზოგიერთის საფლავი დღემდე მიუკვლეველია.

ქართლის მეფემ გურგენ II კონსტანტინოპოლში ჰპოვა საუკუნო განსასვენებელი, იმერეთის მეფე სოლომონ II ტრაპიზონში, ერეკლე I (ნაზარალი-ხანი) და გიორგი XI სპარსეთში არიან დაკრძალულნი, დავით XI (დაუდ ხანი) – ოსმალეთში, ქალაქ ყუმში (სპარსეთი), შაჰ-აბასის გვერდით არიან დასაფლავებულნი კახეთის მეფე დავით II (იმამ ყული-ხანი), ქართლის მეფეები: როსტომი (როსტომ-ხანი), ვახტანგ V შაჰნავაზი.

ვახტანგ VI და თეიმურაზ II ასტრახანში განისვენებენ, არჩილ II – მოსკოვში.

ბერლინი – სახელწოდება მოდის ძველი სლავურიდან: ბერლენ, ამ ენაზე ტლაპოს, ჭაობს ნიშნავს.

სამხრეთ პოლუსი პირველად დალაშქრა ნორვეგიელმა მოგზაურმა და პოლარეთის მკვლევარმა რუალ ამუნდსენმა 1919 წლის 15 დეკემბერს.

გენერალ-მაიორი სიმონ ბარათაშვილი 1791 წელს ყაზანის გენერალ-გუბერნატორი იყო.

მსოფლიო ჩემპიონატებში, სხვადასხვა დროს, 13 ქართველი ფეხბურთელი მონაწილეობდა.

ხობის რაიონის სოფელ ყულევთან, მდინარე ხობისწყლის შესართავთან განზრახულია ნავთობპროდუქტების გადასატვირთი ტერმინალის აგება.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მომზადებულია ტერმინალის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

ანგარიშის გაცნობა, შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია ა.წ. 24 მაისამდე, შემდეგ მისამართებზე:

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პრესცენტრი, თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. 68 ა, VI სართული;

ხობის რაიონის მიწის მართვის სამმართველო, ხობი, ცოტნე დადიანის ქ. 185;

შპს „შავი ზღვის ტერმინალის" ოფისი, თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, 127, ტელ: 95-03-24, 95-24-27;

სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „ზენიტ-გამა კონსალტინგის" ოფისები, თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. 9, ტელ: 29-49-39, 33-03-74;

თბილისი, იაკობ ნიკოლაძის ქ. 2, ტელ: 22-17-71.

შპს „შავი ზღვის ტერმინალის" დირექცია.

განცხადება

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

საქართველოს სამხედრო ძალებში 2001 წლის მოქალაქეთა საგაზაფხულო გაწვევასთან დაკავშირებით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური იწყებს წვევამდელთა შერჩევას სავალდებულო სამხედრო სამსახურის გასავლელად.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მსურველები დაუკავშირდნენ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის კადრების სამმართველოს.

ტელ: 99-56-29.

ტელევიზია

სამშაბათი, 24 აპრილი

08.00 ალიონი **09.30** სერიალი **"ძილის წინ" 09.50, 23.50** ვიდეოპატრული **10.00, 20.50** სერიალი **"ქამელეონი" 10.45** რამპა **10.50** სპა **11.10** სერიალი **"საზღვაო პოლიცია" 12.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ეძიე ქალი **12.40** ჯანმრთელობა **13.00** ნაშუადღევს **14.05** მრავალსახეობა **14.25** მაესტრო **14.55 ფეხბურთი. საქართველო – ისრაელი** (შესვენებისას "მოამბე") **17.00** ინტერმეცო **17.40** მესაკუთრე **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი **"საზღვაო პოლიცია" 19.15** მაესტრო **19.25** ოვერტაიმი **19.40** ბასტი-ბუბუ **21.35** დრო და ადამიანები. შარლ დე გოლი **21.50** ჩვენი ენა ქართული **22.00 "100** გრადუსი**" 22.40** ტელესერიალი **"ძილის წინ" 00.00** ჯეოპოპი **00.40** მხ.ფ. **"ქურდი"**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე **19.05** იყო და არა იყო რა **19.50** ჭოგრიტი **20.00** სერიალი **"ფსიქფაქტორი" 20.30** სტუდია "რე" **21.30** 6-დან 20-მდე **22.05** პიტ-პარადი **22.15** მხ.ფ. **"ჯარისკაცის ბედი ამერიკაში"**

07.00 მუსიკა **07.30** ტექს ავერი, ფიფქია **08.00, 12.00, 15.00** კურიერი **08.55** სერიალი **"გვადალუპე" 09.50** "ვის უნდა ოცი ათასი" **10.40** სერიალი **"პაპირუსის თავგადასავალი" 11.10** სერიალი **"იოლი ფული" 12.15** მულტსერიალი **13.30** მხ. ფილმი **18.00, 21.00, 23.00, 02.05** კურიერი **18.20** სერიალი **"პაპირუსის თავგადასავალი" 18.50** სერიალი **"მეზობელი გოგონები" 19.15** "პერეკროსტოკი" **19.50** სერიალი **"იოლი ფული" 22.00** სერიალი **"ათასწლეული". 00.05** მხ.ფ. **"დანაშაულის გენიალობა"**. მთ. როლებში კატრინ დენევი, მიშელ პიკოლი **02.15** კლასიკა

იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი **08.20, 20.20** ალსავალი **08.25, 10.05, 12.20, 20.25, 22.10, 00 15** მუსიკა **08.30** მხ.ფ. **"იუკა" 10.10** მხ.ფ. **"იდეალური შტორმი" 20.30** მხ.ფ. **"ამერიკული ლევზელი" 22.15** მხ.ფ. **"უცნობი სარკეში"**

ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" **10.15** ზღაპრის ტელედარბაზი **10.45** სპორტული პროგრამა "მსოფლიო სპორტი" **11.45** მუსკოლაჟი **12.15** პროგრამა "სალონი" **13.45, 15.15** ინდური მხ.ფილმი **16.00** მხ.ფ. **"საქმე იყო პენკოვოში" 18.30** ზღაპრის ტელედარბაზი **19.00** გადაცემა "ჩვენი თაობა" **19.30** მხ.ფ. **"მთიელი" 28** სერია **20.00** მსოფლიო სპორტი **21.30** პირველი ნაბიჯები **21.45** სალონი **23.15, 00.15** მხ.ფ. **"მოგონებანი"**

10.00 "ბისი". მხ.ფ. **"ბულვარდი" 11.50, 20.30, 22.25, 00.25** კლიპ-მიქსი **12.00** მხ. ფილმი **14.00** კონცერტი **18.00** "სამყარო" დოკ. ფილმი **19.00 "სწ.მედია"** მხ.ფ. **"ისევ კოლეჯში" 19.30** მორწმუნის ძლევამოსილი ხმა **20.45** პროგრამა **"ა"** მხ.ფ. **"ავარია"**. მთ. როლში კურტ რასელი **22.40** "ბრავო". მხ.ფ. **"მკვდრების გასოცხლებისას" 00.40** "ღამურა" მხ.ფ. **"ბინა" 02.35** ნონ-სტოპი

09.00, 15.00, 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" **09.15, 18.15** მულტფილმი "ტარზანი - მაიმუნი მბრძანებელი" **09.45** მხ.ფ. **"განგსტერები" 11.45, 12.30, 21.30, 23.30** მუსიკა **12.05** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **12.40** მხ.ფ. **"მეზობელი ქალი" 14.20, 15.15, 18.40** შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" **16.20** მხ.ფ. **"ღმერთების საჭურველი-2" 20.00** ევროპის სტადიონებზე **20.25, 23.55** ხუთი წუთი ეკონომიკა **21.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **21.50** მხ. ფილმი **"დანტეს მწვერვალი"** მთ. როლში პირს ბროსნანი **00.15** მხ. ფილმი **"გლადიატორი"** მთ. როლში რასელ კროუ.

2001 წლის 30 აპრილს, დღის 12 საათზე ქ. თბილისში, ვაჩნაძის ქ. №9-ში (II სართული) ვაკე-საბურთალოსა და დიდუბე-ჩუღურეთის საალსრულებო ბიუროს აღმასრულებლის დავით ლაშხიას სამუშაო ოთახში გაიმართება საქართველოს ინვალიდთა სპორტის ფედერაციის ბალანსზე რიცხული ქონების პირველი იძულებითი აუქციონი. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილია: ქ. ხობში სტალინის ქ. №1-ში მდებარე სპორტული კომპლექსი. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 8-99 57-26-25.

მიწის ნაკვეთებსა და მიწასთან დაკავშირებულ უძრავ ნივთებზე გარიგებათა მხარეების, მიწის ნაკვეთების (უძრავი ნივთების) მფლობელების საყურადღებოდ!

უძრავ ქონებაზე საკუთრებისა და რეგისტრაციასდაქვემდებარებული სხვა სანივთო უფლებები (იჯარა, ქირავნობა, უზუფრუქტი, აღნაგობა, იპოთეკა, სერვიტუტი და სხვა), რომლებიც წარმოიშვა „მიწის რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე (1997 წლის 1 იანვრამდე), ექვემდებარება უძრავ ნივთებზე უფლებათა საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, ხოლო დასახელებული კანონის მიღების შემდგომ წარმოშობილი უფლებები ძალაში შედის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ. რეგისტრაციას ახორციელებს უძრავი ნივთების მდებარეობის შესაბამისი საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის რაიონული/საქალაქო სამსახური.

კანონის აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა ქმნის პირობებს, რომ ფალსიფიცირებული საბუთების გამოყენებით, თაღლითობისა და მოტყუების გზით განხორციელდეს გარიგებები, რომლებიც, როგორც წესი, დაკავშირებულია მოქალაქეთა კანონიერი უფლებების აშკარა დარღვევასთან, არსებითი მნიშვნელობის მატერიალურ დანაკარგებთან და ხანგრძლივ დავებთან.

გაფრთხილებთ, რომ აღნიშნული ფაქტები თანდათან, უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება.

იმისათვის, რომ თავი დაიზღვიოთ ყოველგვარი გაუგებრობისაგან, შეიძინოთ და გაასხვისოთ კანონით დაცული უფლებები, უძრავი ნივთის შეძენის შემთხვევაში:

ა) აუცილებელია მოითხოვოთ უძრავი ნივთების და სანივთო უფლებათა თაობაზე საჯარო რეესტრში არსებული მონაცემების ამსახველი სპეციალური ფორმა — „ამონაწერი საჯარო რეესტრიდან", რომელიც მისი გაცემის თარიღისათვის შეიცავს მხოლოდ სანდო და უტყუარ მონაცემებს;

ბ) ასევე, აუცილებელია ნოტარიულად დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია, საჯარო რეესტრში.

გ) მესაკუთრის თანხმობით შეგიძლიათ მოითხოვოთ რეესტრში წინასწარი ჩანაწერის შეტანა, რომელიც გარანტიაა იმისა, რომ გარკვეული დროის განმავლობაში თქვენთვის საინტერესო ქონებაზე სხვა პირებთან დადებული გარიგება ძალაში ვერ შევა.

მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი ოფიციალურად გაფრთხილებთ, რომ საჯარო რეესტრის გვერდის ავლით განხორციელებული გარიგებები არაკანონიერი და აშკარად სახიფათოა, ხოლო ამგვარ გარიგებებზე პასუხისმგებლობას სახელმწიფო არ კისრულობს.

ცნობისათვის გთხოვთ დაუკავშირდეთ ჩვენს თანამშრომლებს დეპარტამენტის ცენტრალურ აპარატში, ტელ: 32-26-51.

ან მიწის მართვის რაიონულ/საქალაქო სამსახურებში.

საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს განცხადება

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო საქართველოს კანონის „ცხოველთა სამყაროს შესახებ" შესაბამისად აცხადებს კონკურსს სამონადირეო მეურნეობის შესაქმნელად დედოფლისწყაროს რაიონში, მდინარე იორის ხეობაში.

გენერალური ლიცენზიის მიღებით დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განცხადებები და საკონკურსო მასალები ა.წ. 25 მაისამდე. წინასწარ დასკვნას „დედოფლისწყაროს რაიონში სამონადირეო სავარგულების გამოყოფის მიზნით ეკოლოგიური, ბიოლოგიურ-ეკონომიკური გამოკვლევის, ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვისა და მდგომარეობის დაფიქსირების, ცხოველთა აღწარმოებისა და მოპოვების ნორმების დადგენისა და სამონადირეო მეურნეობის შექმნის შესახებ" შეგიძლიათ გაეცნოთ სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის დეპარტამენტში.

2001 წლის 1 ივნისიდან შავ ზღვაზე სარეწაო თევზჭერისათვის ერთჯერადი სახელობითი ლიცენზიების მისაღებად განაცხადები წარმოდგენილი უნდა იყოს ა.წ. 25 მაისამდე სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის დეპარტამენტში.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 33-48-53.

საკონტაქტო პირი: დეპარტამენტის თავმჯდომარე სოსო ქარცივაძე.

სს „ჰოლდინგური კომპანია საქსამთომეტალურგიის" კოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სააქციო საზოგადოების I ვიცეპრეზიდენტის გურამ ღოღობერიძის მეუღლე ქალბატონი

ნინო აბელიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 24, 25 IV, 5 სთ. გამოსვენება 26 IV, 3 სთ. ი. ნიკოლაძის ქ. №6.

საქართველოს საინჟინრო ტექნოლოგიური და ჰუმანიტარული ინსტიტუტის კოლექტივი თანაუგრძნობს ინსტიტუტის რექტორს, აკადემიკოს გრიგოლ ჯანხოთელს მამის

ევტიხი ჯანხოთელის

გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა 26 IV, ლენტეხის რაიონი, სოფ. ჩიხარეში.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „არგა-98"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ ბოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, [illegible], ბესო ჭედია, ომარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ბონდო მძინარაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა -
PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" [illegible], ხოშტარიას 29.